ლიტერატურული გაზეთი

№22 (254) 29 ნოემბერი - 12 დეკემბერი 2019 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ბესიკ ხარანაული

მე რომ მოვკვდი, ყველა ქალი დაქვრივდა

სიმღერა

მე რომ მოვკვდი,
ყველა ქალი დაქვრივდა,
არ დალიეს
ჩაი-ყავა შაქრითა,
არ ჩაიცვეს
ტანზე ფერად-ფერადი,
გაზაფხულის ჩითით რომ ვუკერავდი...

მე რომ მოვკვდი,
ყველა ქალი დაქვრივდა,
თეთრი ეცვათ,
შეიღებეს შავითა,
აიშალნენ ხმითა შესაზარითა,
რაც ზედ ეცვათ,
იმავითა განძითა,
თავს შვენოდნენ
შავ ყორნების ბაძვითა,
იტყოდი თუ, გემი მოდის ანძითა...

მე რომ მოვკვდი,
ყველა ქალი დაქვრივდა,
წამოვიდნენ ფეხითა, მანქანითა,
ვინ საიდან,
ზოგი კი არსაიდან,
ზოგიც ძველი წიგნების საფასიდან...

ამიჩვილა გული-კრული ამან მეც,
დავარღვიე მკვდრის წესი და ხმა გავეც —
ნუგეში ვეც, თვალებს ნუ იფსელებთო,
მორჩა,
კალთებს
ვეღარ დაგისველებთო!

მე წავედი,
ავახვიე ქსელებსო,
ობობამან
უნდა განისვენოსო...

მე არ მითქვამს,
ისტორია იამბობს,
ყოველ მხრიდან
ქალნი შემოკრბიანო,
მთის წვერიდან,
მატარებლის ბაქნიდან,
ჩვილებიც კი
წამოცვივდნენ აკვნიდან...
ვითარმედ,
— ეგ
ყველას ნაშობიაო,
ვინაც ქალი
დღეს-ამდილას დაქვრივდა!

ლელა ცუცქირიძე

კულინარია ჩიტებისთვის

გამოვიდა ეზოდან ქალი.
მტერს მავთულხლართი ჭიშკრის გასწვრივ ეკალ-ბარდად ამოეყვანა.
გახედა სივრცეს
(აჩქარებოდა ნიავისგან პულსი ყანას. ყანა სუნთქავდა),
ჩიტებს გასძახა:
ეგ ხორბალი ამოკენკეთ, დაცეხვეთ, დაფქვით,
მოზილეთ მერე წვიმის წყალში,
და როცა მზე ქვებს გააღვივებს ნაღვედალივით, დააცხვეთ პური.
ჩემებს უყვარდათ.
ცხელ-ცხელსვე ტეხდნენ, ბელტებივით ყველის ნაჭრებს ზედ აყოლებდნენ.

გამოვიდა ეზოდან ქალი, გახედა სივრცეს
(ტყე მოჩანდა ვებერთელა მწვანე კვერცხივით, წითელი კენკრით ერთიანად გადაჭორფლილი),
ჩიტებს გასძახა:
ჯერ არ გაკრიფოთ ველური შინდი, შემოდგომა კერკად ჩამოქნის.
მერე ეზოდან გამხმარ პიტნას შემოგაშველებთ, ქინძსაც, ნიორსაც.
ჩემებს უყვარდათ.
ზამთრის დღეებში არაფერი სჯობს შინდის შეჭამანდს.

გამოვიდა ეზოდან ქალი, გახედა სივრცეს
(მინდორი ჰგავდა ყვავილებით მოჭედილ საათს. წიკწიკებდნენ ციდა მწერები),
ჩიტებს გასძახა:
იის ფოთოლი წამოკენკეთ, ენძელისაც, ფურისულასი,
ნაცარქათამა, ჯიჯილაყი, მანდვე ჭინჭარი,
მოაგროვეთ, ერთად დაკეპეთ.
ჩემებს უყვარდათ.
გაზაფხულის მოსვლისთანავე მაგიდაზე წამომიყრიდნენ კალთებიდან
და ღიმილით დააყოლებდნენ,
აჰა, ესეც მინდვრის ფხალი, ჩვენი, ქართლური.

გამოვიდა ეზოდან ქალი, გახედა სივრცეს
(ხეხილის ბაღში ხეებს ასხდათ ვაშლისა თუ ატმის კოპები).
ჩიტებს გასძახა:
ცოტა დაკენკეთ, ცოტაც დატოვეთ, მზე დააჩირებს,
როცა ფრენისგან მისუსტდებით, ძალას შეგმატებთ.
მე კომპოტებსაც ვაკეთებდი, ჯემებს, მურაბებს.
ჩემებს უყვარდათ.
ზამთრის უგემურ დღეებს იტკბობდნენ.

გამოვიდა ეზოდან ქალი, გახედა სივრცეს
(ვენახში ვაზი ყურძნის შავ თვალს ახამხამებდა).
ჩიტებს გასძახა:
ეს შავკაპიტო ერთიანად გადაკენკეთ, არ დაისეტყვოს,
დაწურეთ ღვინო.
სასწაული ღვინო დგება, დამეჯერება.
ჩემებს უყვარდათ.
სადილ-ვახშამს აყოლებდნენ, ილოცებოდნენ.

გამოვიდა ეზოდან ქალი, გახედა სივრცეს
(ლურჯი მდინარე ორად გაფხრეწილ ჭალას კერავდა),
ჩიტებს გასძახა:
მანდ დაისვენეთ, გაიგრილეთ დაღლილი ფრთები.
ჩემებს უყვარდათ თევზაობა შუაღამისას.
შლიდნენ ბადეს და ხანდახან თევზებს
წყლის ზედაპირზე არეკლილი ვარსკვლავებიც კი მოჰყვებოდა.

გამოვიდა ეზოდან ქალი. გახედა სივრცეს
(მზე საფლავებზე რკინის მესრის ჩრდილებს ტვიფრავდა),
ჩიტებს გასძახა:
აბა, თქვენ იცით!
მიიტანეთ პური, წყალი, ვაშლისა თუ ატმების ჩირი, შეჭამანდი, ნაცარქათამა...
გაშალეთ სუფრა ჩემ მაგივრად,
დააწვეთეთ საფლავებს ღვინო.
ჩემებს უყვარდათ.

გამოვიდა ეზოდან ქალი.
გახედა სივრცეს.
ეზო ჰქონდა და
ყანა — აღარ.
მინდორი — აღარ.
ტყეები — აღარ.
ბაღი — აღარ.
მდინარე — აღარ
ვენახი — აღარ.
საფლავი — აღარ.

ეზო ჰქონდა.
სამშობლო — აღარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმირალის დაბრუნება

რუსუდან რუხაძე

„სახლს მოვერევი, მიწას ვერა.“

„მარტო შენ რას იზამ.“

„მშიერი ზამთარი იყო ქალაქში, დაუნდობელი.“

„აქეთ თოვლი იყო, უბედური, თორემ ისე რა გვიჭირდა.“

„ჩვენი კოპიტი მესიზმრებოდა ბოლო ხანს.“

„მიწა უნდა ამოაბრუნო და სახლში მზე შეუშვა. მაგის სიზმარია ეგ.“

ღობესთან ორნი საუბრობენ. ზაფხულის მსუყე სიმწვანე ბგერებს შთანთქავს და იფნის ბებერ ხემდე მხოლოდ მჭახე თანხმოვნები აღწევს.

მოხუცი ცალი ხელით მზეს იჩრდილავს, მეორეთი ბამბუკის ჯოხს ეყრდნობა და მოსაუბრეს ალერსით შესცქერის. ახალგაზრდა ტრიფოლიატის ეკლისგან თავშალს ათავისუფლებს, ბუჩქს უწყრება და ჩანთიდან გაზეთში გახვეულ გამომშრალ ტარანს იღებს.

კაცი უკადრისობს, შენ უფრო გამოგადგება, მომსვლელი გეყოლება და გაუმასპინძლდებიო. ქალი თავისას არ იშლის, შუბლთან ჩამოყრილ ხვეულ თმას მაჯით ისწორებს და გაწვდილი ხელი მოსაუბრესთან ახლოს მიაქვს.

მექი ტუჩებს მორცხვად ილოკავს, დამარილებული თევზის სუნს ღრმად იყნოსავს და მადლიერების ნიშნად წვერზე ისვამს ხელს. ანიკო მხარზე ეფერება, სიბერისგან დადაბლებულს შუბლზე კოცნის და მონატრებულ მზერას ცრემლები უბინდავს.

მიწა თუ არ გააცოცხლე, სხვას უჭირავს თვალი, დაკარგავ და მერე გვიანი იქნებაო, ჯერ კიდევ შემოდგომაზე შეუთვალა მექიმ ანიკოს და საერთო ღობეზე გაზრდილი ხოკერა კვახი გაუგზავნა. ანიკომაც შვიდი წლის მერე ძველმანებით გაავსო ჩანთა, ღამის მატარებლით დასავლეთისკენ გაემგზავრა და გამთენიისას ძველი ფიცრულის კარი გულამოვარდნილმა შეაღო. კედლის კუთხეზე მონიშნულ ხაზებს თვალი ააყოლა, თავისხელას გაუტოლდა, შუბლი მიადო და მიტოვებული სახლი შემოირიგა.

იქაურობას ძველებური სურნელი შერჩენოდა — გამომშრალი ხის, ყალიონში ჩარჩენილი თამბაქოს, სავარძელზე გადაკრული ტყავის, ქვასანაყში ჩაბუდებული ომბალოს, უმზეო ლოგინის და გაყვითლებული გაზეთების, რომლებშიც ძირითადად სამეურნეო ამბები, ნეკროლოგები და გრაფიკული ყვავილებით გაფორმებული მილოცვები იბეჭდებოდა. ფერებს კი დროთა განმავლობაში დაეკარგათ სიმკვეთრე — დამტვერილ ნივთებს, გაცრეცილ შპალერს და გახუნებულ ფარდებს სახლში ყოველგვარი მოხაზულობა გაემქრქალებინა და ოდესღაც შუქთან მოთამაშე ჩრდილებსაც თითქოს ჭუჭრუტანებიდან დაეტოვებინათ იქაურობა.

მარტოობის წლები დატყობოდა ეზოსაც — უსურვაზს დაგრეხილი ულვაშებით დახავსებულ სახურავამდე აეღწია, ტალავერი ჩამოშლილიყო, გაუსხლავარდებს ჭისკენ მიმავალი გზა ჩაეხერგათ და ცისფერი ჭიშკარი ჟანგს აეჭრელებინა. თუმცა კვლავინდებურად ესხა ტყემალს, ძველებურად ყვაოდა ზაფრანა და აივნის კუთხეში მიკრულ ბუდეებსაც მერცხლები ისევ დაბრუნებოდნენ.

მექიმ, ზაფხულია, ყველას თავისი საქმე და სტუმარი ჰყავს, მოსახმარებლად ვერავინ მოიცლის, მაგრამ მე გიშოვი ორს, დარაჯის პირით ამ საღამოსვე შევუთვლი და ფასზე შენ თვითონ მოელაპარაკეო. სხვა გზა არ იყო, ანიკო დათანხმდა და ის ღამე მონატრებულ ფიცრულთან ახლოს, მექის სახლში გაათენა.

* * *

მეორე დილით ანიკომ აივნის მოაჯირზე ფარდაგები გადმოფინა და მტვრისგან სამჯერ მიჯრით დააცემინა. თავი რომ აწია, შორიდან რაღაც ხმა შემოესმა. კოპიტის ხეს ორი ქალი ამოფარებოდა და სიცილს ძლივს იკავებდა. ხან ერთი გამოყოფდა თავს იმის შესამოწმებლად, მასპინძელმა გაიღვიძა თუ არაო და ხან — მეორე. ანიკოს დანახვაზე ქერათმიანმა ჭაღარას თავში წაუთაქა, ხელი მაგრად ჩასჭიდა და სამალავიდან გამოიყვანა. ანიკოს რომ მიუახლოვდნენ, ახლა ჭაღარამ გაჰკრა მუჯლუგუნი ქერას, წესიერად მოიქეციო და მასპინძელს ხელი გაუწოდა:

— რენა, რენა პერელმანი გახლავართ.

— მე ქეთინიე ვარ! — გაიღიმა მეორემ და დიდრონი კბილები გამოაჩინა.

ანიკომ მექი ახსენა იმის დასაზუსტებლად, იცოდნენ თუ არა ქალებმა, რის გამო იყვნენ მოსულები. ქეთინია არ დაიბნა — დღე თხუთმეტი ლარი ორივეს ერთად და ერთიც კარგი სადილიო, თუმცა არც საუზმის პატიჟზე უთქვამთ უარი. ანიკოს ცოტაოდენი ძეხვი, რუხი პური და ფათალოს თაფლი დაბალ მაგიდაზე გაეშალა და სტუმრებიც კაკლის ჩრდილში მიიწვია.

— ქალებო, ჯერ სახლი და მერე ეზო, — საქმეზე გადავიდა ანიკო და ფინჯნები ჩაით შეავსო.

— ქუჩა? ქუჩის დასუფთავება არ გნებავთ? — დინჯად იკითხა რენამ და გზის პირას აღმართულ განათების ბოძს გახედა.

— ქუჩას ვერ მოვასწრებთ, აქაც ბევრი საქმეა, — ანიკომ ჩაიდანში ჩარჩენილი წყალი ძირს დავარდნილ კოვზს გადაავლო.

— კაი, მასე იყვეს. არა, რენა? — ქეთინია პურის კიდეებზე ჩამოღვენთილ თაფლს ენის წვერით აედევნა.

— კი, დავო, რასაც გვეტყვიან, იმას დავალაგებთ, — რენამ მზერა შეშუპებული თითებისკენ გააპარა.

ქალები მადიანად მიირთმევდნენ და თან ანიკოს უცქერდნენ დაჟინებით. ანიკო თვალს არიდებდა, მშივრები იქნებიან და დაირცხვენენო, თუმცა სტუმრები მოურიდებლად ათვალიერებდნენ მასპინძელს და მისგანაც საპასუხო მზერას ელოდნენ. ანიკოს უხერხულ დუმილს ისევ საუბარი ერჩივნა, მაგრამ კითხვის დასმასაც ფრთხილობდა — რამე ისეთი არ წამომცდეს, რაც უცაბედად ააფორიაქებთ და მოსალოდნელ ორ დღეს პირველსავე საუზმეზე დაასრულებსო. ხან პირდაპირი, ხან დახრილი მზერით აკვირდებოდა ქალებს და ხვდებოდა, რომ მექის წყალობით განსაკუთრებული სტუმრები ეწვივნენ.

ქეთინიას შარვალზე კაბა ეცვა, თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, ხელებზე ძველი იარები ეტყობოდა, ლოყები უღაჟღაჟებდა და ყელს რკოს მძივი უმშვენებდა.

რენას ზოლიანი ხალათი მოეხურა, ფერმკრთალ სახეზე რუჟი არათანაბრად წაესვა, თმაში კბილებნაკლული სავარცხელი გაერჭო, თვალებს ჩქარ-ჩქარა ახამხამებდა და ჯიბეში გამუდმებით რაღაცას ამოწმებდა.

საუზმის შემდეგ ანიკომ ქალებს ფერადი ტილოები ჩამოურიგა, ძველი ჯამები თბილი წყლით გაავსო და დღის გეგმა გააცნო — ჯერ ფანჯრები და მერე იატაკიო. რენამ ტილო დაასველა, ჯამის ფსკერს ჩააცქერდა და ამომტვრეული მინანქრის შავ ლაქებს გულდასმით დააკვირდა. მერე სახელო დაიკაპიწა, ჯამში ხელი ფრთხილად ჩაყო, მოლივლივე წყალში გადღაბნილი წითელი პიონების ნამდვილობა თითის გასმით შეამოწმა და დარწმუნდა, რომ მოხატული იყო.

ქეთინიამ ზამთარ-ზაფხულის მონაცვლეობისას დამსკდარი საღებავი ჩარჩოებს ფრჩხილით ააცალა. ზოგან ადვილად იფხიკებოდა და თეთრი ფანტელები ფანჯრის რაფაზე ცვიოდა, ზოგან კი წლების განმავლობაში დატანილი სხვადასხვა შეფერილობის შრეები ხეს მჭიდროდ ეკვროდა. მერე პაწია ლურსმნებით ჩამაგრებულ მინას სველი თითი რამდენჯერმე გაუსვა და გამჭვირვალე მომცრო წრიდან დაბურულ ეზოს კიდევ ერთხელ მოავლო თვალი.

— რომელი საათია ნეტა? — რენამ ოთახში სვეტად შემოჭრილ მზის შუქს გადააბიჯა და კედლის საათის გაჩერებულ ისრებს ფრთხილად შეახო ხელი.

— აუფ, ჩემი პეტერე ჩამორჩა, თვარა თერთმეტი იქნება, — ქეთინიამ მაჯა პირთან მიიტანა და რამდენიმე წამში წრიულად დამჩნეულ ნაკბილარებს დახედა.

ორივეს გაეცინა, ტილოები მაგრად გაწურეს და ფანჯრების წმენდას შეუდგნენ. რომბებად დატიხრულ მინებს რენა დინჯად უსვამდა ტილოს, ქეთინია უფრო სწრაფად ირჯებოდა, თუმცა თანხა ორივეს თანაბრად ეკუთვნოდა.

ანიკომ ჭერის კუთხეებში გაბმულ აბლაბუდებს იატაკის ჯოხით ჩამოუარა, დაღლა და თავბრუსხვევა მალევე იგრძნო და მოსაწევად სახლის კიბეზე ჩამოჯდა. ცოტა ხანში ქეთინიაც შეუერთდა და ახლადგახსნილი კოლოფიდან სიგარეტი დაუკითხავად ამოიღო. ღრმა ნაფაზი დაარტყა, ცალი თვალი მოხუჭა, ღერი სამ თითს შორის მოიქცია და ანიკოს ძველი ამბავი გაანდო:

— ა! ამიზა დამთეთქვა პირველად მამაჩემმა, — საზურგეს მიეყრდნო, თავი უკან გადაწია და კვამლი ზემოთ აუშვა, — სამი ღამე ყანებში მეძინა, წარმეიდგინე.

— მეც სკოლიდან ვეწევი, — ანიკომ საფერფლედ გაბზარული ლამბაქი გაუწოდა.

— გაფიცებ გულით საყვარელს! — სიახლოვე იგრძნო ქეთინიამ და ხმა მოულბა.

— ჰო, რენა არ ეწევა? — თვალით ანიშნა და სიგარეტის კოლოფს ცელოფანი შემოაცალა.

— აპა! რენას რო უყურებ, მაგი რა ნასწავლი და რა კაი ოჯახიშვილია, იცი? სუ პროფესორები არიენ, სუ! აკითხავენ კიდენაც და გამოსაგზანსაც უგზანიენ ხანდისხან, — ცხვირის ქსუტუნით დაადასტურა ქეთინიამ ნასწავლი ხალხის პატივისცემა.

— რენა, მოდი, შეისვენე, — თავი უხერხულად იგრძნო ანიკომ.

— უკანეი კარი გააღე და სკვაზნიი რო დოუქიქინებს, არ უნდა დაძახება, გამოვა მისით. ისე, მაგას რა დაღლის, ქალო?! იმ ერთ ფანჯარას არ იქნება მორჩენილი, მე რო თლად დავხეხავ ამ სახლს. მასე იცის მიჩიკინება, — ხმას დაუდაბლა ქეთინიამ, — ეჰ, რო იცოდე, რაფერ მინდოდა ოჯახი?! საქმე კი არ მეზარება.

— გეტყობა, ქეთინია, ყოჩაღი ხარ, აბა, მე ორ წუთში თავბრუ დამეხვა, — ანიკომ საფეთქლები დაისრისა და თვალები ფართოდ გაახილა.

— ჰე! მივხედე ახლა საქმეს, თვარა თუ დევიგვიანეთ, კიპაროიძე აღარ შეგვიშობს და ქე მოგადგებით უკან. უჰ, ამ პაპიროზმა მეც კი დამაბრუალა!

შუშაბანდში რენა ისევ იმ ფანჯარას წმენდდა რუდუნებით და უცნობ მელოდიას ღიღინებდა. თავშესაქცევად-ქეთინიას გასძახა, მიდი, ერთი შენებურად მოყევი, ჰენრიხია როგორ გაიცანიო და რაფაზე ჩამოჯდა. ქეთინიამ იუარა, მაგრამ აღარც ანიკო მოეშვა და წარმოსახვების მოსახმობად მოჭუტული მზერა ჭერს მიაპყრო.

— რაფერ და ბაღანეი ვარ თლად, კლასი ახალი დამთავრებული მაქ და წვიმიანი ზაფხულია იმ წელს. ჯერე გვალვამ დაგავხჩო, მერე წვიმამ და სირისტმა. არ გადეიღო ერთი დღე, უორი, სამი... გევიდა თელი კვირე და წვიმს ისევლე, ჩამევიდა ცაი ფეხად!

— დავო, სამხედრო ჩექმაში ძაღლი რომ გადამალე? — შეაგულიანა რენამ.

— ჰო, მაგი ჰო. პეტერე პაკუსიე მყავდა, არ დეიხჩვეს-თქვა და ჩავსვი შით. მუხლზეით წყალს რავა ვიფიქრდები. გევიღვიძეთ ერთ დილასაც და რასაა, რო ვხედავთ, გარმოსულა ცხენისწყალი და სუ წყალია კრუგომ. დეიტბორა სოფელი! დეიტბორა და შოუერთდა ზღვას! — ხელი დასავლეთით გაშალა ქეთინიამ, — ევიხუტე ე ჩექმა და გევედით მე და დედაჩემი სახურავზე. ვიყურებით ახლა და აგი რაიაო, დედაჩემმა, გადმოდღაჩა თვალები. გევიხედე, გემი მოცურავს და კაცია ზედ!

— ისიც კარგად მოყევი, ქეთინია, როგორ შეგამჩნია, — რენამ ათასჯერ მოსმენილი ამბიდან საყვარელი მომენტი შეახსენა.

— ჰო, მოყობა ახლა ე გემი ქუჩას, ხან ბოგირს გამეედება, ხან ვინცხეის ჭიშკარს, მარა მეიწევს მაინც წინ. კაცი დგანა ზედ და რაცხა ტუჟურკა აცმევია, ოქროსფერ პაგონებს წითელი კანტები დაყობა. შვენის, მარა რაფერ! დამაჟინა და მაყურებიაო. სუსტი და მორჩილი კაცი მოჩანდა, მარა მირავოი! ისე, უშნოდ ატრეტილს და ბლეყვერას კიდო მაგი მირჩევნია, — ცალი ხელი სკამის საზურგეზე შემოდო და ეზოსკენ გაიხედა, — ჰოდა, მოდის და სულ არ იყურება აქეთ, ხან ვის დოუქნევს ხელს და ჩეეზდრასტება და ხან ვის, მარა რაცხა იყო, კი გამეექცა ე თვალი უცებ და საკვამურის თავზე არ მხედავს წითელ პერანგში გამოწყობილს?! დედა! მობრუნდა თელი ტანით და მომშტერებია! ამეიღო ჯიბიდან რაცხა საჭვრიტინო, მიყურებს და მიქნევს ხელს. ჰე, დოუქნიე შენცო, საწყალმა დედაჩემმა. აი კბილები მერე გემეზარდა, თვარა მაშვინ ქე ვიყაი კაი შეხედული. მარა რად გინდა, ქენქერე თლად.

— ახლაც კარგი გოგო ხარ, ქეთინია! — გული გამოუკეთა ანიკომ.

— ჰოდა, ჰენრიხიე ვარ, ქიშმარაია, ომში მივალ, უკანა გზობაზე გამევივლი და ცოლად წაგიყვანო. თუ ვერ გადოურჩი მტერს, რაცხას მევიხერხებ, რამეფრა მოვბრუნდები და გამაცადინებული იყავი, საცნობარი არ დეგეკარგოს, ეგება მთლად ჩიტი შევიქნე ან ქვიშნის ყვავილიო და ჩეიარა.

— მოიცა, შენც ქიშმარაია არ ხარ? — დოინჯი შემოიყარა ანიკომ.

— მაი რაფერაა იცი? რავარც შემიყვარდა, იმ წუთში გარევედი მის გვარზე. აპა, ბეჭედი მაგას არ შოუმბია ჩემზა და რაცხამ ხო უნდა ამოაკაოს ე გული, თვარა კაი-კაი ბიჭების მეტი რაიი! — ქეთინიამ ტუჩებს ძლივს მოუყარა თავი დიდრონი კბილების გადასამალად და თვალები მინაბა.

— ისე მიქელაძეა, ქეთევან მიქელაძე. კულაშში ებრაელები მიქელაძეებმა ჩამოასახლეს და, აი, სად შევხვდით ერთმანეთს, — რენამ სველი ტილო მოშიშვლებულ მუხლზე გადაიფინა.

— კი, მაგრამ ვის ეომებოდა? — გახალისდა ანიკო და ქეთინიას გვერდით დაუჯდა.

— ვის და კოღუებს, შე ქალო! ფოთიდან გამოუყრიენ და ზდიენ თურმე კოპიტნარამდე, კვაჭიჭების ფლოტი მოყობოდა უკან. აგი მერე გევიგე, ყურყუმალეები ლაპარიკობდნენ წისქვილზე და ყური მოვკარი, თვარა მე სეიდან ვიცი! — ძველი გაზეთი დაინიავა ქეთინიამ.

— ყურყუმალეები ვინ არიან? — ღიმილი ვეღარ შეიკავა ანიკომ.

— ეგერ მაროია პეტრუზოვას კვატიებს ვუძახით ასე, საგინებლად. რო ჩაყოფენ წყალში თავს, იციენ ამოყოფა?! წყინთ, წყინთ და რაფერ თუ იცი?! ა, ასე დადიენ გაფხორილები, — ქეთინიამ ლოყები გაბერა და ხელები ფრთებივით მოკეცა.

— დავო, მულების ამბავიც ხო

ყურყუმალეებმა გითხრეს? — რენამ სკამის ფეხს გამოსდო ტერფი.

— ჰო, მაგიც! თუ ნახსოვრობა არ მღალატობს, ექვსი მული გეყოლება, შე საწყალოო. შატულე, ჩუტულე... მეიცა! შატულე, ჩუტულე შატაიე, ფაცალიე და ვაჩარეო. ხუთი ყოფილა! — ხელის თითები მიაშველა ქეთინიამ.

— შენ რა გითხარი, ქეთინია! კი, მაგრამ რა იცოდნენ ყურყუმალეებმა? — ანიკო იატაკის ჯოხს ჩამოეყრდნო.

— რაი და იმ საღამოს ჰენრიხიეს კვაჭიჭები უყლაპიენ თელ-თელად და იგენი ალაპარიკებდნენ, — ქეთინიამ შუბლი კაბის კალთით მოიწმინდა.

— მოვა, დავო, მოვა! — საკუთარი სიტყვების დასტურად თავი დააქნია რენამ.

— დაარტყა ამან ფეჩატი! ა, კი თქვა მოვალო, მარა მევიდა?! ეგება მაგასაც კი დეეცა სასიკვდილო ლახვარი. ცოცხალი რო ყოფილიყო, ახლა აქანე იქნებოდა, მაგან იარა წკავრამში! აწი კვარაკუნჩხა იქნება თუ სინდიოფალა, სა ვსდიო, რაფერ ამევიცნო, რააფეეერ?! — წამღერებით დაიტირა დაკარგული სატრფო.

— განიშნებს, ნუ გეშინია. შენ გულს ეგ არ გამოეპარება, ქეთინია, — ანიკომ გასამხნევებლად მხარზე დაადო ხელი.

— ა, კიდო დეველოდები და წროულს თუ გარააცილა, მერე მე არ ვიყო ქეთინია ქიშმარაია, ჰენრიხიას მუხლიჩოქით თუ არ ვახვეწიო შერიგება! — შარვლის ტოტები აიკეცა ქეთინიამ.

— თუ კაცად მოვიდა და მუხლი შერჩა, კი, — ფანჯრის მინას მიუბრუნდა რენა.

— ვაი, რენაია! ახლა შენ პეტერე ასტაროჟნად, ხო გეიგე?! პელენწუკე ქალი ეგი! არა, ვისთან რაი მაქ ჩასაჩოთქი ამ ხნის ქალს, მეც რო დავმჟდარვარ და ვყობი! — ზურგი აქცია ქეთინიამ.

— არ გეკადრება, ქეთინია! — ხალათის საყელო ნერვიულად გაისწორა რენამ.

— კარგი, არ იჩხუბოთ ახლა, — ანიკო ქალებს შორის ჩადგა.

— რაი და, დოუკვირვებელი ლაპარაკი იცის, დოუკვირვებელი... კაი! წამოხტენდით ახლა, თვარა გარევიდა მზეი, — მალევე მოულბა გული ქეთინიას.

ფანჯრების წმენდას ნაშუადღევისთვის მორჩნენ, ჭინჭრის მხლითა და მჭადით ისადილეს, ვაშლის ნამცხვარი ხელსახოცში გაახვიეს, ამას საღამოს შევჭამთ და სხვებსაც ვუწილადებთო. დანაყრებულები იატაკის მოსუფთავებას შეუდგნენ და მორეცხვამდე სამი აქანდაზი თაგვის ცურცლი, მკვდარი ბუზი და აბლაბუდა გაიტანეს სახლიდან. ადენილ მტვერსა და ფხვნილებზე ხან ერთს აცემინებდა და ხან მეორეს. დღის ბოლოს ღრიჭოებს პატარა ცოცხით დაუარეს, საკვამურიც გამოასუფთავეს და სანამ ხელ-პირს დაიბანდნენ, კედელზე მიმაგრებულ სარკის ნატეხში მათი გამურული ანარეკლები მუჯლუგუნით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

ამ დღის დღესვე უნდა გადაგვიხადო, თორემ ხვალ ვერ მოვალთო, რენამ. ანიკომაც ანგარიში გაუსწორა და დაპირდა, ხვალისთვის მოხარშული ხაჭაპურებით გიმასპინძლებთო. ყველზე და ფქვილზე უკვე შეპირებული ჰყავდა მექის რძალი. „მარტვე ფული ხო არაა, რაცხანაირად გულიც გადევიყვავილეთო“, ქეთინიამ და ფული ჯიბეში ჩაიდო. მერე დილანდელივით დაავლო რენას ხელი და პატარა ბავშვივით დატუქსა, დროზე გამოადგი ფეხი, თორემ ყველას ვეტყვი, ჯიბით რაც დაგაქვსო.

ქალების წასვლის შემდეგ ანიკო გამზეურებული ლოგინის და ფარდაგების ბერტყვას შეუდგა, აივნის რიკულებს ერთი თეთრმუცელა არსების ნაკბილარიც დაატყო და კუთხეში მიმალულ დამფრთხალ თაგვთან დაუპატიჟებელ სტუმრად იგრძნო თავი.

* * *

მეორე დილას ანიკომ რომ გაიღვიძა, რენა და ქეთინია უკვე მოსულიყვნენ. ერთსა და იმავე მელოდიას ღიღინებდნენ და თავწახრილები სარეველებისგან ასუფთავებდნენ ეზოს. დროდადრო სიმღერას წყვეტდნენ, ჭრიჭინების ხმას ბავშვურად აყურადებდნენ და უჩინარი მწერების ადგილსამყოფელის გამოცნობას ცდილობდნენ. ფესვებიანად ამოგლეჯილი ამბროზიის კონები ალაგ-ალაგ, ღობის გასწვრივ დაეხვავებინათ და მომცრო ზვინებს ფეხით ტკეპნიდნენ. შრომაში ისე იყვნენ გართულები, რომ მასპინძლის მიახლოება ვერც კი შენიშნეს. ანიკო ქალებს მიესალმა და თბილი რძე შესთავაზა. რენა და ქეთინია კიბეზე ჩამოსხდნენ და თუნუქის ჭიქებს ბალახისგან მწვანედ შეფერილი ხელები შემოაჭდეს. ქეთინიამ რძისგან ჩაწმენდილი ხმით წინა საღამოს ამბების მოყოლა დაიწყო — ახლები დაგვემატნენ, ბედიანიდან ჩამოიყვანეს, იქაურობას ხანძარი გასჩენია და სანამ შეაკეთებენ, ჩვენთან იქნებიანო. ექვსი ქალი და ოთხი კაცია, ყველა თავგადახოტრილი, დანარჩენები თბილისში წაუყვანიათ, მაგრამ ალბათ იმათაც ჩვენთან ერჩივნათო. ნანეიშვილში თმის გაზრდასაც გვიშვებენ ზოგიერთებსო. რენამ, გიჟზე მეტი ბადრაგი იყო, სად მოჰყავდათ, ისიც არ იცოდნენ, ეგონათ ლხინში მოდიოდნენ და ეზოში შემოსვლისთანავე დასჭექეს — ქორწილია, ქორწილიო! ახალშემომატებულებზე ორივე ხალისით ლაპარაკობდა — საქმეს როგორც კი მოვითავებთ, მაშინვე გავიქცევით, ვახშამზე რომ მივუსწროთ და ამბებსაც გამოვკითხავთო. ცარიელი ჭიქები ხმელი კაკლის ტოტებზე ჩამოკიდეს და მაგნოლიებისკენ გადაინაცვლეს.

რენამ, ასანთის ღერებს თუ მომცემთ, ფოთლებისგან გვირგვინებს გაგიკეთებთო. ანიკომ ნაკლული კოლოფი ყურთან გააჩხაკუნა და რენას გადაუგდო. რენამ დაჭერა ვერ მოასწრო და ასაღებად დაიხარა. თავი რომ ასწია, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. ანიკო შეცბა და ქეთინიას გახედა. „კაი, ახლა, ნუ დეიფეთე! ა, გარმომიგდე, თუ დევიჭირო?“ — ქეთინიამ რენას დამშვიდება სცადა, — „რო ვაფრენთ, იმიზა ვართ იქინე, საცხა ვართ, თვარა რო ვიჭირავდეთ, ქე ვიქნებოდით ჩვენ-ჩვენ სახლებში.“ რენას უცაბედად წახდენილი გუნება ქეთინიას ნათქვამზე მალევე გამოუკეთდა და გულიანად გაეცინა. ქალებიც აჰყვნენ გასამხნევებლად და მათმა კისკისმა ძაღლების ყეფის, ცხენის ფრუტუნის და ბავშვების ყიჟინის შორეული ხმები გადაფარა.

რენამ მაგნოლიის ფოთლები კაბის კალთაში მოაგროვა, ასანთის ღერებით ერთმანეთზე ოსტატურად გადააბა და მომრგვალებამდე თავზე მოიზომა. სახლის ლაგებისგან განსხვავებით, ამ საქმეში გაწაფულობა ეტყობოდა. სამივე გვირგვინი ერთ ზომაზე შეკრა და ქალებს ჩამოურიგა.

— მაინც რაია, ნასწავლი რო ხარ, მე კი ვერ მევიხერხებდი, — გული აუჩუყდა ქეთინიას.

რენამ კაბის შემორღვეული ბოლო მუხლის თავებთან გაისწორა და ანიკოს მიუბრუნდა:

— სანამ მკითხავთ, გეტყვით, რომ ბაბუაჩემი კულაშში ცნობილი ექიმი იყო, პეპერა რაბინი ყოფილა, ყივრულად ლაპარაკობდა თურმე. დედაჩემი სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში წავიდა სასწავლებლად, მერე ოჯახი, მერე სადოქტორო, მერე ის, მერე ეს და მიატოვა აქაურობა...

ანიკომ ერთი კი გაიფიქრა, ასე დინჯად და დალაგებულად რომ საუბრობს, იქნებ თავს იგიჟიანებსო და იქაური ყოფისთვის კიდევ უფრო შეებრალა.

— რენა, შენს სახლში აღარ ყოფილხარ? — გვირგვინზე თეთრი ყვავილი დაამაგრა.

— არა, ჩვენები ყველანი ისრაელში წავიდნენ, მაგრამ, ხო ხედავთ, გულმა მაინც აქეთ გამომიწია სამკურნალოდ. რუთო ყოფილა ბოლო, ვინც აქაურობა დატოვა. წამლებით ვაჭრობდა და ბევრ გაჭირვებულსაც ეხმარებოდა. სამტრედიის ვაგზალზე დიდი ამბით გაუცილებიათ, — რენამ გამოძენძილ ქვედაბოლოს ძაფი მიაწყვიტა.

— ა, დამბუძგა! — ქეთინიამ ჟრჟოლა იგრძნო და საკუთარ თავს მოეხვია, — ამისანე საბუძგიებს ყობა აგი სუ!

— ის ბავშვები დაიზარდნენ, შაბათობით შეუთვლელად რომ მიდიოდნენ ებრაელებთან და საოჯახო საქმეებში ეხმარებოდნენ. ახლა ისინი არ აკარებენ მტვერს ჩვენს სახლებს და მაცევებს, ჩვენების საფლავებზე თურმე ბალახს ვერ ნახავ... — გადაყლაპულ ცრემლებს წყალი მიაყოლა რენამ.

— დიდუ, რაფერ იცის მოყოლა! მანტროვს სახსრებში! — მუხლებზე დაისვა ხელი ქეთინიამ.

— ჰო, მეც მსმენია ბებიაჩემისგანაც, შაბათობით ურიებთან მივდიოდით და ცეცხლს ჩვენ ვანთებდითო, — ანიკომ კედელზე ჩამოკიდებულ ფოტოს გახედა.

— რენა, რაფერ ეწერა იმ წინგზე? მიდი, თქვი, თქვი! — ყელის გამოწევით შეეხვეწა ქეთინია.

— „ეს თორა ღირს აბაზი,
პატრონი ყამს ლამაზი,
დამწერელი ბედნიერი,
წამკითხველი მეცნიერი.“

რენამ გვირგვინი გვერდულად მოირგო, ბოლო ორი სტრიქონი კიდევ ერთხელ გაიმეორა და ქალებს გაუღიმა. მერე ანიკოს მიუბრუნდა, ბალახებს ქეთინია მიხედავს, მე ხეებს შემოვუბარავ, თორემ ისეა გაქვავებული მიწა, ფესვები წვიმით წყურვილს ვერ მოიკლავენო. ანიკომ მექისგან ნათხოვარი ბარი და ფოცხი ქალებს ჩამოურიგა და თვითონ ეზოში მოფენილი თუნუქის ძველი ფირფიტების, ბადეების, ხის ტოტების და რეზინის მილების ერთ ადგილას მოგროვებას შეუდგა. რენა ძლიერად არტყამდა ბარს მიწას და ძალდატანებისგან დროდადრო ღონემიხდილ ბგერებს გამოსცემდა. ქეთინიამ უსიცოცხლო ამბროზიებს ფოცხით ერთ ადგილას მოუყარა თავი და შეყოლილი ბალახების გამორჩევა დაიწყო: „აგი მატიტელაა, ეგი მაკოციაა! ხო იცი, მაკოცია? საპოვნელას ამ უვარგისებში რა უნდოდა, ვენაცვალე ამას! შეხედე-შეხედე, რეჰანი! სუნი კი მეცა, ხო იცი! ამყობა ახლა და მომაშიებს.“

ანიკომ საქმე ქეთინიას გადააბარა და ნაგავსაყრელზე უსარგებლო ნივთების ურიკით წაღება სთხოვა. ქეთინიამ, სამი გზა მაინც დამჭირდებაო. ჰოდა, სანამ მოითავებ, ხაჭაპურებიც დაგხვდებაო და წყლით სავსე ქვაბი ცეცხლზე შემოდგა. მალე მიწის, ბალახისა და მწიფე ტყემლების მაცოცხლებელი სურნელი მდუღარე წყლის ოხშივარმა გაფანტა და მოხარშული ცომის მადისაღმძვრელმა სუნმა ქალებს მაგიდასთან მოუყარა თავი. თავიდან ქეთინიამ იუარა, რაცხა ვმიზეზობ და ფეხმძიმედ არ ვიყოო. ქალების გაოცებული მზერის პასუხად, მუცელს მოეფერა და თვალდახუჭულმა ღიმილით წარმოთქვა — „ჰენრიხიას ლოყაზე ნაჟდომმა კოღომ თუ მიკბინა, მოგხედათ ღმერთმა!“ მერე მოლოგინების დროის გამოთვლა დაიწყო და თითებზე ანგარიშით თავგზააბნეული რენას მიუბრუნდა.

— ერთი, შენ ის მითხარი, დღეს რა დღეია და თვეში ჩადგომა როის მიწევს?

რენამ ჯიბიდან რვეულიდან გამოჭრილი პატარა ბლოკნოტი ამოიღო, გადაფურცლა, წვრილად ნაწერის კითხვისას თვალები მოჭუტა და დაბეჯითებით გამოაცხადა — კვირაა!

— უი, რას ამბობ, რენა? ორშაბათია! — გაიკვირვა ანიკომ.

— ასეც მივხვდი, არეული გაქვთ დრო და ამიტომაც არის, რომ შვიდი წელია, აქეთ არ ყოფილხართ. ერთხელ თუ აცდი ჭეშმარიტ კალენდარს, მერე ძნელია, ცხოვრებას დაეწიო, — რენამ ტუჩის კუთხეები ხელსახოცით ნაზად მოიწმინდა.

— ეს რა არის, რენა? რა დაგაქვს ჯიბით? — დავთარზე მიანიშნა ანიკომ.

— პერელმანის კალენდარია, ათი წლის წინ გამოვიგონე და იმიტომაც მიკრეს თავი ფსიქიატრიულში! — ბრაზისგან სახეზე წამოწითლდა.

— ისე, აგი მაგრა უბერავს, არა? — ქეთინიამ რენას თვალი ჩაუკრა, ვაშლი მადიანად ჩაკბიჩა და სეირის საყურებლად მოემზადა.

— ახლავე აგიხსნით, ორშაბათი საერთოდ არ არის ჩემს კალენდარში, როგორღაც ამძიმებდა და კედლიდან ვარდებოდა, — რენამ ბარის ტარისგან ნატკენ ხელს დახედა და ტუჩებთან მიიტანა.

— და ექვსი დღეა კვირაში? — ანიკომ ცნობისმოყვარეობის ნიშნად ჭამა შეწყვიტა.

— არა, დღეების რაოდნობა იგივეა, მაგრამ ზოგს დიდი სამშაბათი აქვს, ზოგს დიდი კვირა. გააჩნია. როგორც მოისურვებენ. ეს კალენდარი რომ გამოვიგონე, დიდ ქაღალდზე დავხატე და ცაზე ავაკარი, ყველას რომ ენახა. კოტ დივუარი და პარაგვაი თანახმა იყვნენ პერელმანის კალენდარზე გადმოსასვლელად, მაგრამ იცით, რა შემოთვალეს? ჯერ თქვენს ქვეყანაში გამოსცადეთ და თუ უკეთ წავიდა ცხოვრება, ახალი წლიდან ჩვენც შემოგიერთდებითო, მაგრამ ნოსირი აჯანყდა — ორშაბათიდან ვგეგმავთ ყველა კარგი საქმის დაწყებას და ამ დღის ამოღება კარგს არაფერს მოგვიტანსო. მოკლედ, როგორც იყო, იყო. მოვა დრო და ამ პატარა ბლოკნოტს მოიკითხავენ, აი, ნახავთ! — ნიშნისმოგებით დააქნია თავი რენამ.

— ეჰ, მე კიდო რა მიჭირს, ამან თლა დაკარგა ჭკუა! — ხმამაღლა გაიცინა ქეთინიამ და თან სახეზე ხელი აიფარა, რენა არ მომიბრუნდეს და არ წამითაქოსო.

— აცადე, — ანიკომ ზურგზე ხელი დაადო ქეთინიას და რენას გვერდით ფეხმორთხმით დაჯდა.

დასასრული მე-12 გვერდზე



ლექსს — დამწერიც კი რად უნდა

ლექსს — ხასიათი რად უნდა,
სიხარულიც — კი რად უნდა,
ცრემლი ლოყაზე — რად უნდა,

ხელმა რომ თოვლი დაგუნდა,
წვიმა რომ გზაზე დაგუბდა,

ლექსს — შთაგონება რად უნდა.
ტალიკანას ტანთ რად უნდა.
საგზალი მისი — გზა უნდა,
სიყვარულიც ხომ რად უნდა,
გამოგონება — რად უნდა...
თვითონაა — თავის მძახი,
სხვისი ძახება რად უნდა,
ია-ენძელა — რად უნდა,
ვარდი-ეკალი — რად უნდა,
ლექსში ყველა სულდგმულია,
იმის ჩამოთვლა გრძლად უნდა,
ლექსს — წამკითხველი რად უნდა,
ლექსს — დამწერიც კი რად უნდა.

ყოველი ქალი

ყოველი ქალი, როგორც ცალ-ფრთა ფრინველი, ისეა,
მეტი დაბადება მისთვის არ არსებობს.
ყოველი კაცი — შემცოდეა,
მეტი დაბადება მისთვის არ არსებობს.

ყოველმა კაცმა უნდა მოიკლას თავი,
და, ისევ აღდგეს,
უნდა დაეცეს მუხლებზე
და სთხოვოს პატიება...

ყოველი ქალი, როგორც ცალ-ფრთა ფრინველი, ისეა,
ყოველი კაცი — შემცოდეა,
მეტი დაბადება მათთვის არ არსებობს.

ლექსი — ყველასი

ამ ერთმა ლექსმა უნდა შემინახოს
თუ ქვეყანაა — ამ ერთმა ლექსმა
არ უნდა უცადოს მეორეს მესამეს
ამ ერთმა ლექსმა უნდა შემინახოს

უნდა შემეძლოს ვიყიდო სახლი
უნდა შემეძლოს ვიყიდო პური
უნდა შემეძლოს მხრებში გავიმართო
თავი ავწიო წავიდე გზაზე
ამ ერთმა ლექსმა უნდა შემინახოს

365 წყენის დღე

საქართველოში წყენის დღე
სამასსამოცდახუთია,
ერთი სხივი თუ გამოკრთა,
ძაფის უწვრილე წუთია.

ეს წანწკატა ჩიტები

ეს წანწკატა ჩიტები,
სჩანს, რომ ცოტად მიტანენ,
რაკიღა ღობეები
ქვემოთ ჩამოიტანეს,
ეს წანწკატა ჩიტები
შეცდენილნი არიან,
ცოდვილ კაცთან ახლოში
ყოფნა რომ უხარიათ
და მე მინდა ვურჩიო,
მიჰყვნენ თავის ბუნებას,
რადგან მინაზე მყოფი
მუდამ იცვლის გუნებას.

* * *
არავინ არ მეკარება, სახლში მიზის ქალი მარტო,
ვიცი მე ამის მიზეზი, არავინ არ განმიმარტოს,
არავინ არ მეკარება, გადის ნელა ზაფხული,
რა ქნას ქალმა უცოდველმა,
სახლში უზის საფრთხული.

იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ჩემში ჩიტი

იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ჩემში ჩიტი,
დაფრინავდა და ლაღობდა, ცხოვრება ჰქონდა მშვიდი,
შარაგზა არ ჭირდებოდა, არც გადებული ხიდი...

მაგრამ, ერთხელაც იკითხეს,
ვინ ჩიტი არის ესაო?
მენელსაცხებლე რუსუდანს
ბარათი მიართვესაო:
— გვითხარი, ვინ ჩიტი არის,
არღვევს საერთო წესსაო?
— ეგ ჩემი მოსწავლე არის,
ხარანაული ბესაო!
მართლა შავი არ გეგონოთ,
იორზე მწყემსავს თხებსაო,
საღამოხანსღა ბრუნდება,
ჯოხს კარზე მიაგდებსაო.

წვიმის წინ

არვინ ფიქრობდა სოფელში,
გაღმა წვიმს, აქაც მოგვივა,
იქნება დიდი ყაყანი
წყლისგან წაღებულ ბოგირთან.

— აგე, დაასხა კიდევაც,
სიტყვა ამიხდა წამზედა,
ეს ორნი რასა ფიქრობენ,
დაყუდებულნი გზაზედა,
სეტყვაც კი ვერ გააშველებთ,
შემდგარან მუქარაზედა,
ბიჭოს, ხელებსაც იქნევენ,
თან მეხი გატყდა ცაზედა,
აქიდან რას გავაშველებ,
შორსა ვზი, აივანზედა.

სანატრელი შენ კი არ იყავ, ცხოვრებავ

სანატრელი შენ კი არ იყავ, ცხოვრებავ,
მე ვიყავი სატირალი, რომ შენ გნატრობდი.
ბეჩავი შენ კი არ იყავ, ქვეყანავ,
მე ვიყავი სნეული შენი სახადით.
სიკვდილო, არავის კი არ მოუმატე,
მე დამაკლე მარტო დღეები.
სხეულო, ათასჯერ გრძელი გზა იარე,
სულმა კი უმალ ნახა დედაჩემი.

მითამც, გლოვის სიტყვები არ შემეფერება,
რადგან ვხარობ თავისუფლებაში.

ზოგი დღე

ზოგჯერ როგორი დღე იყო ხოლმე,
ზოგი დღეთაგანი,
კი არ ყანყალებდა, ჩამოვარდნაზე კი არ იყო,
როგორც სურათი,
თვალის გახელვისთანავე იცოდი, რომ იყო
ერთი ნამდვილი დღეთაგანი,
როგორც სურათზე ნანახს განასხვავებს
ხოლმე ნამდვილი...

ზოგჯერ როგორი დღე იყო ხოლმე,
ზოგი დღეთაგანი,
მარტო ტანის აყოლა უნდოდა,
არაფერი აკლდა, სურვილსაც რომ ვერ მოუგონებდი,
ისეთი დღე იყო ხოლმე ზოგჯერ,
ზოგი დღეთაგანი...

* * *
შაშვო, ვინ გეკითხებოდა
ამინდის გამოცნობასა,
ყინვა რომ შეწყდა, ასტვინდი,
კაცს მოიყვანდი გრძნობასა,
მაგრამ შემოსწყრნენ ზეცაში
მაგ შენსა ამაყობასა,
ყინვა უკანვე მობრუნდა,
სხვაგან წასული გზობასა,
გაგყინა, ჩემო ძმობილო,
ველარ დამიწყებ ხმობასა.

* * *
შემხაროდნენ კაცუნები, როცა კი თავს ვაცდუნებდი,
იმათ კი არ ვაცინებდი, ჩემს თავს ეშმაკს ვაცილებდი.

ვარდის ძირში ვარდი გდია

ვარდის ძირში ვარდი გდია,
ვერ შევიცან ვარდად,
არაფერი არ მერგება,
წერა-ჩხაპნის გარდა,
ცელი ნამყენს შევამტვრიე,
თოფი გამივარდა,
ბილიკი ამიყირავდა,
რომ მივყავდი ქალთან...

ახლა დროა ჭკვა ვისწავლო,
ამ სიბერის კართან,
ყველა სხვა საცთურისათვის
ჩამოვუშვა ფარდა,
არაფერი არ ვინდომო,
წერა-ჩხაპნის გარდა.

შიში კარგა ყოფნისა

კაცს ეშინია კარგა ყოფნისა, — მერე რაღა ქნას?
გუნდს ეშინია მოგებისა, — მერე რაღა ქნას?

ქვეყანას ეშინია წელში გამართვის, ამავე მიზეზით.

კარგა როა კაცი, ხომ უნდა აკეთოს?
გამარჯვებულმა კიდევ ხომ უნდა გაიმარჯვოს?
გამართული ქვეყანა ხომ უნდა გამაგრდეს?

წაგებულს არ მოეთხოვება,
შეუძლია იჯდეს და წუწუნით გაერთოს...

არაფრისმქონე თავისუფალია,
შიშველზეც ადრე უფრო თვითონაა.

როგორ იწერება?

როგორ იწერება?
— ბწკარ-ბწკარად,
სტვენა-სტვენით,
წვეთ-წვეთად —
სანამ იგრძნობ, რომ უკვე დასველდი,
სანამ იგრძნობ, რომ ცეცხლი კალთებიდან
ტანზე აგვარდა,
რადგან ნაწერი ადამიანის დარი ნამწვია,
ამიტომ მიწაში კი არ უნდა დამარხონ,
უნდა დაჭმუჭნონ და ცეცხლში შეაგდონ.

ნუ დაიქადნებ, ხვალე რას იზამ,
თუ ძალა შეგწევს, ამ წამს დაუმიზნე.

* * *
რაც არავინ მითხრა,
ჩემს თავს მე ვუთხარი,
დავარჭე ლურსმანი.

* * *
ყველაფერი ადვილია, ხოლო ნერვებია საქანელა,
ადამიანს აშინებს კიდეები.
ძაფის ნაწყვეტი რომ ტანზე აჰყვეს,
ეშინია, რომ ქსელი არ იყოს,
არ იყოს ლაბირინთი.

რას დასტრიალებ, ყორანო, აემ ქვიტკირის სახლსაო...

რას დასტრიალებ, ყორანო,
აემ ქვიტკირის სახლსაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ ცხოვრობს კაცი მარტუა,
არც კი ყოლიობს ძაღლსაო,
არც გადადგება ბანზედა,
არც ვინმეს გაუძახსაო,
— რა ამბებია ქალაქში,
აქ კი ყინვები ასაო,
მალე შავდივართ სახლებში,
ლოგინს ვაფარებთ თავსაო...
ნუ დამყრანტალებ, ყორანო,
ნუ გადამკიდებ შარსაო,
დაგადებ თოფის ნიშანსა,
ჩაგაგდებინებ ხმასაო,
გადავვარდები ცოდვაში,
დავიწყებ არყის სმასაო,
საბლის თოკივით გავაბამ
ჩემებურ გამბულასაო.

ქალზე და ლექსზე...

ქალზე და ლექსზე ვწვალობდი,
რაც თავი მახსოვს ბავშვობით,
სასმელსაც ვეტანებოდი,
ვიყავი ჭიქის დამშრობი,
აჯილღა ცხენს რო ეკბინა,
არ ვიყავ ხელის გამშობი,
ქალს ფანჯრით შევუძვრებოდი,
თუ იყო კარის დამხშობი...

აწ სიბერე მჭირს, წავიდა
დრო ჩემი ხმალ-ქარქაშობის,
ჩავჯდები საკარცხულშია,
თავს დავიმძიმებ მახშვობით,
გარს შემოვიჯრი ქალებსა,
ვინ ახალს, ვინმეს დავშორდი,
ვილექსებ, ვიმხიარულებ,
მოვკვდები ამ თამაშობით.

საიქიოდან გამოტანილი ლექსი

მწყინს, ისეთი არ ვიყავ, რომ შენ გყვარებოდი.
სიყვარული შენთვისაც კარგი იქნებოდა,
როგორც ყველასთვის,
როცა ვინმე უყვარს.

მაგრამ მე ისეთი არ ვიყავ, რომ შენ გყვარებოდი.

ბევრი რამ შევქმენი: მიწა, მთა, მდინარე
და გზა შევქმენი.

სახლიც კი შევქმენი.

ხალხი, იქით მაცქერალი, აქეთ მოვახედე,
მაგრამ ვერ შევქმენი ჩემი თავი, რომ შენ გყვარებოდი.

ყველა მოტივი იმაზეა, რომ სძლიო რაიმეს,
არსად წერია, რომ იყო ძლეული,
იყო ისეთი, რომ შეუყვარდე.

შენთვისაც კარგი იქნებოდა:
ცარიელი აივსებოდი,
სიცხეში არ გექნებოდა გრილი საძებნი,
სიცივეში — სითბო...

ვისაც უყვარს, დანარჩენი ადვილად უგვარდება.

მწყინს, რომ ამდენი რამ მოგაკელი,
მწყინს, რომ არ ვიყავ ისეთი, რომ შენ გყვარებოდი.

ვინ არის ეს ბიჭი

სასურველია რომ იყოს გეოლოგი
მაგრამ არ არის გეოლოგი
სასურველია რომ იყოს თბილისელი
მაგრამ არ არის თბილისელი
სასურველია რომ იყოს ლამაზი
მაგრამ არ არის ლამაზი

სასურველია შეგამჩნიოს და არ დაგინახოს

ვინ არის ეს ბიჭი რომ გაიარა და
რომ არ მოიხედა რომ არ დაუძახე
ვინ არის ეს ბიჭი შავგვრემანი
რომ არა და ქერა რომ არა
და რომ დაგინახაი
და რომელსაც სცემეს
რომელიც მოკლეს რომელიც გადააგდეს

სასურველია რომ იყოს ცოცხალი
მაგრამ არ არის ცოცხალი
სასურველია რომ იყოს გეოლოგი
მაგრამ არ არის გეოლოგი
სასურველია რომ იყოს გამოსული
მაგრამ არ არის გამოსული
სასურველია რომ იყოს მაღალი
მაგრამ არ არის მაღალი
სასურველია რომ იყოს დაბალი
მაგრამ არ არის დაბალი
სასურველია რომ იყოს მამალი მაგრამ არ არის მამალი
სასურველია რომ იყოს დედალი
მაგრამ არ არის დედალი
სასურველია რომ იყოს ცოცხალი
მაგრამ არ არის ცოცხალი

ვინ არის ეს ბიჭი რომ გაიარა
მაღალი რომ არა დაბალი რომ არა
ვინ არის ეს ბიჭი წეღან რომ იყო გამოსული
რომ არა რომ არა ხიხო
ვინ არის ეს ბიჭი რომ არ მოიხედა
რომ იმან გაასწრო ვინაც რომ მისდევდა
ვინ არის ეს ბიჭი ვიღაც არ ეძახის
სასხლავი წაიღო დააგდო ვენახი
ვინ არის ეს ბიჭი რომელიც ბიჭია
რომელიმე სახელი რომ არ აირჩია
რომელსაც ეჭვია რომ აღარ ერჩიან
რომელიც მოკლეს რადგანაც არ იყო
წყალში გადააგდეს წყალმა არ წაიღო
დედა მოიყვანეს დედისა არ იყო
მამა მოიყვანეს მამისა არ იყო
წაიღეს სოფელში სოფლისა არ იყო
ატარეს ქალაქში ქალაქის არ იყო
დაჭრეს დაკუწეს ქვეყანამ გაიყო

* * *

გაზაფხული ვიყავ, მე რა მიჭირდა,
ღვინოს ვსვამდი წელიანი ჭიქითა,
მაგრამ უცებ თავს დამადგა ზამთარი,
თქვა თუ: — ბიჭი წასასვლელად მზათ არი,
წავიყვანოთ საიქიოს ბაღებსა,
აქ ვაგლახად ბალღებს უჭამს ნაღებსა...

დავდე ლუკმა, აბა რაღა მეთქმოდა,
კარგად მყავდეთ, ჭიქავ, ჩაი, ქეთლო და
შოთიპურო, მოპარულო ოლასა,
აწ წატყვევნას ვარჩევ წამოყოლასა...

* * *

— მთვარევ მთვარევ წუთით დადექ
ქვეყანა რომ მოიარე
როგორ იყო ჩემი მიწა როგორ დაგხვდა ჩემი მხარე
— შენი მიწა სამოთხეა როგორც ბაღი მსხმოიარე
მაგრამ დამკრეფი არ ჩანდა ცოდვით ფეხი გავაჩქარე
— მთვარევ მთვარევ არა მჯერა
დავიწყნოდეთ ყურძნის კრეფა
— სადაური ძაღლი სად ხარ სადაური სადა ყეფავ
ნისლი იდო მთელ მიწაზე ალბათ გაეჭიმათ სეფა
— მთვარევ მთვარევ რომ იჩქარე
როგორ ნახე ჩემი სახლი
— ჯაჭვი ხეზე ჟღრიალებდა მაგრამ ზედ არ ება ძაღლი
— მთვარევ მთვარევ ერთსაც გკითხავ
ვინა ნახე რომ იარე
— მამაშენი მკვდარი არის დედაშენი მგლოვიარე
შენი ძმები მთვრალებია შენი დები მითუარე

მე სიცოცხლე რისთვის მინდა

მე სიცოცხლე რისთვის მინდა, თუკი შენ არ მოგახარე,
ეს გითხარი, ის გითხარი, გაცინე და გახარხარე,
უშენობა რისთვის მინდა, უშენობა არის მწარე, რასაც კი
არ მივადექი, ვერაფერზე დავემყარე, იქ ვიყავი, აქ
ვიყავი, მთა და ბარი მოვიარე, უშენობა მე არ მინდა,
უშენობა არის მწარე... სამოთხე რომ ტკბილი არის,
სიცოცხლე რომ არის მწარე, ეს ხომ ძველი ამბავია,
სჯობს ახალი იყოს რამე, საიქიოს გამოექეცა, კარი
მაგრა მიუჯარე, აკი ღმერთსაც ეამება სატრფოების
სითამამე, მთაწმინდის დაღმართს ჩამოჰყევ, როგორც
წყარო მსხლტომიარე, მე რუსთაველზე დაგხვდები,
ჭადრის ძირში მდგომიარე.

* * *

რა კარგი იყო, რა მშვენიერი, მე დავალაგე სახლი გუშინ
და მე დავამარცხე ერთი ეშმაკი, შვიდი მიყურებს
ფანჯრის შუშიდან...

ვღელავ, თავს ვებრძვი, რა ვქნა, რა ვუყო, გავუღო კარი,
თუ არ გავუღო? ბოლოს შევძახე — არა და არა! რაც
დამარბიეთ, ისიცა მკმარა, ჩაი მაქვს კარგი, მწვანე და
შავიც, მაგრამ ლუდი და არაყი — არა!..

რა კარგი იყო, რა მშვენიერი, მე დავალაგე სახლი გუშინ
და მე დავამარცხე ერთი ეშმაკი, შვიდი მიყურებს
ფანჯრის შუშიდან...

არამდა, რამდა ქნა, არამდა, რამდა ქნა, არამდა, რამდა
ქნა, არამდა, რა?..

* * *

სატრფოს ქორწილში ვიყავი, მზითვებისგან ვიქეც ფეთად,
ბევრი იყო საჩუქარი, რა ჩამოთვლის იმათ ფერთა,
ყელსაბამთა, ტრიკოთ ჭრელთა, გუგუმიან საყურეთა...
მე სინანული მივართვი, მივაბნევდი ზედაც ცრემლთა,
ისღა მქონდა დარჩენილი, რაიც მისგან არ წამერთვა,
მზითვი ყველა წაუხდება, ეს დარჩება ერთადერთა...

* * *

რამდენი ხანია, პოეტი არა ჰყოლიათ ადამიანებს,
ისეთი, როგორზეც ოცნებობენ პოეტები საკუთარ თავზე.
ყმაწვილდებიან, ბერდებიან, აღარც კი წერენ,
მაგრამ ოცნებობენ
და სულ თვალწინ უდგათ პოეტი,
რომელიც, რამდენი ხანია, არ ჰყოლიათ ადამიანებს.

* * *

ყოფაში განსწავლულისთვის
საკუთარი თავი დელიკატური პერსონაა —
ფუის ვერ ეტყვის.
პოეზიაში განსწავლული კი, ბერივით —
ყოფას ერიდება,
რომ არ შეირიოს, როგორც აბრაამი დადიოდა
ღმერთთან ასაქცევი გზით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი წიკლაური

ხელგაშლილი ძუნწი რაგო

1

დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც ვმუშაობდი, შეფს ეძახდნენ. იგი თვითონვე დებდა ხელშეკრულებებს მოწინავე ფირმებთან, მსხვილ ინვესტორებს პოულობდა და წარმატებულ კომპანიებთან აგვარებდა ურთიერთობებს. ყველანი დიდ პატივს სცემდნენ და ჩვენც რიდი გაგვაჩნდა მის მიმართ. თუმცა ყოველი ჩვენთაგანი თავის უღიმღამო ცხოვრებას განკარგავდა და როგორც წესი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ყველაზე შეუმჩნევლად მიმდინარეობდა, მაგრამ ვერც წარმოგვედგინა, მის გარეშე რა უნდა გვექნა. ყველაფერი გულთან ახლო მიჰქონდა, წვრილმანიც არ გამორჩებოდა და ბუბუნა ხმით მთელ დერეფანს აზანზარებდა:

— შვილიშვილი როგორ გყავს, მეგობარო?

— შვილიშვილი არა მყავს, შეფ! — პასუხობდა მეგობარი, ვისი სახელიც ვერ გაიხსენეს.

— მაშინ შენ შვილს გადაეცი, ოჯახს მოეკიდოს და ნუ აგვიანებს!

— არც შვილი მყავს, შეფ!

— მაშ, გამოდის, რომ შენ აგვიანებ!

სამსახურის ეზოში თანამშრომლები შეფის ძაღლს მორიგეობით ასეირნებდნენ ხოლმე. მოფერებით მეფის ძაღლს ეძახდნენ, ინგლისური დოგი იყო და მისი კეთილშობილების ყველას ისე გულწრფელად სჯეროდა, რომც დაეგლიჯე, დამნაშავედ შენ მიგიჩნევდნენ. იმ დღეს კი რატომღაც არ გამოჩენილა, ეტყობა შეფი მარტო მოსულიყო. შემდგომში აღნიშნა კიდეც, კარგი ვქენი, მარტო რომ მოვედიო — სასწრაფო დახმარების მანქანაში რომ ჯდებოდა, მაშინ უთქვამს.

მე არასაწარმოო პროდუქციის აღწერა მევალებოდა, ნუსხაში შეტანილი რიცხვები რეალურს უნდა დამთხვეოდა. მთავარი იყო, აურაცხელ ინფორმაციაში ჩემთვის საჭირო მეპოვა. როცა შარშანდელ მონაცემებს შევადარე, დავრწმუნდი, რომ სხვადასხვა მაჩვენებელი იყო. საქმის არსში გარკვევა მრავალ წვრილმან დეტალს მოიცავდა. გული ამიტომაც ავიყარე, მაგრამ სადაც უნდა მემუშავა, ყველგან თავისი შიდა განაწესი ექნებოდათ, რომელთანაც შეგუება მომიწევდა. ჰუმანიტარული საგნების წყალობით იყო, ასე თუ ისე განათლებულ კაცად რომ მთვლიდნენ, თორემ ბევრ საკითხში დიდად არც კი ვიყავი გარკვეული.

იმ დღესაც მონიტორს დავყურებდი, შეფი რომ დაგვადგა. ყველას მოუსვენრობა შეგვეტყო, განა გემების რევიზორი ტივისთვის მოცდებოდა? ის იყო, მონაცემების ჩვენება დავაპირე, რა დროს ეგენიაო, სკამზე მობუზული დაეშვა, სიცხე მიწევს, სიცივის შეგრძნება მთრგუნავსო, თქვა. უსახო მასაში ტრიალით გაბეზრებულს განმარტოება წყუროდა, თუმცა მალე დაწესებულების ყველა ცნობისმოყვარე თანამშრომელმა იქ მოიყარა თავი.

— სიცხის გასაზომად ალბათ თერმომეტრი დაგჭირდებათ, შეფ? — მოწიწებით შეეხმიანა სართულის სანიტარი.

— არა, ფარენჰაიტის შკალა მირჩევნია! — გაგულისდა შეფი.

— ეტყობა ავად ხართ? — გულისხმიერად შენიშნა განყოფილების გამგემ.

— ჰო, ავად ვარ! — საწყალობლად აღმოხდა შეფს.

ამ სიტყვებმა სამხედრო პირი მომაგონა, პანსიონის მკვიდრი. ეს პანსიონი ჩვენს მეზობლად მდებარეობდა, გრძელი აივნით უმნიშვნელო პანთეონს რომ გადაჰყურებდა, სადაც მხოლოდ ერთი ცნობილი ადამიანი ემარხა, მაგრამ პანთეონი უწოდეს. პანსიონში ძირითადად მოხუცები იწვნენ, რომელთაც გამოსაჯანსაღებელი მკურნალობის სრული კურსის წარმატებით გასრულების შემდეგ იქვე რომ ასაფლავებდნენ. რომელი მარკეტინგული გათვლის წყალობით აღმოჩნდა პანსიონი პანთეონთან? ეს ხომ ცუდად ენიშნებოდათ. ბავშვთა ბაღს რომ „ვაი-ვიში“ უწოდო და მერე მომსვლელთა ნაკლებობას უჩიოდე. მაგრამ იქნებ პანსიონი პანთეონზე ადრინდელი იყო, მთის ფონზე კიდევ უფრო თვალსაჩინო რომ ხდებოდა. ჭაღარა მთა ბებერ მწყემსს ჰგავდა, მოხუცთა ცხოვრების სევდიან დამკვირვებელს, ღრმა ფიქრებში ჩაძირულს და სქელი ღრუბლებით გარემოცულს, რომელთაც ქარიშხლის ამოვარდნაც ტაატით თუ დაძრავდა მხოლოდ, ცა რომ კიდევ უფრო გაუმჭვირი გამხდარიყო.

აქეთ უბანში ოთახებს კაპიკებში აქირავებდნენ, მაგრამ ფარღალალა კედლები ჰქონდა, ადვილად გაცივდებოდი და წამლებში მეტი ფული წაგივიდოდა. გაცილებით ძვირად თბილი და მდიდრული სახლები ქირავდებოდა უშველებელი აუზებით, ფერადი ნათურების შუქზე მოლაპლაპე ცემენტის ფსკერით და მოხატული ფილებით, რომლის სარკმლებიდან ისეთი სურნელება იფრქვეოდა, საკონდიტრო გეგონებოდა, ხოლო ვეებერთელა საათები დროის მსვლელობას ზარების რეკვით აღნიშნავდნენ, თითქოს ეპისკოპოსი მობრძანდებაო.

პანსიონში ღამის მორიგედ ვმუშაობდი შეთავსებით, თვეში ოთხჯერ მიწევდა. სხვებიც აკეთებდნენ ასე, მაგალითად ექსპედიტორები, ძუნწი რაგოც შემინიშნავს ათასში ერთხელ. პანსიონი საერთო საცხოვრებელს ჰგავდა, სადაც მრავალი ბგერა გაისმოდა ყრუდ, განსაკუთრებით გარიჟრაჟზე. მოხუცებს ძილი რომ აკლდებოდათ, უმალ აყაყანდებოდნენ ხოლმე. ღამღამობითაც უყვარდათ ლაზღანდარობა, შესაძლოა ნივთიერებათა ცვლის დარღვევის გამო უჭირდათ დაძინება, და თუ მაინც დაიძინებდნენ, გაღვიძება. სიბერე თითქოს მასხრად იგდებდა ადამიანს. ანდა იქნებ ისინი აქ ყოფნით უნდა დაღლილიყვნენ, სიკვდილის შეგრძნება რომ დაეძლიათ. როცა ახალგაზრდობას გტაცებენ, სევდასთან ქორწინდები, ხოლო სიცოცხლე თუ გიხარია, წვიმაშიც იცეკვებ დაჟინებით.

სამხედრო პირს პანსიონის ყოველი მკვიდრი ანგარიშს უწევდა, ისინიც კი, ვისაც გულზე დიდად არ ეხატებოდათ. მას ღმობიერ ცხოვრებასთან და შეღავათებთან შეურიგებელი დამოკიდებულება ჰქონდა და ყურებში ჩექმების მწყობრი ხმა და საბრძოლო სიმღერები ჩაესმოდა. წარმოსახვით ხან ავღანეთში იყო, ხან დედამიწის სხვა რომელიმე ცხელ წერტილში. მას მერე, რაც ასაკის გამო სამხედრო შენაერთებს ჩამოაშორეს, ცუდ დღეში ჩავარდა. ყავარჯნებით გადაადგილებას შინ დარჩენა ერჩივნა. გორგოლაჭებზე შედგმული სავარძელი კიდევ უფრო მეტად აღიზიანებდა. ფარდას გადასწევდა ხოლმე და შორიდან გაჰყურებდა ქვეყანას, რომელიც კლინიკის რეჟიმთან შეგუებას აიძულებდა, უმართავი რომ არ გამხდარიყო. მზერა მაინც ამაყი ჰქონდა, თითქოს ზღაპრულ სასახლეში გაეტარებინოს წუთისოფელი. იგი უბრალო სამოსშიც მოხდენილად გამოიყურებოდა, თუმცა ეს ძველმანებიც ისე შელახოდა, აღარც ჩაიცმეოდა, მაგრამ მომკითხავი არავინ ჰყავდა. ცხოვრება ბევრ სევდიან დეტალს მოიცავს, რასაც გულის განგმირვა ძალუძს. დიდი ხანია მისწრაფებების შენიღბვა უწევდა. დახშული გრძნობებით არსებობა მაღაროში ყოფნას ემსგავსებოდა, ჭერის ნაცვლად ცა რომ ჩამოგექცევა თავზე. ყველას ხომ არ ძალუძს დინების მიდევნება, მის ჯიუტ კაპრიზებს თავის სასარგებლოდ რომ იყენებს. მომვლელ ექთანს აჭარხლებული სახე და ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა, თითქოს შვებულებას ალპებში ატარებსო, თუმცა სახელმწიფო საზღვარი ერთხელაც არ ექნებოდა გადაკვეთილი, სამხედრო პირის მარადიულ შეკითხვაზე კი, როგორ ფიქრობ, რამდენი დამრჩენიაო, თვალებს უხერხულად აფახულებდა.

— რატომ მეკითხებით, ავად ხართ? — კრუხივით აქოთქოთდებოდა ხოლმე.

— არა ვარ ავად! — ბრაზით პასუხობდა სამხედრო პირი, რადგან სწორედ ეს შეკითხვა აღაშფოთებდა ხოლმე ყველაზე მეტად განსხვავებით შეფისგან, რომელიც კვლავ იმეორებდა:

— ძალიან ავად ვარ!

ჩვენ სამსახურში შეფის გამოჩენას ყოველთვის სწრაფი რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე. როგორ ხარ, ნაბიჯის შეუნელებლად გკითხავდა ხოლმე და შენც პასუხის გაცემა სხაპასხუპით უნდა მოგესწრო, სანამ თვალს მიეფარებოდა, თორემ ამბის გასაგებად შეყოვნება არ ჩვეოდა. ზოგადად გარშემომყოფთ თუ არ კიცხავდა, საყვედურობდა მაინც, მაგრამ იმ დღეს თავს უსიამოდ გრძნობდა და საწყალობლად დუმდა. ლაბორატორიიდანაც მოიკითხეს, ალბათ მუდამ ბევრი საქმე რომ ჰქონდათ, რადგან სულ ისეთი ნერვებმოშლილები ჩანდნენ, მისალმებაზეც კი ღრენით გპასუხობდნენ:

— რაო?

— გამარჯობა-მეთქი! — იძულებულს გხდიდნენ, თავი გემართლებინა.

— ნეტავ შენ, მოგცლია! — მრისხანე დამაჯერებლობით განგიმარტავდნენ, ზედმეტი კითხვა რომ არ გაგჩენოდა.

შეფი ხმას არ იღებდა, ჩვენ ვდუმდით, საპირფარეშოს ონკანი ბებერ ფამაჭივით ყრუდ ფრუტუნებდა, ვენტილატორი მომაკვდავივით ხრიალებდა, თითქოს ჩაჟანგებულ მექანიზმში ღერძი გაჩხერილაო, ხმაური ყოველი მიმართულებით უწყვეტად გაისმოდა, გეგონებოდა სადღაც, ჩვენს ქვემოთ, მიწის სიღრმეში მძიმე ქანები ღრჭიალით გადაადგილდებოდნენ, ყველაფერი წნეხის ქვეშ მოქცეულიყო, ერთმანეთზე ვიყავით დასრესილნი, ხოლო ჰაერი მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით აღმოჩნდა ჩვენს ზემოთ, მისი სიმკვრივე კუთრი ქმედების კოეფიციენტით რახან ჩამოგვრჩებოდა. ამ საყოველთაო, ყრუ ხმაურში მხოლოდ ჩვენ ვდუმდით, შეფის დუმილი რომ არ დაგვერღვია.

— შეფი ავად არის! — საწყალობელი ჩურჩული გაისმოდა მთელ დაწესებულებაში და ყოველი მნახველი შეფს ისეთი აღტაცებით მისჩერებოდა, თითქოს აიძულებდნენ, პირს თუ გააღებდა, რაღაც ფრთიანი დასცდენოდა, ლექსად გარითმული ბიბლიური სიბრძნე, მაგრამ ეს ალმაცერი შფოთვა უფრო სხვის დასანახად იყო მიმართული, ასე ვთქვათ, თავის დასაზღვევად, საპასუხისმგებლო წუთებში უყურადღებობა რომ არ გამოიჩინეს და არა თანაგრძნობით, ხოლო როცა ელიტარული სტუმრობა მიიწურა, ზღურბლზე კარისკაცი აისვეტა, გრილი საღამოებით და ვესტიბიულის ორპირი ქარებით გაბეზრებული, სახე დიდრონი სათვალეებით რომ ჰქონდა შემინული. არც რაიმე ემოციას გამოხატავდა დაღლილობის გამო, არც რაიმე პრეტენზიას გამოთქვამდა ანაზღაურებაზე, რადგანაც შეფს იმდენად პატივს მიაგებდა, მზად იყო მის მოლოდინში კართან ატუზულს გასამრჯელოს გარეშე ედარაჯა და სისულელეების ჩმახვის დროსაც კი ყურადღებით ესმინა. იგი ზღურბლიდან არც დაძრულა, იქ დგომას ისე იყო შეჩვეული და მხოლოდ მაშინ ჩაიჩოჩა ოდნავ, რაგო რომ გამოჩნდა, ჯოჯოხეთს ერთი მაშხალაღა აკლდაო, უილაჯოდ რომ შემოალაჯა თავისი რუხი ფეხსაცმლებით, წვეტიანი ჭვინტები და გაცვეთილი ქუსლები რომ ჰქონდა, დიდხანს რომ უძლებდა, რადგან ბინა იქვე ეკავა, ქოხმახების უბანში, სადაც მთელ ფონს ნახევრად დაგრეხილი ხეები ქმნიდნენ, სიმახინჯის კონკურსზე გამარჯვებულ წყვილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ წააგავდნენ. კორპუსის კედლებიც ისეთი დაღრეცილი მასალით იყო გამოჩორკნილი, თითქოს წყლით გაჟღენთილი მორები გამოიყენეს, დიდი ღელვისას რომ გამოირიყება ხოლმე ნაპირზე. ამიტომაც ვერ იქმნებოდა საზეიმო განწყობა, მას ყველანი ძუნწ რაგოს ეძახდნენ, დაფხავებულ ბარაკებში რომ ერჩია ცხოვრება, შორს წასვლა რომ არ დასჭირვებოდა. ალბათ ამ გზითაც ფულს ზოგავდა, განსხვავებით ჩემგან, გზაში ტრანსპორტის გამოცვლა ორჯერ რომ მიწევდა. ცენტრში ვცხოვრობდი, სადაც ქუჩა ფირნიშებით მოერთოთ, ფასადები ფერადი ნათურებით გაეჩახჩახებინათ, შადრევნები მარგალიტის ქაფად ჩქეფდნენ, ასფალტი ბაზალტივით პრიალებდა, რომელიც წვიმის დროს უფრო შავად ბზინავდა, ვიდრე მზიან ამინდში, თანაც გამჭვირვალე ზედაპირი ისე უკრიალდებოდა, ზედ საკუთარ გამოსახულებას დაინახავდი. ბორდიურებზე უცნაური ფიგურები იყო აღბეჭდილი, ეტყობა, მანამ ამოეტვიფრათ, სანამ შეღებავდნენ.

აქ მუშაობა რომ დავიწყე, საქმის ზედმიწევნით შესწავლა მოვიწადინე. რომელიღაც მცოდნე სტაფი მირჩიეს, მაგრამ რამდენჯერაც მივაკითხე, ორგვარი პასუხით მისტუმრებდნენ:

1. სტაფი ჯერ არ მოსულა.
2. სტაფი უკვე წავიდა.

არ მეწერა სტაფთან შეხვედრა და აღარც მიძებნია. სიცოცხლე ხანმოკლეა ხანგრძლივი ლოდინისთვის, მოცემული დროა ლაბირინთში, გასასვლელს რომ მიაგნო. ნუგეშად ტერიტორიაზე კაფეც გვქონდა. მებუფეტეს მისალმებაზე დაეჭვებული მზერა აღებეჭდებოდა ხოლმე, თითქოს სუფრის გაშლა მოგეთხოვოს. გამყიდველი გაცილებით გულისყურით გვექცეოდა, თანაც ისეთი ამაღლებული გრძნობების ქალი ჩანდა, შარლოტა უნდა რქმეოდა.

— ასეთ ამინდებში შენისთანა გოგონებს კალიფორნიასა და ფლორიდაში შეზლონგები გამოაქვთ პლაჟზე და მზეს ეფიცხებიან! — შევაქე ერთხელ. არ ვიცი, რა ეტაკა, მაგრამ მას მერე ჩემგან თავი შორს დაიჭირა. ყველაზე მეტად რაგოს დანახვა უხაროდა, კაფეს იშვიათად რომ სტუმრობდა ხოლმე და მაშინაც კარტოფილის ერთ ცივ ფუნთუშას თუ აიღებდა ხოლმე საწყალობლად, როცა თავისი რიგი მოუწევდა. რაგოს მიმართ არასდროს ვიყავი ცუდად განწყობილი, მაგრამ იმ აზრს, რომ სასტიკად ძუნწი იყო, მეც ვიზიარებდი. ერთმა დედაკაცმა კადრებიდან დასმენის წერილიც გამოაცხო, სიტყვები ყინვაგამძლე და წყალგაუმტარი მგზნებარებით რომ ჩამოეყალიბებინა და ტექსტი ზემდგომ ორგანოებს გადასცა:

— უნდა გაუწყოთ, რომ აღნიშნული პიროვნება სამსახურში გამოცხადებისთანავე მელოდიურ სტვენას იწყებს, რაც ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, სიღარიბეს იწვევს. თანაც რაც უფრო მელოდიურად უსტვენს, ფინანსური პრობლემა მეტად ღრმავდება. ერთი სიტყვით საზოგადოების კეთილდღეობა არ ადარდებს. დაუყოვნებლივ უნდა განვთავისუფლდეთ ამ მავნე ელემენტისგან, სანამ სულ არ გავკოტრებულვართ. ხელში მნიშვნელოვანი ფაქტები გვიჭირავს, მრავალჯერადი ჩასაფრებით მოპოვებული, მის წინააღმდეგ რომ მეტყველებენ (ხმის ჩაწერა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ჩუმად გადაღებული ფოტო ხელთა გვაქვს და ტუჩების დამრგვალებული მოხაზულობით ადვილად მიხვდებით, რომ უსტვენს.)

ხელმოწერა.

მისთვის არდასმენა შესაძლებლობაზე უარის თქმას ნიშნავდა, ხოლო თავისი გულწრფელობის ბაჯაღლო ოქროს ხარისხივით სჯეროდა, თავის კატუნი კი არ ჩვეოდა, ზურგსუკან ორმოს ამოთხრაშიც მარჯვე იყო და სათქმელიც პირში უნდა მიეხალა, თითქოს სიამოვნებდა, მოპირისპირე მხარეს სიმართლის მოსმენისას სახის ნაკვთები ტკივილით რომ ეგრიხებოდა. შეფის კაბინეტს ხშირად ხელების სავსავით ტოვებდა, თითქოს საკუთარ თავთან მსჯელობსო, რა ჯანდაბა მოეხერხებინა კოლეგა-პერსონალისთვის. მათდამი დამოკიდებულებას არ შეცვლიდა და ყოველ დილით ახალი განცხადების წერას იწყებდა უფრო ბეჯითად და მეტი შემართებით. ხანდახან შეფის მოადგილეებსაც წამოაძახებდა ხოლმე. თქვენ გამო კინაღამ სარფიანი მოლაპარაკება ჩაგვეშალაო. ეს საქმე შემდეგში მდგომარეობდა — ერთხელ შეფმა მსხვილი ინვესტორი მოიწვია ხელშეკრულების გასაფორმებლად. იგი გავლით იყო რუმინეთიდან. მოლაპარაკების დღე მაინცდამაინც შაბათს დაემთხვა, როცა შორიახლო მანქანების ბაზრობა იმართებოდა, სადაც მთელი საქართველოს ავტომოყვარულები მიაწყდებოდნენ ხოლმე. პირველ მოადგილეს, ნუკრი რომ ერქვა და შველივით უმანკო სახე ჰქონდა, ხელი უნდა მოეწერა საბუთზე, მაგრამ რატომღაც აგვიანებდა. თურმე სამსახურამდე მოსული ქუჩაზე ვერ გადმოდიოდა, ისეთი გიჟური მოძრაობა შექმნილიყო. ამის შესახებ ტელეფონით აუწყა შეფს. მაშინ შეფმა მეორე მოადგილე გააგზავნა საბუთით და საწერ-კალმით. მანამ გვერდზე გაიხმო, ინვესტორზე ანიშნა და ჩუმად დააბარა:

— მე ერთ-ერთი ყველაზე შებერტყილი კაცი ვარ, ვისაც ცხოვრებაში გადავყრივარ, ეს კი ჩემზე შებერტყილი ჩანს! ყველაფერი იღონე, რომ ეს მსხვილი თევზი ხელიდან არ გავუშვათ და ჩვენ წყალსატევებში ვიყოლიოთ!

მაგრამ მოგვიანებით მეორე მოადგილემ შეფს გულმოკლულმა გადმოურეკა, ვხედავ პირველ მოადგილეს, რომელიც მცდელობას არ აკლებს, თუმცა ქუჩაზე ვერაფრით გადმოდისო.

— შენ რაღას მიკეთებ! — აღშფოთდა შეფი.

— მეც იგივე მიზეზით ვერ გადავდივარ იქით, რა მიზეზითაც პირველი მოადგილე ვერ გადმოდის აქეთ! — სურათი შთამბეჭდავად დაუხატა შეფს, რომელიც ისე განრისხდა, კაბინეტის მთელ ავეჯს დალეწავდა, ინვენტარს ინვესტორი რომ არ გადაფარებოდა და სწორედ იმ დროს, როცა მასაც ამოეწურა მოთმინება, ოთახში მოადგილეები ქლოშინით შემოცვივდნენ, უმნიშვნელო ავარიებს თუ არ ჩავთვლით, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდაო. მას მერე შეფი პირველ მოადგილეზე ხშირად დაცინვით იტყოდა ხოლმე, ნუკრი უნდა დაერქვათო ამხელა კაცისთვისო.

— მაშინ ხომ პატარა იქნებოდა! — ხმალაღებული იცავდა კოლეგას მეორე მოადგილე, რომელსაც თავისი გასჭირვებოდა, რადგან სპარტაკი ერქვა, შეფი კი აქილევსს ეძახდა. რა უნდა ექნა, თუკი მენეჯმენტში განსწავლული ბერძნულ და რომაულ ისტორიაში დიდად ვერ ერკვეოდა. მეორე მოადგილეს ეს მეტსახელი აშკარად არ მოსწონდა, მაგრამ არ იმჩნევდა და აღშფოთებას ცივი ღიმილის საფარველში მალავდა.

დამსმენი ქალი თავისი საქციელის გამო შეიძულეს და გარიყეს, თუმცა რაგოზე ცუდის თქმას მაინც განაგრძობდნენ. მას ყველა ჭორავდა, განსაკუთრებით ოსტატის დამხმარე, წარმოშობით რუსი რომ იყო, მაგრამ აპრეხილი ულვაშებით პარიზი-პეკინის ავტორბოლაზე ჩამორჩენილ ბრიტანელ მძღოლს ჰგავდა და როცა რაიმეს ყვებოდა, დაელმებულ თვალებს განუწყვეტლივ აცეცებდა აქეთ-იქით, აბა, მისმენენ თუ არაო.

რაგოს სიძუნწე მრავალჯერ გამოვლინდა. თანამშრომლის გარდაცვლილ მშობელზე შესაწირავი ფული როცა გროვებოდა, მთელ სიას გადახედავდა ხოლმე, თანაც დაჟინებით იცოდა ჩაჩერება, მერე სიის გასწვრივ თითს გააყოლებდა, სადაც მიცვალებულის სახელზე გაღებული ყველაზე ნაკლები თანხა იყო აღნიშნული და ზუსტად იმდენს დადებდა.

— რა გიკვირს? — ამიხსნა ოსტატის დამხმარემ, შენობის შესასვლელთან რომ შემეფეთა — ეს იგივეა, ბნედიანის კრუნჩხვა იუცხოვო. რაგოზე ასე მსმენია, ადრე სამარშრუტო მიკროავტობუსზე მუშაობდა ქალაქში. ერთხელაც დაურეკეს, ნოტარიუსიდან გიკავშირდებითო, ახლავე ხელი უნდა მოაწერო საბუთზე, ანდერძით ტაფობის სახლს შენ გიტოვებენო. რაგო წინა მანქანას წამოსწევია და მგზავრები გადაუსვამს, საჩქარო საქმე გამომიჩნდაო. თურმე სადისპეჩეროდან ეხუმრებოდნენ და რაიმე არ მოიწიოსო, სიმართლე გაუმხილეს. რაგო დასწევია იმ მანქანას, საქმე გადაიდო და ჩემი მგზავრები ისევ უკან გადმომისვიო. ეს ამბავი ასჯერ რომ მოეყოლა, ასჯერვე გამეცინებოდა.

— თუკი სიმართლეებს ამბობ, აბა, მითხარი, შვიდჯერ შვიდი რამდენია?

— ორმოცდაცხრა! — მხრები აიჩეჩა ოსტატის დამხმარემ.

— მართლაც! ახლა კი მჯერა, რომ სიმართლეებს ამბობ! — განვაგრძობდი სიცილს, — მაგრამ მაინც გკითხავ, დედამიწა რუსულად როგორ გამოითქმის?

— ზემნოი შარ!

— ჰოდა, ყველანი შარში ვართ, მიწაზე მცხოვრებნი!

დავინტერესდი, ეგ ტაფობი სადღა არის-მეთქი, პატარა სოფელიაო ქართლში, მიპასუხა ოსტატის დამხმარემ, მერე კი განაგრძო, საღამოობით ხანგრძლივად ლოცულობსო. მე ისევ ამიტყდა სიცილი, რაგო რომ წარმოვიდგინე ხარბი გამომეტყველებით და ხელში სახარებით. მოკლედ ვესტიბულში ვსაუბრობდით, მოპირკეთებულ იატაკზე ვიდექით, სადაც პლინტუსები ბზინავდა და ინვენტარიც ძვირფასი და კრიალა იყო, მხოლოდ შალითაჩამოცმულ სკამებს ესაჭიროებოდა დროდადრო მოწესრიგება. ეზოში მიმოყრილ მუყაოს ყუთებს, წვიმას და მზის მცხუნვარებას რომ გაექერცლა და დაელრიკა, ისეთი პირი უჩანდა, ნაგვის მანქანას გაატანდნენ. შორიახლო ზიარჭურჭლებისთვის ცისტერნებიდან წყალს ცილინდრებში აზავებდნენ, გარკვეული შემადგენლობა რომ შენარჩუნებულიყო და ორთქლის ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა, როგორც ქვემეხის ლულებს ზალპის შემდეგ.

იმ დღეს შეფი სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

— მალე დაგიბრუნებთ! — დაგვაიმედეს ექიმებმა, თითქოს ჭადრაკის დაფა ეთხოვოთ, — დღეს პარასკევია, ვიმედოვნებთ, ორშაბათისთვის ფეხზე დავაყენებთ!

ცოტა ხნის შემდეგ კი შევიტყვეთ, რომ პანსიონში სამხედრო პირი გარდაცვლილა. რაღაცნაირი ფატალური დღე იყო. შუადღისას გამოასვენეს, თითქოს სახადი მოიცილესო და პანთეონის მიწას მიაბარეს. გული დამწყდა, მაგრამ ეს ამბავი ნუგეშსაც მოიცავდა. ამიერიდან აღარასოდეს შეაწუხებდა სიმარტოვე, სნეულება და ტუბერკულოზი. იქნებ სიკვდილი იმისთვისაა, სნეულება და სავალალო ყოფა რომ დაძლიოს. ასე კი გავიფიქრე, თუმცა თვითონვე არ მჯეროდა ჩემივე ნაფიქრის.

2

შაბათ-კვირას სოფელში წასვლა მქონდა გადავწყვეტილი მანქანის ჩამოსაყვანად. ერთი თვის წინ იქ დავტოვე, რადგან დალევა მომიწია. მერე კი ველარ მოვიცალე, მაგრამ დიდად არც მჭირდებოდა. დილით წვიმა იყო გამოცხადებული. თავზე ცელოფანი ჩამოვიფხატე და ავტოვაგზლისკენ გავწიე. ქუდი ვერსად მოვნახე. არც კი მახსოვს, ბოლოს სად შევჩურთე. კარგად გადანახულ ნივთებს დაკარგულად ვთვლიდი. აღარც ვეძებდი ხოლმე. შემთხვევით თუ გადავაწყდებოდი სადმე. ნივთებს კომოდის უჯრებში ვალაგებდი. იმდენი უჯრა ჰქონდა, საჭირო საგანს უცებ ვერც კი ვპოულობდი. ერთი ხანობა ვიწერდი, სად რას ვინახავდი, მაგრამ მერე ამ ჩანაწერებსაც ვკარგავდი და ხელი ჩავიქნიე.

ცა ისე გამოიყურებოდა, თითქოს ღრუბლების ნაცვლად მძიმე ქვები ეკიდა გრძელი, მორუხო თოკებით. შორს ისე იელვა, გეგონებოდა გავარვარებული რკინა მოიქნიესო. იქნებ ცა ელვის სახით გამოხატავდა ელდას, რომელსაც შეეპყრო, გრგვინვით კი ბრძოლის უხილავ ველს, შინაგანად რასაც განიცდიდა. შემხვედრი ტრანსპორტი გაჩენილ გუბეებს მოარღვევდა და ტანსაცმელზე მეშხეფებოდა. სულ გავილუმპე, ქუჩაც სველი იყო და გადახურულში შევეფარე.

გარემო შეცვლილი იერსახით წარმოჩინდა. ქალაქს, სადაც ათასი ქურდობა, ჩაგვრა და საქმის გარჩევა ხდებოდა, გადასახადები იკრიბებოდა, გზებს აგებდნენ, ახალ კორპუსებს აშენებდნენ, ლურსმნებს ჩარხავდნენ და ლამპიონებს ნათურებს უცვლიდნენ, თითქოს სინანული დაუფლებოდა. გამვლელები წვიმის გადაღებას უცდიდნენ და ცხოვრებაც როგორღაც მიმდინარეობდა, მაგრამ რაღაც მაინც ისე ვერ იყო. ჭექა-ქუხილი სცენის მოკარნახეს ჰგავდა, ენაჩავარდნილ არტისტებს ტექსტის სიტყვები დავიწყნიათო. შორს ფერებად დაშლილი ბორცვები წამით გაიელვებდნენ ხოლმე, სანამ საბოლოოდ გადაიდარებდა. არადა იგივე მსახიობები იყვნენ — ქარი, მიწა, ცა, მზე. ერთხელ სამეფო თეატრში ბოლო სეანსს დავესწარი, დიდებული სპექტაკლი დადგეს, მთელ ქალაქს რომ ენახა და აღფრთოვანებულები იყვნენ. დასრულების შემდეგ შინისკენ მიმავალი არტისტები გარეთ რომ დავინახე, ასე მეგონა, წარმოდგენა გრძელდებოდა.

ავტოვაგზალზე რაგოს გადავეყარე. როგორც აღმოჩნდა, ისიც ჩემსავით სოფელში მიდიოდა. ტაფობში? — ვკითხე მე. საიდან იციო, გაიკვირვა. მერე კი დაინტერესდა, მანქანით რატომ არ ვიყავი. სოფელში დავტოვე-მეთქი. ერთსა და იმავე ავტობუსში ჩავჯექით და თუმცა საქართველო ერთადერთი გზის გასწვრივ მდებარე ქვეყანაა, რომელიღაც მონაკვეთზე გზას მაინც ავცდით. ახალ ტრასას აგებდნენ და თავს და ბოლოს ვერ გაუგებდი. მოაზროვნე კაცი ავტობუსის მძღოლად არ ივარგებს, წამდაუწუმ ფიქრები წაიღებს და გაფაციცებული მგზავრები სულ გულისხეთქვაში იქნებიან, საით წახვედი, აქ უნდა გადაგეხვია. რაგო ჩემამდე ჩამოვიდა, მე კი მომქანცველ გზას საათზე მეტხანს განვაგრძობდი. კვირას დილითვე ვაპირებდი წამოსვლას. კარის მეზობელმა დამპატიჟა, ნათლობის სუფრას ვშლიო, თამადად ვუნდოდი. მოწესრიგებაც ხომ მჭირდებოდა. სოფელში გული ისედაც აღარ მიჩერდებოდა. დღევანდელ დღეს როგორმე გავქაჩავდი. წამოსვლას თუ გადაწყვეტ, ათასნაირ საბაბს გამონახავ.

სოფლისკენ რომ გადავუხვიეთ, ბანერები გამოჩნდა, რომელსაც არავინ იყენებდა სარეკლამო მიზნით. არადა, ვინ იცის, რა ენთუზიაზმით ამონტაჟებდნენ. ეტყობა, პროექტი, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ, ჩაიშალა. მიმდებარე ბორცვები შაქრის გორებს ჰგავდა, წვიმის შემდეგ რომ იფშვნება, მზე როცა დააჭერს. გაჩერებასთან ძველმანების ჯიხური იდგა.

გაგრძელება მე-13 გვერდზე



* * *

თუ გადამარჩენს, მხოლოდ ასეთი სიყვარული:
შტორმი ზღვაზე
და ზღვის თავზე მოქანავე ერთადერთი
შეუპოვარი თეთრი თოლია —
ჩაძირვას გადარჩენილი კუნძულივით.
ამ კუნძულზეა ჩემი სახლი, თეთრი, პატარა,
ეზო მსხმოიარე ხეხილით სავსე, ხოლო ღობეზე —
ჩაის ვარდების ეროტიკა.
სულერთია, ვინ იქნება:
მხრებგანიერი მეზღვაური —
ზოლიანი მაისურითა და
სხეულზე აკრული ქარიშხლებით,
ან ლამაზი და მდუმარე მებადური —
სევდიან თევზებს თვითმკვლელობაში რომ ეხმარება,
ან სამეფო იახტის სიმპათიური მეპატრონე —
ლურჯი პიჯაკით და კაპიტნის მოდური კეპით.
იყოს მხოლოდ ის,
ვისაც ვერ შეაშინებს აგორებული ტალღების ჭორი,
ვერ დაახჩობს ეჭვების შტორმი
და ქარიშხლის საპირისპირო ფრენისათვის
სუნთქვა ეყოფა.
მერე ღამით, როცა ფსკერს გულივით გადაგვიშლის
წითელი ღვინის სავსე ბოთლი,
მთვარის შუქით ამოვსებული ღია ფანჯრიდან
საწოლის გახამებულ თეთრეულზე ჩაის ვარდების
ეროტიკა აირეკლება.
ასეთი სიყვარული:
თოლიასავით შეუპოვარი,
ყველა შტორმიან ზღვაზე ძლიერი.

* * *

ამ შემოდგომამ რომ წაასხას ჩემი ტყეები,
რომ წაასხას და სამუდამო ზამთარს აჩუქოს
ნეკერჩხლის ფოთლის მაშუქები — მკვეთრი ფერებით,
ზარნაშოების ზარის რეკვა — საშუაღამო.

დაცალოს ერთ დღეს გამჭვირვალე სურნელისაგან
ფიჭვებისა და ვერცხლისფერი ნაძვის სურები,
წაასხას ჩემი ტყეები და თან მიაყოლოს
მათ ბილიკებზე მიკემსილი ანისულებიც.

მუხის და წიფლის კორომები — ხარ-ირმებივით
რომ გადმომდგარან, მერქნით ნაგრძნობ სიკვდილს ყვირიან,
ან მათ ჩრდილისქვეშ ამოსული ახალი ხავსი,
ხელის შეხებით რომ წააგავს ჩვილის ყიფლიბანდს.

არყის ხეები — ათას ამბავს რომ ინახავენ
და გზებს გასდევენ მუნჯი კინოს შავ-თეთრ ფირივით,
და ანდაც თრიმლი — კლდის კედელზე შეჩერებული
წითელი კადრი ძველისძველი დიაფილმისა.

ამოაცალოს ტყეებს სული — ბებერ ხეების
ფუღუროებში გატრუნული ჭრელი ჩიტები,
ამოაცალოს, სამუდამო ზამთარს აჩუქოს
გადაორთქლილი ტყის ტიტებით და მაჩიტებით.
რაღა დარჩება ამ მიწაზე, ძლივს რომ სუნთქავს და
სისხლძარღვებივით ებერება ხეთა ფესვები,
ტყეებისაგან, გასაქრობად რომ გაიმეტე
და ზაფხულობით გახსენდება მხოლოდ სელფისთვის.

ჯერ კი... ჯერ ავი სიჩუმეა — ქარიშხლისწინა,
კენწეროებზე ბადესავით გადაფენილი...
სოროდან მოჩანს მოცახცახე კურდღლის ყურები,
შეშინებული ანგელოსის თეთრი ფრთებივით.

გაზაფხული მამაჩემის გარეშე

ის არ იყო პოეტი,
არ წერდა ლექსებს.
ქარხანაში მუშაობდა
და გაზაფხულზე,
როცა მის საამქროსთან პირველი ნუში აყვავდებოდა,
ტოტს შეატეხდა და დედაჩემს მოუტანდა,
არა დამალულს, არამედ ისე,
როგორც კინოფილმ „ქორწილის“ პერსონაჟი —
თავადაც იმ ტოტივით გახარებული.

ის არ იყო პოეტი,
არ წერდა ლექსებს.
თუმცა სოფლიდან როცა ბრუნდებოდა,
მისი თეთრი „ჟიგულის“ საბარგული
კესანებით იტბორებოდა,
ნეტავ როგორ იხრებოდა მათ დასაკრეფად,
ალბათ მტკივანი ფეხის გამო ხვნეშოდა კიდეც,
იგინებოდა,
მაგრამ თან რომ უხაროდა იმაზე ფიქრი,
როგორ გამახარებდა მე.

ერთხელ ჩემი დის სიზმარი შემშურდა.
იმ სიზმარში მოვიდა მამა.
მოვიდა და მთელი სახლი ტყემლის ყვავილებით აავსო,
ხელებზეც, თმაზეც, ულვაშებზეც
ტყემლის ყვავილები უყვაოდა, —
მითხრა ჩემმა დამ.
რა უსასრულო მახსოვრობა აქვთ მკვდრებს.

სამშობლოს აუტოტრენინგი

მე ყველაზე ლამაზი ვარ. ლალე.
მე — ყველაზე მშვენიერი. ლალე.
გადაჭიმულს ორ ზღვას შუა, ლალე,
მე ვერასდროს მომერევა მტერი.

რაც წამართვეს, დავიბრუნებ, ლალე,
ხვალ თუ არა, იმის მერე, ლალე,
მე ამაზე არ ვიდარდებ, ლალე,
რაც ჩემია, ის იქნება ჩემი.

მე ისეთი შვილები მყავს, ლალე,
რომ ყოველთვის დამიცავენ, ლალე,
და არასდროს დამკარგავენ, ლალე.
მე ვარ მათი საფიცარი ღმერთი.

ჯერ უბრალოდ, არ სცალიათ, ლალე,
ჯერ ჩემს სადღეგრძელოს სვამენ, ლალე,
ჯერ სიმღერებს მიმღერიან, ლალე
არ მინდა, რომ შეუშალო ხელი.

ჩემო ლამაზო შვილებო, ლალე,
თქვენ კი გენაცვალოთ დედა, ლალე,
ლალე, ლალე, დივლი-დალალალე,
როგორ მოგიღერებიათ ყელი!

როგორ მოგიღერებიათ ყელი...
როგორ...
მოგიღერებიათ...
ყელი....

უკანასკნელი ცნობები

ისლანდიაში შვიდასი წლის მყინვარს —
ოკიეკკუდლს (რა პოეტური სახელია!) დაემშვიდობნენ.
გამოთხოვების ოფიციალურ ცერემონიას
ქვეყნის პირველი პირიც დაესწრო.

ამაზონის ტყეებში ჯერარნახული ხანძარია.
ცეცხლის ენები ისე ცეკვავენ, ბრაზილიური
ცეცხლოვანი კარნავალი შეიძლება წარმოიდგინო.
ციმბირის ტყეების ხანძრისაგან სხვა შემზარავ
კადრებთან ერთად ასეთიც დარჩა —
რქებზე ცეცხლაბრიალებული ხარ-ირემისა.

პირდაპირ მეტაფორების კასკადია!
თითქოს დედამიწა ყველაზე დიდი პოეტია.
მსგავს მეტაფორებს ვერ მოიგონებ,
შეიძლება შურითაც გასკდე!
მაგრამ დედამიწა პოეტი არაა.
ის მეტაფორებით არ საუბრობს,
პირდაპირ გვახლის სათქმელს
და ჩვენ არ გვესმის.

21-ე საუკუნე.
2019 წელი.

დაბადების დღე

დღეს კახას დაბადების დღეა.
კარს გვიღებს დედამისი და ღიმილით გვეგებება.
ჩვენც ღიმილით ვეუბნებით:
— გილოცავთ კახას დაბადების დღეს!
მერე სუფრასთან ვსხდებით (სავსეა სუფრა).
მაგიდაზე დევს კახას თეფშიც, დანა-ჩანგალი,
ღვინით ივსება მისი ჭიქა.
თავად ჯერ არ დაბრუნებულა,
მაგრამ შეიძლება აი, ამ წუთასაც კი შემოვიდეს,
როცა სავსე სასმისებით ღიმილით ვამბობთ:
— დაბადების დღეს გილოცავთ, კახა!

ხომ ყოველთვის ასე ხდება.
ჩვენ ველოდებით, ის აგვიანებს.
მანამდე კი დედამისი იხსენებს ამბებს:
როგორ გაზარდა ნაადრევად დაქვრივებულმა
ერთადერთი შვილი,
რა ცელქი იყო
და რამდენი ჭინკა უხტოდა ცისფერ თვალებში.
იხსენებს, რომ დამჯერეც იყო,
მხოლოდ ერთხელ არ დაუჯერა და
გაეპარა ეგ ონავარი.
თუმცა მაშინ უკვე დიდი იყო. 21 წლის. კაცი.
იქნებ წაიმღეროს კიდეც:

„შუაღამისას მზეს ვაკრავდი იავნანას ჩუმი ღიღინით
გაღვივებული ვარსკვლავებით სავსე თონეში,
რომ რიჟრაჟისკენ,
დაბრაწული მზის სურნელით
გაბრუებულს გაგღვიძებოდა“.

მერე ღიმილით გადმოგვხედავს კახას დედა,
ადგება, სერვანტის უჯრას გამოაღებს,
გაცრეცილ ფურცელს ამოიღებს, გვაჩვენებს, გვეტყვის:

— ჩემი ბიჭი კი არ მომკვდარა!
უგზო-უკვლოდ დაიკარგა.
ალბათ გზა ვერ გაიგნო,
გაგრაში ხომ მაშინ პირველად მოხვდა.
შეიძლება ახლაც დაბრუნდეს, ამ წამს, ამ წუთას!
აბა, სად წერია, რომ დაიღუპა?!
აი, ეს არის ბოლო ოფიციალური ცნობა მასზე:
„ტყვედყოფნისას გაიყვანეს გვამების დასამარხად“.

...
მას მერე გვამებს მარხავს კახა.

გვამებს მარხავს.

გ ვ მ ა რ ხ ა ვ ს.

ბოლო ზამთარი

მოფრინდნენ ზამთრის მაჭანკლები —
ეზოს ჭორიკანა კაჭკაჭები.
მოფრინდნენ ქალის სათხოვნელად.

ის კი, შემოდგომის სავსე ღრუბელი — რუბენსის ქალი —
ატლასის ცაზე იყო გადაწოლილი
და კი არ ქუხდა, კრუტუნებდა.

გაშალეს ფრთები კაჭკაჭებმა — შავ-თეთრი თავშლები.
სულ დარჩეული ჭირხლის კრისტალები წამოყარეს,
ნახევრადძვირფასი კენკრაც,
გადმოაფინეს თეთრი თოვლის აბრეშუმი — დარაიები.
ზედ მოაყოლეს, რაც მოუპარავთ,
ბუდეებში უგროვებიათ:
ვერცხლის შანდლები — კედრები თუ აკაციები.
შუშის მძივები — ღელეები
და ტბის ლორნეტიც, ყინულის ლინზით.

ქალსაც ძვირფასი მზითევი ჰქონდა:
საგარეოდ:
ყურძნის კოლიე,
ყვითელი გოგრის კამეები,
კარალიოკისთვლიანი ბეჭდები,
შარიშურა ფოთლების ქურქიც...
საშინაოდ:
ბიებიანი ბამბაზიის რბილი პიჟამა და
და მაშიები — თივისფერბალახმოქარგული.
და განა მარტო ეს?!
ჰქონდა ტყეში გადანახული, გუგულის გონგიანი,
ანტიკვარული ხის საათებიც,
ჰქონდა კაკლის ხეც კომოდივით,
ისიც გასული საუკუნისა, ანტიკვარი,
ფუღუროს უჯრით...

— ყველაფერი, ყველაფერი ჰქონდა,
რაც ეკადრება გასათხოვარ ქალს, —
ასე თქვეს მერე ღვინისაგან
აწითლებულმა სუროებმა და
ხიდან ხეზე გადაბანცალდნენ,
მთელ ქვეყანას მოსდეს ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაიყვანეს კაჭკაჭებმა რუბენსის ქალი —
შემოდგომის სავსე ღრუბელი,
ზამთარს მიჰგვრიან.
— ქალი მიგვყავსო!, —
დედა ზარნაშოც ჩამორეკეს სპილენძის ზარივით,
დააბუბუნეს:
აჰყვნენ ზარნაშოს ზანზალაკებად მისი შვილები —
გაბუმბლული ზარნაშოები.

და ხომ ამდენი მზითვი იყო,
ძვირფასი მზითვი,
მაინც იქურდეს!

ნამქერის შარფში ჩაუმალავთ და წაუღიათ
მთის გულისპირზე დამაგრებული,
ჩემთვის ასე ძვირფასი ბროშიც —
ჩემი ბავშვობაშენახული პატარა ოდა,
ბებიისაგან სამახსოვროდ დატოვებული.

* * *

რაღა დარჩა ქალაქის ცისგან.
მხოლოდ ლურჯი და ბლანტი წვენი.
თითქოს ვიღაცამ მალულად გახსნა
ბავშვებისთვის გადანახული, მოხუფული მურაბა
და ყველა ვარსკვლავი სათითაოდ ამოჭამა.

* * *

თოვლი ისეთი სპეტაკია და ისე წმინდა,
წმინდათა წმინდა, ელისაბედ,
რომ ერთ ღამეში შეუძლია მოვიდეს
და ამოავსოს მთელი ქალაქი,
ამოუქოლოს ყველა ჩურჩული და სიცილი,
გადალესოს ყველა ფანჯარა,
რომლის იქით, ჩამოშვებულ ფარდებშიც კი
სიცოცხლე ჩანდა
და ფეთქავდნენ ადამიანები,
მოვიდეს მშვიდად და სპეტაკი თოვლის სახელით
სასჯელივით დაედოს მიწას,
დაედოს სახლებს და სახურავებს.
...მაგრამ შენი ხელი ხომ
გადარჩენილი საკვამურია,
ბავშვის ხელი,
რომელიც ცაში კვამლს — დანებების თეთრ ალამს არა,
ქაღალდისგან გამოჭრილ
ანგელოზს უშვებს.

ზღაპარი უფროსებისთვის

მეგობარ დიდ ბავშვებს

ერთხელ ქალაქში, სადაც მხოლოდ ნაცრისფერია
ქუჩა, სახლები, გზა, მანქანა, ადამიანი,
სადაც ამკრძალავ ნიშნებივით ჩამომდგარ მშობლებს
არ სურთ შვილებმა უცხო გზაზე გადაიარონ,
გადაჭრან ზებრა ასკინკილით
თეთრი და შავი კლავიშის კაკუნს
ააყოლონ პატარა ტერფი,
გაიქცნენ, გასცდნენ ერთფეროვან ქალაქს და ჩასხდნენ
მათთვის ჩამომდგარ ყირამალა მატარებელში...
ერთხელ ქალაქში ერთნაირი სიზმარი ნახა
ყველა ზრდასრულმა — მეცნიერმა, გლეხმა თუ მუშამ,
სიზმარი იყო შესაზარი, ენით უთქმელი,
კოშმარზე მეტად საშინელი, ძალზე ბავშვური!
ჰქონდათ სამკუთხა თავები და თავებზე ბუდეს
ჩიტების ნაცვლად იკეთებდნენ თეთრი კურდღლები,
ნამდვილი ზებრა იწვა გზაზე, მეტროს მაგივრად
ძლივს დაღოღავდნენ ათასფეხა მუხლუხოები.
ტაქსს იძახებდნენ, მიდიოდა სადარბაზოსთან
ნამდვილი ტაქსა და მორჩილად ელოდა მგზავრებს.
ბანკომატებად მუშაობდნენ მოლუსკები და
ქვიშის პატარა მარცვლებივით ყლაპავდნენ ბარათს.
ამწე-ჟირაფი სართულ-სართულ შლიდა ცათამბჯენს
და უბინაო ცხოველებზე ანაწილებდა,
და ასე შემდეგ, ასე შემდეგ, და ასე შემდეგ,
კოშმარი, სადაც ბავშვები და მზე იცინოდნენ.
იფიქრეს დიდხანს და დაასკვნეს, რომ ეს სიზმარი,
რომელიც ავი ვირუსივით გავრცელდა ხალხში,
შეიძლებოდა დაეწერა საბავშვო პოეტს,
ვინც უარი თქვა ჩაერაზა ბავშვობის კარი.
სანამ სიზმარი ახდებოდა და უფროსების
მკაცრად დადგენილ, დალაგებულ ყოფას შეცვლიდა,
გამოიტანეს განაჩენი — გადასახლება
ტრადიციების მოყვარული რუხი ქვეყნიდან.
და ტოვებს ქალაქს — რუხსახლებას, რუხდიდებიანს,
ბავშვობით სავსე ყირამალა მატარებელი,
ტოვებს და გზაზე ამკრძალავი ნიშნების ნაცვლად
სემაფორივით ციმციმებენ ციდა ბავშვები.



* * *

ყოველთვის, როცა ჩემი მეგობარი მტრებს ახსენებდა,
მე ვამტკიცებდი, რომ ისინი არ არსებობენ.
გადაბმული შავი წარბებით,
გადმოკარკლული, ჩასისხლიანებული თვალებით და
ხელებზე ჭუჭყიანი ბრჭყალებით —
ასე წარმომედგინა „მტერი“.
ასეთი კი ჩემს ნაცნობებში არავინ იყო,
და ამიტომაც, არ მჯეროდა მათი არსებობის,
რადგან ჯერ კიდევ იმ წიგნებში ვცხოვრობდი,
ბავშვობაში რომ შემირჩია მამაჩემმა.
და როცა ჩემმა მეგობარმა შეწყვიტა ლაპარაკი
და მე ბავშვობის წიგნებიდან გამოვიხედე,
დავინახე — ადამიანები მშვიდი თვალებით და
მოვლილი ფრჩხილებით
აუღელვებლად თხრიდნენ ორმოებს საფლავებისთვის...
თხრიდნენ საფლავებს ცოცხალი ადამიანებისთვის.
და ვთქვი: — აი, მტრები.
ისინი არ მოგხარშავენ მდუღარე ქვაბში,
არც ეშვებს გამოაჩენენ.
ფრჩხილებიც მოვლილი აქვთ და
გეგმებიც მოწესრიგებული.
ისინი მოვლენ და გვერდით მოგიჯდებიან,
მხარზე თავს ჩამოგადებენ
და ორმოში თუ ჩაპირქვავდი,
ცრემლსაც ჩამოგაწვეთებენ — ბეჯითი მესაფლავეები.
— აი, ისინი!
მე ვისწავლე მათი ცნობა! —
ვეტყოდი ახლა ჩემს მეგობარს.
მაგრამ ახლა ასეა —
მე ვცნობ მტრებს,
ოღონდ, აღარ მყავს მეგობარი,
ვისაც ამაზე მოვუყვები...

* * *

თვალებს რომ ვახელ, ოთახში თუ შენ არ ხარ ყველგან
(არ გსაყვედურობ, არც დაგეძებ), ეს უკვე ნიშნავს —
უტკივილებო უდაბნოში დაკარგვის ელდას,
პირისპირ დგომას გულგრილობის შემზარავ შიშთან.

ასეთ დღეებში საკუთარ თავს ვიხდი ტანიდან,
შიშველი ვდგები მომაკვდავი ვნების წინაშე,
ყოფიერებას, ობის სუნი რომ აუვიდა,
ნაპირზე ვტოვებ და შევდივარ პოეზიაში.

თითქოს, ბუდიდან ამომხტარი სველი ბარტყია,
ისე სხმარტალებს, ისე ღელავს და მეურჩება
სულელი გული... მერე რა, თუ დამღად გატყვია
სხვისი თითების ნაკვალევი, სხვისი ტუჩები...

თვალს მოგარიდებ.
ეჭვის ნავს კი ქარი იალქნობს —
იქნებ, არსად ხარ, ან თუკი ხარ, მაინც, ვინა ხარ?!
ვცდილობ, როგორმე იმ ნიჟარის დუმილს მივაგნო,
სადღაც, ფსკერში რომ მარხია და შენს ხმას ინახავს.

შორიდან, დაე, ძველებურად, ვჩანდე სულელად,
აქ არის ჩემი პოეზია და იორდანე,
ლურჯი ტალღები უშენობის ცოდვას თუ ვერა,
ჭრილობებიდან ეჭვებს მაინც ამილოკავენ.

ბოლოს კი, როცა ამოავსებს ტკივილი ნაპრალს
და ნაცრისფერი გულგრილობაც სავალს მონახავს,
ტოტებჩამომხმარ სიცოცხლის ხეს,
ფოთლების ნაცვლად,
უკვდავებისთვის ერთ ლექსს მაინც ხომ გამოვაბამ...

* * *

მე ვიცი, სალი კლდეებია ეს მტკიცე მხრები
და შემიძლია, ამ კლდეებს მივანდო ჩემი სიმძიმე,
ისე, რომ არასდროს შემეშინდეს მათი გაბზარვის.
მე ვიცი, მზის სხივია შენი სიტყვა,
საუკუნის მდუმარებაში გამოღწეული ლურჯი სინათლე.
და შემიძლია, მისი მჯეროდეს ისე,
რომ ეჭვმა ვერასდროს დამღრღნას.
მე ვიცი, შენ ჩემი ღმერთი ხარ და უნდა მოგენდო,
მაგრამ როდესაც შენი მძიმე ქუთუთოები
მღელვარე ზღვებს ახელენ
და მეუბნებიან: —
„შემოაბიჯე!“
მე ჯერ კიდევ მეშინია,
რადგან არ ვიცი,
როგორ უნდა გამოვიარო
მათ ლურჯ ტალღებზე,
მდუღარე ფსკერში ჩაუძირავად...

* * *

მეხსიერების რომელიღაც შორეულ უჯრედს
ბუნდოვნად შემორჩა გოგო, რომელიც
მგავდა და არც მგავდა.
მახსოვს და არც მახსოვს.
მაწვალებს ხოლმე მისი პოვნის,
მისი გახსენების სურვილი.
გამალებული დავეძებ
სარკეში, გულში,
აბლაბუდებს ვხსნი და
ხელისცეცებით მივუყვები მეხსიერების
მტვრიან დერეფნებს —
იქნებ, ერთხელ კიდევ შევხვდე და ვიცნო.
გავიხსენო, როგორ მიაბიჯებდა უსიერ ღამეებში
ტკივილების ხშირი გამონაყარით გაჩახჩახებული.
ამაოდ ვწვალობ,
ვერაფრით მივწვდი,
ვერ მოვიხელთე.
დამცინის და ხელს მიქნევს მიღმიერიდან...
ასეთ დროს ვცდილობ, დავივიწყო ის, რაც მახსოვს —
რომ იქ ოდესღაც მე დავტოვე.
მაჯობა და
არ ვაპატიე —
შენი სიყვარული...

* * *

ეს კლდე უნდა მყვარებოდა!
ფიქრის ნაპრალში მზე აქვს ჩაღვრილი,
გავარვარებული სინათლე.
მოვიხედავდი და ვიტყოდი: —
აი, ის კლდეა ჩემი ერთგულება.
ჩემი სიყვარული უმაგრებს ფესვებს,
ცისა და მიწის მარადიული საგალობელი.

ეს კლდე უნდა მყვარებოდა!
მე კი,
რამდენი წელი ვიდექი ღორღში თვალახვეული.
ვიდექი ღორღში
და უფსკრულისკენ მიმაცოცებდა
ცბიერი ქვიშა.
რამდენი წელი — მთელი ცხოვრება!

* * *

მე მინდა,
ერთი ლექსი მაინც დავწერო შენზე.
შენ კი,
არც ხელს მკრავ, არც მღალატობ.
არც ჩემგან გარბიხარ.
ერთხელაც ვერ გამოჭამეს გული ეჭვებმა,
ერთხელაც ვერ გამოგეტირე,
ერთხელაც ვერ მოგახალე — როგორ ვერ გიტან! —
ეს რანაირი სიყვარულია?!
ამ სიმშვიდისგან როგორ დავანთო ლექსი,
რომელიც მინდა, შენთვის იწვოდეს?!.

* * *

როცა გარეთ აღარაფერია საინტერესო და ცხელი,
მტვრიანი ჰაერიც ქუთუთოებს გიმძიმებს,
ასეთ დროს
სახლი დახავსებული სიბრძნეებისგან უნდა გაანიავო,
გარეთ გაისტუმრო ეჭვის ჭიანჭველებიც,
ტანიდან გულგრილობა გაიხადო
და სიყვარული შეიბრუნო —
ლურჯი სიზმარი...

* * *

თენდება. ნისლი გამოუჩნდა დილას გახელილ
თვალებში. და ჩვენც ვიკუმშებით საკუთარ ჩრდილში,
ერთმანეთისთვის კიდევ უფრო მეტის გამხელის
და ერთმანეთის უკეთესად დანახვის შიშით...

* * *

ჩვენს შორის გაიარეს ადამიანებმა.
და
ღმერთის ნატერფალი
რიგ-რიგობით გადაიფარა
გაწბილების,
გულგრილობის,
გაუცხოების
ჭუჭყით და ხავსით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნანა კუცია

ეკა კვიციანის სახლი

„Для меня стихи — дом.
Хочу домой, с чужого праздника“.
Марина Цветаева

ეკა კვიციანის ლირიკული აღსარება — პირველი პოეტური კრებული „სხვისი სახლი“ — ნინო სადღობელაშვილის რედაქტორობითა და თეონა ჭანიშვილის დიზაინით გამომცემლობა „ინტელექტის“ საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის, კიდევ ერთი ჩინებული დასტური ლიტერატურაზე ძლიერ შეყვარებული ქრესტომათიული პერსონაჟის სიტყვებისა: „ჩვენი პაწია საქართველო მსოფლიოს პოეზიურ რუკაზე ერთ-ერთი დიდი, ძლევამოსილი სახელმწიფოა“.

„სხვისი სახლი“ იმავე ცეცხლოვანი (ავტორის ლექსიკას თუ დავესესხებით, „ალური“) ენერგეტიკით გვამახსოვრდება, რითაც გურამ რჩეულიშვილის ბრწყინვალე ნოველა „დევების ცეკვა“ — ავტორის მიერ „სვანურ ლეგენდად“ განსაზღვრული. რჩეულიშვილი ისევე ზუსტად სწვდა დიდებული, საკრძალავი სვანეთის „შინა-არსს“, როგორც გრიგოლ რობაქიძე „ენგადში“ — არსს ხევსურეთისა.

პოსტმოდერნიზმის ეპოქაშიც „ცეცხლეურ ზღვარს“ აგზნებინებს მკითხველს ეკა კვიციანი — ლირიკული აღსარებები თუ განდობები ქართული (გავიმეორებთ — „ცეცხლეური ზღვრის“) ნარატივია.

ლადო ასათიანის, ესმა ონიანის, დავით წერედიანის, ზვიად რატიანის, სოსო მეშველიანის მისტიური სივრცე კიდევ ერთი გამორჩეული ხმით გამდიდრდა.

რასაკვირველია, ამაოა მაღალი პოეზიის რეცენზირების მცდელობა. ზაალ სამადაშვილის უზუსტესი განსაზღვრებით, „ინტერპრეტაცია ყველაფერს კიჩად აქცევს“, მით უფრო — პოეზიის „ინტერპრეტაცია“.

ეკა კვიციანი არა მხოლოდ საკუთრივ ქართული პოეზიის განვითარების მაგისტრალურ ხაზს აგრძელებს ფაქიზი ლირიზმით, მელიზმებით, მედიტაციებით, არამედ მის რაფინირებულ ტექსტებში ობერტონებად გაიჟღერებს იგივე ეგზისტენციური „წყევლაკრულვიანი საკითხავები“, რაც საფოდან ვიდრე კასიამდე, დიკინსონთან, ცვეტაევასთან, ახმატოვასთან, პლათთან, ბახმანთან, შიმბორსკასთან, ტუშნოვასთან...

„სხვისი სახლი“ ინტელექტუალურ-სენსუალურის ოქსიმორონია. აქ გული გონიერი (და არა უბრალოდ განსწავლულ-გამეცადინებული რაციო) წერს, სათაურებიც ტექსტის (ტექსტთა) ლაბირინთებში მხმობი გასაღებებია, ხან მართულ (გრამატიკული მართვის) კონსტრუქციებად დაწნეხილი („შუაღამის ლექსი“, „სიტყვების ქალაქი“, „ხსოვნის ქვამარილები“, „ხსოვნის ნიჟარა“, „გულის ელეგია“), ხანაც — თვითკმარ ფრაზა-ენიგმებად („მზე გდია კართან“, „ჭის ფსკერიდან“, „სიზმარი სიზმარში“...).

მედიტაციური განდობანი პოეტისა და მკითხველის მარტოყოფნას, კამერულ ქრონოტოპოსს იგულისხმებს, რუსთველისეულ „არ-ნათლად ნათელს“, გალაკტიონისეულ „წაკითხულ წიგნთა საღამოის მსუბუქ ბინდს“ თუ იმავ დოჩანაშვილისეულ ტორშერ-სავარძელს — პოეტისეულ კონსტრუქციას მოვიხმობთ: „სიჩუმის ხმების“ მისაყურადებლად.

რეცენზიის სათაურად რომელი შეგვერჩია?! „სიყვარულის ნარატივი“, „ლურჯი ნარატივი“, „არგაშვება გულის სახლიდან“?!

პოეტი მკითხველს გაენდობა: „მე ყველა მომსვლელს თითქოს მშვიდი თვალებით ვხვდები, მაგრამ წამსვლისას მთელი ძალით ვებღაუჭები“.

ეს მხმობი ტექსტებია, ტექსტი-ლაბირინთი, რომელსაც ბოლოს და ბოლოს (თუ საბოლოოდ) ტექსტ-სახლში შევყავართ — პოეტის გულის სახლში.

დიზაინერ თეონა ჭანიშვილის მიერ შესრულებულ, უაღრესად გემოვნებიან გარეყდაზე წიგნისა ბავშვის ნახატივით წმინდა, ნაივურ სილუეტზე პოეტი-ბავშვისა სახლი გულის ალაგასაა ჩახატული, სახლი გულია, გული — სახლი. ამადაც უხდის გულწრფელ მადლობას თამარ ჟურულთან ინტერვიუში უნიჭიერეს მხატვარს ავტორი — „ზუსტად დაინახა და გადმოსცა ჩემი სათქმელიო“.

ყდა გრაფიკაა, შავ-თეთრის (ყველაზე გემოვნებიანი) ოქსიმორონი. საერთოდ, ბევრი ოქსიმორონია ამ წიგნში (ფრაზა-ოქსიმორონებიც): „სიცივე, ურომლისოდაც ვერ თბები“, გრძნობა — „შვება და სასჯელი“, „ჩრდილიც კი ბოლოს სინათლეში გადაიზრდება“, „ღიღინით სიჩუმე გითხრა“, „ყინულის სითბო“, „სიჩუმის ხმები“...

ფურცლებიდან თითქოს ლურჯი სინათლე მოდის — ლურჯი ყველაზე აქტიური, დომინანტური ფერია „სხვის სახლში“: „არავინ იყო კამკამა სილურჯეში, შენ გარდა“, „შიში — სისხლის ლურჯი დაჩრდილვა“, „ვიტკეპნიდი მუჭში სინათლეს, გადმოღვრილს სხვისი ლურჯი სახლის კედლის ღრიჭოდან“ — აქ შეუძლებელია სანდრო ცირეკიძის „მთვარეულის“ კონცეპტი არ მოგვაგონდეს.

ღმერთი ლურჯთვალაა ეკა კვიციანთან და სიყვარულია ეს „ლურჯთვალა ღმერთი“. სიზმარიც ლურჯია, „სიზმრებით სავსეა, არეულია ლურჯი სახლი“, „ლურჯი კესანეები ჰყვავიან მაღლა, ცისმინდორზე“ (ნეოლოგიზმი პოეტისეულია), მოგონებაც „ლურჯი ზეცის ლურჯი თაღია“, სული „ლურჯი სამელნეა“ („გიშრის ტბის“ პოსტმოდერნისტული ანარეკლი). პოეტმა იცის, „ლურჯი სტრიქონები რა ფერად იწვის“ (ცვეტაევასთან „пламенно в лазури“).

სტრიქონიც: „წერე, მაგ თვალების მელნიდან წერე“ — წანამძღვრად რუსთველისეულს იგულისხმებს: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად — მე ნა რხეული“. ეკა კვიციანთანაც სატრფოს თვალები შავია — „კუპრის შავი ტბებია ჯოჯოხეთის მხურვალებით“ — სხვა, ასევე ქრესტომათიული ინსპირაცია: „ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი, სიყვარული. ფრთე მისი — ფრთე ცეცხლისა“...

მწვანე ერთადერთხელ გვხვდება ტექსტთა ლაბირინთში — თავად ავტორის ლირიკული ორანის თვალთა ფერად: „ამ თვალების სიმწვანიდან, ნეტავ, იმ სიზმარში არ გამეშვი“, სხვაგან — მწვანის არისტოკრატული ნიუანსი — ხავსისფერი — ხავსი, როგორც ეგზისტენციურ უსაყრდენობაში მყიფე იმედის ენიგმა.

„პირველად-ქმნილი“ ფერი — „ცისფერი მდელოს ფერად („ცისფერი მდელო“) შეუგულებია პოეტს იმპრესიონისტული სითამამით, სხვაგან — სხეულისა: „ხელს გადაგისვამ ცისფერ სხეულზე“ (სტრიქონი თითქოს იმ აზრის საპირწონეა, „ბოლო ბარათში“ რომ ფიქსირდება: „მე მოვდიოდი, ვწრიალებდი შენს სულთან ახლოს, მისაკარებლად, შესახებად ვერ გიმეტებდი“. „ცისა ფერის“ უდახვეწილესი ავტორივით თითქოს ეკა კვიციანსაც უკვირდეს: „ნუთუ ამ სულის წადილსაც ჭრქვა სიყვარული სხვათაებრ?!“

ქართული ლირიკის მსოფლხედვით, სიყვარული „სულის წადილია“. წანამძღვარი, რასაკვირველია, რუსთველთანაა: „მართ მასვე ჰბაძვენ...“

სიყვარულითვე ტრანსფორმირდება ხორციელი სულიერად: „დაიწყო ჩემში შენი ცისფრად აქათქათება“. სხვაგან სინანულით კონსტატირდება: „ასეთი არ უნდა ყოფილიყო სიყვარული — ასე ჟანგისფერი“.

ღვთაებრივი, ტრანსცენდენტური სიწმინდის საკრალური ფერი, რასაკვირველია, ეკა კვიციანთანაც თეთრია: „ჩემი თოვლისფერი კაბა ვერ აიტანს ნათითურებს, თოვლისფერის რიდი, ბოლი, არ ჰქონიათ ბარში თურმე“.

აბსოლუტურად კანონზომიერია, რომ „სხვისი სახლის“ ფერთა პალიტრა — ლურჯ-ცისფრის პრევალირებით, თეთრისადმი თაყვანისცემით უმჭიდროესად უკავშირდება ტექსტთა ლოკალს (მეტიც, თავად პოეზიის ინსპირაციას) — მის უდიდებულესობას — მთას, სვანეთს, ოღონდ ტაბუირებული, საკრალიზებული მთა აქ მხოლოდ წამიერად თუ გამოილანდება — როგორც უშბა ან თეთნულდი ნისლის გაროზიდან.

მთა მთავარი ტოპოსია ეკა კვიციანთან (ბარი — მხოლოდ ობერტონი). აქედან მზერს პოეტი სამყაროს. ღრმაა ენიგმატური კონსტრუქცია: „დახუჭული სიცოცხლიდან სივრცეებს ვკვეთავ“, ერთდროულად რომ ამოიყოლებს პოსტმოდერნიზმის ქრესტომათიული ფილმის — „ფართოდ დახუჭული თვალების“ ასოციაციებსაც და მზერის პოსტმოდერნისტული რაკურს(ებ)ის უფართოეს სპექტრსაც.

პოეტი შედის ლექსში, როგორც სალოცავში და საწმინდარს შეევედრება, მთავარ, შეურყვნელ, მიუკარებელ, ხელუხლებ სიწმინდეს:

„უკურნებელი სახადისგან მიხსენი, მთაო...
შენ დგახარ უტყვი, მოღრუბლული და გათოშილი...
მითხარი, მთაო, რომ უმტვერო თოვლით მოსილი
ყინულის ლაქებს საკურნებლად სულზე დამაჩნევ“.

წიგნის რედაქტორი, ნინო სადღობელაშვილი, უზუსტესად განსაზღვრავს: „ამგვარი გრადაციები დიდ შინაგან ძალისხმევას მოითხოვს, ხოლო, თუკი სულის ფესვებს რაღაც გიმაგრებს, მაგალითად, მთა, მაშინ „იღბლიან თავგანწირვასაც“ შეესწრება მკითხველი. ეკას სვანური წარმომავლობა მისსავე პოეზიას განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამს და დიდი წინაპრების კულტურის, ტრადიციების, სულიერი ცხოვრების გამგრძელებლად გვევლინება“ (წიგნის ბოლოთქმა).

პოეტი, ქალაქით გაბეზრებული, იდუმალ ინატრებს, გზად ან „ნამქერს ჩავეტანე, (ან) დამწეოდა მთების ზარიო“. ზარს ჭუნირის ხმაც დაეწყვილება — მთის ერთდროულად უნატიფესი და უმკაცრესი მელოდიები: სტრიქონებში გაილანდება „უშბის კიდე“ — ეგზისტენციურის სამანი, სხვა სტრიქონში ტკივილიანი განდობაა, თითქოს კივილი, ედვარდ მუნკის ტილოსავით მძაფრი: „მოტეხილი ფრთებით ახლა ამაოდ ვილტვი, საიდანაც წამოვედი დიდი ხნის წინათ“.

ეს აქუაა მხოლოდ ქრონოტოპოსის (თუნდ ყველაზე საკრალურის — ბავშვობის სივრცის) ნოსტალგია — ეს, უწინარესად, საწმინდარის, იქნებ, რობაქიძისეული „თაურფენომენის“ მონატრებაა.

ცნება-ტერმინი „კიდე“ ხშირად კრთება ეკა კვიციანთან: „უშბის კიდის“ გარდა, „ცის კიდეც“ ჩნდება: „ღია სარკმლიდან ცის კიდემდე ერთი ადლია, მერე ახლოს არის სამოთხე“ (თუმც რა განასხვავებს უშბის კიდეს ცის კიდისაგან?!).

მიტოვებული მთის ენიგმურ სახედ სხვაგან ტაძარი ჩნდება: „არ უნდა მიატოვო ტაძარი“ ისევე, როგორც არ უნდა მიატოვო მთა. მთაში, როგორც ტაძარში, ჭეშმარიტებაა („აღიარებდენ ცანი საკვირველებათა შენთა, უფალო, და ჭეშმარიტებასა შენსა ეკლესიასა შინა“ — ფს. 88,5).

„მთის მდინარეში ოქროს თევზებს რა ესაქმებათო“, რიტორიკული სარკაზმით იკითხავს პოეტი.

როგორც ყოველი ღირებული ტექსტის ქრონოტოპოსში, ეკა კვიციანის პოეტურ ნარატივშიც „დასაწყისში დასასრულია“ (ტომას სტერნზ ელიოტი), „ნაპერწკალი ცეცხლს უბრუნდება“ (რაბინდრანათ თაგორი):

„მერე მთები. მთამ მინდობის ფასი იცის...
ნისლს დამიფენს და ჟანგიან მჟავე წყლამდე
ისე ვივლი, ფეხი არსად არ დამიცდეს
სიყვარულის სახიფათო ნამეწყრალზე...
კლდემ თუ გულის კარები არ შეიხორცა,
დალიმ კიბედ თუ დაკიდა ნაწნავი,
მზის ჩასვლისას დევის დედა შემოლოცავს
და ყველაფრის დავიწყებას მასწავლის“.

ეს ის დავიწყება როდია, ფაუსტი რომ გრეთხენს ივიწყებს. ეკო წერს „ფუკოს ქანქარაში“: „მეხსიერება თავდაუზოგავი ვარჯიშით დამახსოვრებას სწავლობს, მაგრამ არ იცის, როგორ დაივიწყოს“. ადამიანი ხომ სხვა არაფერია, თუ არა „ხსოვნა და რეაქცია“ (მაკა ჯოხაძე).

თუ ლია ლიქოკელთან დევის ცოლი გაილანდება, ეკა კვიციანთან — დევის დედა. ეს მითოპოეტური ლანდ-პასაჟები ქართულ პოსტმოდერნისტულ ნარატივში თავის მკვლევარს ელის. თუ მარიამ წიკლაურის პოეზიის პასაჟებსაც გავითვალისწინებთ, სწორედაც დისერტაბელური თემაა...

მთის ენიგმას უმჭიდროესად უკავშირდება გზის პარადიგმა. გზაც საკრალიზებულია, თეთრით განსპეტაკებული — „თოვლქვეშ დაღლილ გზებსაც ღრმა ძილით სძინავთ“.

ისევე, როგორც ნინო სადღობელაშვილის დაკვირვებით, სიყვარული, გზაც პერსონიფიცირებულია ეკა კვიციანთან — ხან ლაბირინთის დახშული რკალია (როგორც ხორხე ლუის ბორხესთან), ხანაც — აბსოლუტურად თვითკმარი სივრცე:

„ერთმანეთს რაც უფრო ვუახლოვდებით,
მით უფრო მკვეთრად იკვეთებიან გ ზები,
რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავში დაგვაბრუნებენ,
იქ კი ერთმანეთს ვერასდროს შევყვებით“.

ნოვალისთან მხოლოდ „საკუთარი გულის სიღრმეში შევყავართ იდუმალ გზას“.

პოეტისეული იმპერატივი კატეგორიულია: „გზა გულის გავლით არსაით მიდის... იქ ვერ გაივლი“.

ზოგჯერ გზა ხთონურ სივრცემდე მიდის — ჭამდე: „ვამბობ — გაივლის! ამოშრება ოდესმე ეს ჭაც“. სტრიქონი მრავალ ალუზია-რემინისცენციას ამოიყოლებს — სოლომონ ბრძენის ბეჭდის წარწერიდან („ესეც ჩაივლის“) გალაკტიონის ლექსის ენიგმატურ სათაურამდის („მთვარე ჭაში“). ჭა გულისა და გონების უძიროობის მეტაფორად გაიაზრება სახისმეტყველებით ლექსიკონებში. ეკა კვიციანი თავს ხან „ჭაში ჩავარდნილად“, ხან „ჭის ფსკერზე მოღიღინედ“, ხანაც „დაგმანული დუმილის ჭიდან გულის ხმის (მკითხველისთვის) გამგონებლად“ რომ იაზრებს, უზუსტესად განმარტავს საკუთარი გზის (და გეზის) ბედისწერულობას: „დუმილის ჭამდე გასავლელი დანის პირია“.

ჭა (ენიგმური არსით) უმჭიდროესად უკავშირდება მიწას ეკა კვიციანთანაც. როგორც რევაზ ინანიშვილთან პერსონაჟთა დახასიათებისას უმკაცრეს განაჩენ-დეფინიციად აღიქმება კონსტრუქცია: „მიწისანი იყვნენ“, პოეტურ სტრიქონშიც მიწა გაუცხოების, ღვთაებრივი ენერგეტიკისაგან განძარცვის მხატვრულ ანარეკლად ჩნდება: „მიწის შვილად იქეცი უცებ“. სხვაგან „მიწის“ სინონიმად ჟღერს „ცხადი“: „შენ, ასე ცხადი, ჩემს სიზმარში

როგორ აღმოჩნდი?!“ სხვაგან მიწა ვერნაღირსები სიმყარის, წონასწორობის ენიგმაა: „სადაც შევყოვნდი, ყველგან მიწა ჩატყდა“; სხვაგან „მიწა წებოვანია“.

მიწის ანტონიმად ეკა კვიციანთანაც ცა (მზე, მთვარე) ჩნდება; ეს ასე არის განუპიროვნებელი კოსმოსი, ანთროპომორფიზმი პრევალირებს, მიკრო და მაკროკოსმოსი ჰარმონიაშია: „ცის სილურჯე მეფონა ფერხთით“ (შდრ. ვაჟასეული: „თვალწინ მეფინა ქვეყანა“) — ეს მზერაა მთიდან, სიმაღლეებში გაზრდილისა, „მაღლისა და მაღლამხედისა“ (რუსთველისეული დეფინიციით), ვინც, სხვა ტექსტის ციტატით, „თვალდახუჭულიც ცის ნათელს უმზერს“, რადგან (გავიმეორებთ ზემოთქმულს) „მთის სამოთხეში ცის კიდემდე ერთი ადლია“. გაწბილებაც ცასთან მიმართებით იზომ-იწონება: „ვინც კი გეგონა ცის ბინადარი, ყველა მიწაზე დასახლდა მყარად“, მხოლოდ ისინი ეიმედება, ვინც ბოლომდე ცისაა, ღვთიური და ღვთაებრივია მხოლოდ „სულზე ზეცის ანაბეჭდები“. ჯოისის ქრესტომათიულ პერსონაჟსაც ასდევნებია „signatures of all things I am here to read“ — „საგანთა ანაბეჭდები, ამოკითხვა რომ უწერია“. ეკა კვიციანი ასხვავებს ზეცისა და „საგნების“ ანაბეჭდებს — მზისა და მთვარის „ანაბეჭდებს“ გაელურსება (რაკურსი ანთროპომორფულია), „მზე გდია კართან“ — გაუცხოების, მიუსაფრობის ენიგმა, ისევე, როგორც სხვა სტრიქონში: „თვალებში მკვდარი მზე და მიწა მესვენა“. ანთროპომორფულია სხვა პარადიგმაც: „და სივრცის მიღმა ჩემი გული — მზეების ფეთქვა“ — დალის ტილოების ტოლფარდი ენერგეტიკაა, ნარატივი ვიზიონად ტრანსფორმირდება, ტაეპი იქცევა ტილოდ. იგივე ენერგეტიკაა ნატვრაში: „თამამად შევაბიჯო ცეცხლში“.

თავგანწირვა (თვითშეწირვა, მსხვერპლისუნარიანობა) აპრიორი გულისხმობს ტკივილს, რაც ეკა კვიციანის პოეზიის ლამის ენიგმათაგანია, ყოველთვის სინათლესთან დაწყვილებულ-გარითმული: „მე შენი გულის სინათლეს და ტკივილსაც ვხედავ“; „ტკივილად მენთე, ნურასოდეს გამიყუჩდები“. აბსოლუტური ნდობა-განდობაა სტრიქონებში:

„მძიმე და ბასრი ესხა მძივები
სულზე მოჭერილ ეჭვის ხვიარას,
როცა ტკივილით მაფეხმძიმებდი,
რომ მე ლექსები მემშობიარა“.

სხვაგან აღსარებაა: „გადავები სულის ფესვებით ტკივილთან“, სხვაგან „ტკივილის ცეცხლია“. ტკივილს ვერასოდეს შეელევა, რადგან მასშივეა შუქი, ხსნა, ამდენად აბსოლუტურად გასაგებია ნაოცნებარი: „ტკივილად მაინც სიზმრის ფსკერზე სულ რომ მყოლოდი“ — სხვა პასაჟში ენიგმა ტრანსფორმირდება, ტკივილი რეალურ სახეს აჩენს (თუ იბრუნებს): „გულში ურჩხულად ქცეულ ტკივილს სძინავს“.

ტკივილიანი სინათლე (სინათლიანი ტკივილი) განსაზღვრავს ეკა კვიციანის პოეტური ნარატივის განსაკუთრებულობასაც და ინდივიდუალიზმსაც.

პოეტური ნარატივის კონცეპტი საერთოდ ცალკე თემად იკვეთება ლექსთა მხატვრულ ქსოვილში. „მშრალი სიცხადით იწერება ჩემი წერილიო“ (3), „ბოლო ბარათში“ იტყვის პოეტის ლირიკული ორეული, მაგრამ იქვე იმასაც დასძენს, რომ „ცივი სიტყვა ცრემლში მრავალჯერ დალბა“. ცრემლში დამბალი სიტყვები ხან „იდუმალამბებიან ხურჯინად“ დააქვს, ხან „სიზმარ-ცხადში განცდილ ძრწოლად იმახსოვრებს“, ხან „ყველაფერი სადღაც ხსოვნის მღვიმეში ყრია“, ხან „სიცივითაა დალამბული“, ხან „სხვა მისამართზე“ მიდიან, ხან „ნაგავსაყრელზე გატანილი ნაგავივით გადაფარავენ თოვლი, ხავსი, ან ყვავილები“, ხან „მწუხრისას მღერიან“, ხან „დროის ხარვეზებად, სინანულებად მინავლდებიან“, ხანაც „ლექსებში მიესჯებათ დარჩენა“.

საკუთარ პოეტურ ნარატივს თეთრ ფურცლებზე გასაშრობად გაფენილ „ნესტიან სიზმრებად“ ნათლავს ეკა კვიციანი, დარწმუნებული, რომ „ძველი ამბებით თავის გატანაც შვებაა თურმე“.

ტექსტთა არსობრივი რაობის განსასაზღვრავად უზუსტესი სინტაგმაა ნაპოვნი — „ხსოვნის ქვამარილები“ — ეს „სოფლის მარილის“ — კაცთაგან რჩეულთა რჩეული სიტყვაა — პოეტური სიტყვა.

სამყაროში არაფერი იკარგება. არც „ბედნიერ ტანჯულთა“ (ოთარ ჭილაძე) მეხსიერებაში: არც „ფსკერზე შემთხვევით მოხვედრილი ბგერები“, არც „დამდნარი ღამე“ („ყველა იცის თეთრმა ღამემ“ — გალაკტიონის ქრესტომათიული სტრიქონი), არც „ლურჯი ცის ლურჯი თაღი“, არც „ათასი წლის სიჩუმე“, არც „ზღაპრების ნაშალი“, არც „დუმილი... წმინდა ზიარება“.

ეკა კვიციანის პოეზიის მთავარი ენიგმა, რასაკვირველია, სახლია. წიგნს „სხვისი სახლი“ ჰქვია, საკუთარიც ნაგულისხმევია, იქნებ სულაც საკუთარია გაუცხოებულ-გასხვისებული, ჰაინრიხ ბიოლის უკაცო ან ორჰან ფამუქისა და ხულიო კორტასარის მდუმარე და მიტაცებული სახლებივით...

პოეტურ ნარატივში სახლი ხან ფანჯრებჩაგმანულია, ხან „შორეულ ქოხადაა“ გადაქცეული, ხან „სხვისი ლურჯი სახლია“, ხან „ყინულის სასახლეა“, სადაც ავტორის ლირიკული ორეული ოთარ ჭილაძის კამასავით ან ჰანს ქრისტიან ანდერსენის თოვლის დედოფალივით ცხოვრობს — ზვიადი და მარტოსული — ხან ხავსისაა, ხან „უცხოობის გლუვი კედლებია“, ხან თოგორაზე მთვარისაგან ნაქსოვი ვერცხლის კარავია (შდრ. გალაკტიონთან: „მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს...“), სადაც ნარატორი სატრფოს ელის და კარვიდან არასდროს გადის, ხან უკარფანჯრო სადგომია, რომელსაც „მგზავრები თავს წვიმაში თუ შეაფარებენ და გამოდარებისას გულგრილად ტოვებენ, მადლიერების გარეშე“ — რასიომონის კარიბჭესავით.

მთავარი ტკივილი ის არის, რომ „იქ სხვა ცხოვრობს, შენ შენ არ ხარ“. როგორც ყველა სხვა ტკივილი, ეკა კვიციანთან ესეც რაფინირებულ ინტონაციად ირეკლება (ლია სტურუასეულ ოქსიმორონს მოვიშველიებთ: „მშვენიერ სასოწარკვეთად“).

პოეტურ ნარატივში მარგალიტებივით ჩაბნეული მინიმებიც თავის მკვლევარს ელის. მრავალთაგან ერთს ვციტირებ:

რა ლამაზად ამოუშენებიათ სახლი ახლიდან.
რა ლამაზად გადაუღებავთ მამაჩემის ნათითურები.
რა ლამაზად წაუშლიათ ჩემი ბავშვობა.
რა გულმოდგინედ ამოუყვანიათ უცხოობის
გლუვი კედლები
ჩემი ბავშვობის ნანგრევებიდან.

ნარატივის გროტესკული ტრაგიზმი ათასგზის უფრო მძაფრი და შემძრავია, ვიდრე ზარი ან ხმით ნატირლები. მამის ნათითურები გასხვისებული სახლის სინონიმური სინტაგმაა. როგორც მთელს მსოფლიო ლიტერატურაში, ოდისევს-ტელემაქეს საკრალური შეხვედრიდან, როსტევანისეული შეგონებიდან: „მამა ყოველი შვილისგან ითავსებოდა“, ვიდრე „გველის პერანგის“ ენიგმურ დეფინიციამდის („მამა — სამყაროს ხერხემალი“), ეკა კვიციანთანაც ამოილანდება სამყაროს უზენაესი ინსტანცია — მამა, ყოველი სახლის, ყოველი გზის, ყოველი ლაბირინთის საზრისი, მიზეზი, მიზანი — უძღები შვილის შინდაბრუნების მოწადინე და მოშურნე, მამაუფალი და მიწიერი მამა (მსგავსება და ხატება ზეციური არქეტიპისა).

ტექსტი სრულად უნდა ამოვწერო:

ვბრუნდები ახლა ჩემი ბავშვობის ლიბომაგარ და
მზით სავსე სახლში,
გადმოვალაგებ ზღაპრებს თაროდან და
იატაკზე ფარდაგად გავშლი.
მჭიდროდ მივხურავ მერე ამ სახლის ყველა
კარსა და ყველა დარაბას,
რომ საუბარი გათენებამდე
სახლის კედლებთან მარტომ გავაბა,
რომ გადმოვიდეს მამა ჩარჩოდან
და შემირჩიოს წიგნი საჩემო,
რომ, როგორც მაშინ, ჩემს ბავშვობაში,
ნატკენი გულის ფსკერი ვაჩვენო.
მომიყვეს იქნებ როგორ ითმენდა,
როგორ უძლებდა მღვრიე ამინდებს
და საუბარში იქნებ გათენდეს,
იქნებ ეს ღამე მართლა გავიდეს.

ეს უაღრესად კამერული, უფაქიზესი ნარატივი სინერგიის მადლითაა გამთბარი — „დროთა კავშირი“ იკვრება, წარსული (მამა) აწმყოს (შვილს) გაეზრახება და პირიქით. ტაქტით, რაფინირებული თავშეკავებით კონსტატირდება, რომ მამა „ჩარჩოთი“ ვერ მოიზღუდება, ვერც გადიდებულ ფოტოდ აღიქმება ვერასდროს, რადგან მამა მარადიული აწმყოა, უფრო სწორად, დროის სამივე ჰიპოსტასია ერთდროულად, ანუ მარადისობაა.

კონსტატირებული ლექსის აზრობრივ-კონცეპტუალურ გაგრძელებად აღიქმება „მამაჩემო“ (აქ მიძღვნაა, ადრესატი დაკონკრეტებულია. თუ წინა ლექსს ნეიტრალური სახელი — „სახლი“ — ერქვა, „მამაჩემოში“ განდობა-აღსარების კონცეპტი ჩნდება):

უნდა გადმოხვიდე სურათიდან, ჩარჩოდან,
კედლიდან, დუმილიდან... სიტყვა შემაშველო!
ხომ ხედავ, სიზმრებს რომ ავყევი,
ქარებსაც ავყევი, ლანდებსაც და უნდა შემაჩერო!
რამდენი სათქმელი დამიგროვდა,
რამდენი ცრემლი დაგუბდა და უნდა მომისმინო!
გულზე ჭრილობები გამიმრავლდა,
მეწვის ღამეების ნაკაწრები — უნდა მომირჩინო!
კედლებგაბზარული დღეები და
წელში გაწყვეტილი ბილიკები უნდა გამიმართელო!
უნდა დამიბრუნდე! უნდა დამამშვიდო!
მერე შეცდომების სიმძიმე და
დღემდე ნაგროვები უშენობა იქნებ გაპატიო...

უზუსტესი რეგისტრია ნაპოვნი — მთავარ მოტივს უფაქიზესად ეწვნის ობერტონები, კონტრაპუნქტის რაფინირებული მინიმალიზმით ითხზვება ლიტერატურული ფუგა — კატეგორიულ იმპერატივს ობოლი ბავშვის სლუკუნი, მიტოვებული პატარასაგან დიდსულოვანი მიმტევებლობა მიერთვის („იქნებ გაპატიო“) — ზუსტად ისეთი სიზუსტე და სიფაქიზეა, ფრანსუა ტრიუფო რომ წერდა, საკლასო ოთახის გადაღებისას მთავარია, სამელნეში კალმის ჩაწობის ხმა ისმოდესო...

„ჩარჩოთი“ მოზღუდული, წარმავალი (და მაინც მარადიული) მამის არქეტიპი წარუვალი, მარადიული უფალია, ვისი ხატებაც ისევე, როგორც მთელ სამყაროში, ამ ღრმა, ნათელ წიგნშიც ილანდება.

ენის გენიამ სულიწმიდის მადლით აღბეჭდილთ უფლისსავე სახელი თუ ეპითეტი უწყალობა — შემოქმედი. ეკა კვიციანიც შემოქმედია. სახარების დიდი სინათლის დამზრახველია მორიგი განდობაც (ტექსტი კონცეპტუალურია და სრულად ამოვწერ):

მას შემდეგ, როცა ვნახე კუბო ცხედრით, რომელსაც
მშრალი თვალები გავაყოლე გზად,
ცრემლის ნაცვლად,
კუბოში იმ დღეს მეც ვესვენე და იქ მომეცა
იმდენი ძალა, რომ შევძელი სიტყვების გაცვლა
ღმერთთან, რომელიც თავზე მედგა და მშვიდი სახით
მიმეორებდა, რომ „აღსდგება, რომელი მოკვდეს!“
მაშინ დავპირდი, აღვუთქვი, რომ დაცლილი სახლის
გზას უსასრულოს (ამავე დროს, ყველაზე მოკლეს)
მივაგნებდი და შეყვარებას შევძლებდი ყველა
მგზავრის, ვინც ერთხელ გაივლიდა
ამ სახლთან თუნდაც...

რაფინირებული მინიმალიზმი, არისტოკრატული ლაპიდარულობა ნარატივისა მიგვახვედრებს, ალბათ, რას გულისხმობდა უილიამ ფოლკნერი, როდესაც აღნიშნავდა, რომ ბედნიერები ლექსად წერენ. გვერდის ნახევარზე ყოფიერების მთელი ტრაგიზმია დატეული (იგივე მოტივი, რაც გალაკტიონისეულ სტრიქონებში: „არ არის რამე უფრო მტანჯველი, როდესაც კუბოს მიჰყვები ქარში... — დარჩი! — გუგუნებს ჰაერში მარში, მაგრამ ვერ-ავის ქვეყნად ვერ შველი...“).

სიკვდილით სიკვდილი ითრგუნება — სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველის ძალითა და მადლით. ეგზისტენციური ვარამი სახარების მადლითვე განიმქვრევა — სამყაროშიც და ამ წიგნშიც (ამადაც არის ეკა კვიციანის პოეზია ქართული მხატვრული სიტყვის განვითარების მაგისტრალური ხაზის ღირსეულ გაგრძელებათაგანი).

„ნუ გამაბრუნებ სალოცავად წამოსულს გზიდანო“, არსთაგამრიგეს შეემუდარება პოეტი, იცის, რომ უძნელეს და უნათლეს გზაწვრილზე უმადლოდ ვერ ივლის — საუფლო სინათლისაკენ მავალი სულის მისტერიულ გზასავალზე.

მთავარ წიგნში უფალი მოციქულებს იგავით ეტყვის — კაცთა მებადურებად გაქცევთო.

„გულის მორევიდან მკვდრები ამომყავს, ანუ ვთევზაობო“ — მინიმაში წერს ეკა კვიციანი, მაღალთა თავმდაბლობით „ერთი ღამის მორწმუნედ“ რომ უხმობს თავს სინანულით და ეს (მეზვერისეული) კონცეპტიც გამოლანდავს პოეტის რწმენის უმაღლეს რეგისტრს.

ამ პოეზიაში „მწუხრის ზარების რეკვაც“ ისმის — გიორგი მთაწმინდელის დაკარგული, ვერმოღწეული ღაღადისის ექო, ტომას მურის თარგმანადღა შთენილი „Those Evening Bells“...

„მტვერზე დახატული დაწურული მტევნები“ ამსოფლიურისა და ტრანსცენდენტურის შთამბეჭდავი ოქსიმორონია, „სილაში ვარდის“ ერთი ინტერპრეტაციათაგანი...

წამიერი დაეჭვება ინდივიდუაციის გამოვლინებაა. „ინდივიდუაცია ვარაუდობს ინდივიდის ცნობიერი ცხოვრების გაფართოებას და მან აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს საკუთარი თავის შეცნობასთან. ამ პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „სასოწარკვეთის“ ფენომენი. სასოწარკვეთა მეტყველებს, რომ ადამიანი მომწიფდა გაადამიანების რთული პროცესისათვის“ (ერიხ ფრომი). სასოწარკვეთა სინანულად ტრანსფორმირდება: „ღმერთო, ეს ჩემი გული არ არის“ — ინიციაციის გზაზე ადამიანი მუდმივ მეტამორფოზას განიცდის და ინდივიდუაციის უძნელეს (და უნათლეს) პროცესში მუდმივად გრძნობს უზენაესის შემწეობას:

მივხვდი, რომ შენ იყავი — ღმერთი —
რომელმაც დამწვა, მერე საკუთარ ფერფლზე მაწვიმა
და, ამ ტალახით ხელახლა გამოძერწილს,
მათქმევინა:
მე ვცოცხლობ!

მადლიერი ქმნილება შემოქმედს გაენდობა:

მე სულ გშორდები, შენ კი ჩემთან მაინც ახლო ხარ,
დღეს, ალბათ, წვიმად ჩამოხვედი ზეციდან,
ღმერთო —
ჩემი ცოდვების განსაწმედად და წარსახოცად.

„რაციონალური აზროვნებისათვის პარადოქსად აღქმული საღვთისმეტყველო სიბრძნით, „ჩვენი განშორება ღმერთთან აძლიერებს ღვთის სიყვარულს ჩვენდამი“, — წერს წმინდა ნიკოლოზ სერბი.

სწორედ სიყვარული, სინერგიული მადლი ღმრთისა და ღმრთისმაძიებელი ადამიანის ურთიერთსიყვარულისა არის „სხვისი სახლის“ არსიც და დვრიტაც.

უამრავი უაღრესად საინტერესო შრე ილანდება ამ (არცთუ მოცულობით) წიგნში, ორიგინალურად ირეკლება ქრონოტოპოსი, ღრმაა სიყვარულის კონცეპტი, მრავლადაა ბიბლიური ენიგმა, შთამბეჭდავია სიზმრის სემანტიკა, ლაპიდარული ქსოვილი მინიმებისა...

ტექსტთა კულტუროლოგიური წანამძღვრების, ალუზია-რემინისცენციების ანალიზი საინტერესო მასალას მიაწვდის ქართული პოსტმოდერნისტული პოეზიის მკვლევართ, რომელნიც ამ პოეზიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერსონალიად აუცილებლად გამოკვეთენ ეკა კვიციანს და მის დახვეწილ წიგნს „სხვისი სახლი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმირალის დაბრუნება

რუსუდან რუხაძე

დასასრული

— მაგრამ მინდა გაგახაროთ, რომ ჩემს შრომას მთლად ფუჭად არ ჩაუვლია. ბევრი გადმოვიდა პერელმანის კალენდარზე. იცით, რაზე შეატყობთ? ზამთარში შეიძლება სანდლებით შემოგხვდნენ ქუჩაში და არ სციოდეთ, ზაფხულში კი თბილი ქურთუკი ეცვათ. აი, სეზონის გიჟიაო, ხომ გიფიქრიათ ხოლმე ასეთების დანახვაზე? სინამდვილეში, მათ შეუძლიათ თვეები გადაადგილონ კალენდარში. მოკლედ, თუ ასეთებს შენიშნავთ, იცოდეთ, ჩემი ხალხია! — ამაყად თქვა რენამ.

— მე რო მკითხო, აგი გამოსაშვები არაა ნანეიშვილიდან, — ისევ ვერ შეიკავა სიცილი ქეთინიამ და ბალახზე გადაკოტრიალდა.

— კიდევ ის, რომ თვის პირველი დღე 31 ან 30-ია, გააჩნია. აი, მერე იწყება უკუთვლა, — რენამ ხელებით წარმოსახვითი ბორბალი უკუღმა დაატრიალა, — და იცით, რატომ? უკეთესის მოლოდინისთვის — რომ კი არ მთავრდება რაღაც, არამედ იწყება!

— მშვენიერია! — ანიკომ ჩამქრალ სიგარეტს ხელახლა მოუკიდა.

— ერთი სიტყვით, უკუღმა ვითვლით. ხომ გაგიგიათ ადამიანზე, უკუღმართიაო. ჰოდა, ეგენიც ჩვენი ხალხია! — გულზე ხელი დაიდო რენამ.

— მოგწონს ახლა, რასაც ბჟუტურობს? — ჩუმად მიუბრუნდა ქეთინია ანიკოს.

— მოკლედ, ეს კალენდარი უკუღმართების და სეზონის გიჟებისაა! — ახლა რენამ ჩაუკრა თვალი ანიკოს, გაუღიმა და პირდაღებულ ქეთინიაზე მიანიშნა.

— მეეშვი, რენაია, სისუნელეების ლაპარაკს! დროზე ვქნათ, თვარა კიპაროიძეს ვერ გადოურჩები! — ქეთინიამ ანიკოს ხელი გაუწოდა, სიგარეტი დამიტოვეო.

— ვინაა ეს კიპაროიძე, დირექტორია? — ანიკომ ნაფაზი დაარტყა და ქეთინიას გადააწოდა.

— ვინაა, რა ვიცი, მაგრამ მაგია იქინე ყველაფერი, სიმხიატრიულში, — ცხვირის ქსუტუნით ახსენა ქეთინიამ დიდი კაცი.

— ეს ახლა გვიშვებენ, საჭმელი რომ გაჭირდა, თორემ მანამდე ცხვირს არ გვაყოფინებდნენ გარეთ. პურის ფქვილით და შაქრით დატვირთული მატარებელი აფეთქდაო და დავრჩით მშივრები. ვისაც ჭკუა მოგვეკითხება, კი გვიშვებენ სოფელში ხანდახან, ხო ასეა, დავო? — რენამ ქეთინია დაიმოწმა.

— ახლა თუთხმეტი ლარი ხო გვეკუთნის? ხუთი კიპაროიძისაა. ჯიბაში თუ არ ჩოუდევი, დაადებს კარებს კლიტეს და მეყოლე მერე ვარდივით! — ქეთინიამ ანიკოს ანიშნა, წამომაყენეო.

ქალებმა იყოჩაღეს — სახლის უკან გაშენებული ბამბუკის ტყე ხმელი ფოთლებისგან გამოასუფთავეს, ტრიფოლიატის ღობე გაკრიჭეს, მწიფე ტყემლები დაკრიფეს, სავსე გოდრები მექის ღობესთან დაამწკრივეს, გამხმარი ბლის ხე შეშად დაჩეხეს, ძველი სასიმინდე გამოწმინდეს და დღის ბოლოს მიწით ამოვსებულ ფრჩხილებს კმაყოფილებმა დახედეს. ანიკოს გულთბილად გამოემშვიდობნენ, თუ ოდესმე დაგჭირდით, აქ ვართ, არც ჩვენი გამშვებია ვინმე და არც წამყვანი, აქეთ როცა იქნები, მოგვიკითხე მაინცო. კუთვნილი ფული რენამ დავთრის ჯიბეში ჩაიდო, ქეთინიას ხელკავი გამოსდო და ნანეიშვილისკენ მიმავალ გზას ჩქარი ნაბიჯით გაუყვნენ.

იმ საღამოს, ისევე როგორც პერელმანის კალენდრის სხვა ნებისმიერ დღეს, მინდვრად გადენილი რუხი ბატები სოფელს იმავე ბილიკით დაუბრუნდნენ, ბალახით დანაყრებულები ქვენა ქარით მობერილ ზღვის სურნელს აედევნენ, ფრთაგაშლილებმა საკუთარ ჭიშკრებს სისინით ჩაუარეს და წყლის სიყვარულით წითლად ჩამავალი მზისკენ სულ რამდენიმე წამით აფრინდნენ.

* * *

კომოდი, რომლის გასაღებიც ანიკომ თან ჩამოიტანა, ერთადერთი სავსე კარადა იყო მთელ სახლში. ჯერ თეფშები გამოალაგა, თითით გადათვალა და მონატრებული ორნამენტები დიდხანს ათვალიერა. მერე ხავერდისყდიან ალბომში ჩალაგებული ფოტოები სათითაოდ ამოაბრუნა და ძვირფასი სახეების დანახვაზე მეტად მინაწერებმა ააფორიაქა:

„ანგელინა მამიდასთან ლოტკინზე. თოვდა და კოსია მენატრებოდა.“

„მარინე და თათუშე ლიპებით“.

„გაგრაში გატარებული დღეების და ახალგაზრდობის მარად მოსაგონრად.“

„ძვირფასო დედა, ომს მოუკვდა მომგონი და ევა. 8 მაისი, 1945 წელი.“

„თავი მოვიყარეთ ქუტირში, გვაკლია ეგნეტე“ და იქვე მოგვიანებით, ფანქრით მიწერილი — „ჯვარი წერია“.

ბოლოს კომოდის ჩაჭედილი უჯრები გამოაღო და სხვადასხვა ზომის კოვზები, დანა-ჩანგლები და ჩამჩები ამოალაგა. იქვე იდო ერთი ფორმითა და შინაარსით გამორჩეული ნივთი, რომელიც ზაფხულობით ერთმანეთთან მიმოსვლის მთავარი მიზეზი იყო. ეს გახლდათ ქილის მოსახუფი, წითელი სახელურითა და დაბლაგვებული გორგოლაჭიანი დისკოთი. როგორც წესი, მოსახუფი უჯრაში მეტალის სახურავებთან ერთად ინახებოდა ხოლმე, რომელთა სესხება და მეტობით დაბრუნება საზაფხულო არითმეტიკის ნაწილი იყო.

ანიკოს მოსახუფმა მოგონებები აუშალა და უწინდელი ზაფხულები გაახსენა: ხილი რომ დამწიფდებოდა და დიდ ჯამებში მოგროვილ ვაშლს, კომშს და ატამს — ქალაქელი ბავშვებისთვის დათლილს და იქაურებისთვის კაბის კალთაზე გაწმენდილს — ვეღარ ერეოდნენ, ქალები ერთმანეთს ეტყოდნენ, ცოდვაა ამ ხილის გაფუჭება და ქილებში ჩავალაგოთო. ქილების ამბავი კი ასე იყო: სოფლიდან დედაქალაქში შვილების და შვილიშვილების მოსაკითხად გაგზავნილ ძღვენს ყოველთვის თან ახლდა ბარათი — ქილები არ გადაყაროთ, უკან გამოაგზავნეთო და ქალაქშიც უკლებლივ ყველამ იცოდა, რომ მადლიერების გამოსახატად ცარიელი ქილების დაბრუნებაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდნენ.

ჯემები, მურაბები და კომპოტები დიდ ქვაბებში რომ დადუღდებოდა და ხის კოვზით ნამგზავრ ქილებში გადაინაცვლებდა, მაშინ იწყებოდა მთავარი — მოსახუფისთვის გაგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ ბებიას საკუთარი ჰქონდა, ეს მოგზაური ნივთი თითქმის არასოდეს იყო სახლში. ჩამოსახვევიდან რიყემდე „სახუფავი“ სულ ორ ოჯახში მოიპოვებოდა და სიმართლე რომ ითქვას, ამ ორში ვალენტინასი ჯობდა, მაგრამ ხშირად ასარჩევად არც იყო საქმე.

სიცხეში ცეცხლთან ფუსფუსისგან ლოყებშეფაკლული დიასახლისები ეზოში მოთამაშე ბავშვებს გასძახებდნენ, „ბაღნებო, გემეგზანეთ სახუფავიზაო“. ბავშვებიც თამაშს მიატოვებდნენ, მეზობელ ეზოებში მოთამაშეებს გასძახებდნენ და უპირობო თანხმობით რომელიმე ჭიშკართან შეიკრიბებოდნენ. რადგანაც სოფლის გზას ორი დასაწყისი ჰქონდა, ბავშვების დიდი და მხიარული ჯგუფი სიმღერ-სიმღერით ქუჩის ამ თავიდან იმ თავისკენ აღმა-დაღმა იწყებდა სიარულს და არ არსებობდა იმაზე დიდი მისია, ვიდრე მოსახუფის უვნებლად მიტანა იყო.

მადლობის ნიშნად დიასახლისები ქალაქელ ბავშვებს ლამბაქებზე, სოფლელებს კი ხელის გულზე ჯერ კიდევ თბილ ტკბილეულს ჩამოუსხამდნენ და დანაყრებულ მზერას მოავლებდნენ. ტუჩების გალოკვისას კი ცოტა თუ ხვდებოდა, რომ ქალები ამ დროს მართლა მურაბებს კი არ ხარშავდნენ, არამედ მათთვის ზაფხულის უდარდელი დღეების გემოს ინახავდნენ. ისეც მომხდარა, რომ ზამთარს გადარჩენილი მურაბა მეორე ზაფხულს გამოუტანიათ სარდაფიდან და ერთი წლით დაბრძენებული ბავშვებისთვის ცოცხალი ატმის არომატი შარშანდელი ზაფხულის გემოს გადაუფარავს.

ფიქრებში გართულმა ანიკომ ვერც კი შეამჩნია, როგორ მოუახლოვდნენ ჭიშკარს რენა და ქეთინია. თან აქეთ-იქით იყურებოდნენ, ვინმემ არ დაგვინახოსო. აფორიაქებულები შემოვიდნენ ეზოში, დღეს კი არ გვეკუთვნოდა მოსვლა, მაგრამ გამოპარულები ვართ, ნარცისის ბოლქვები მოგიტანეთ, ასე უყვავილოდ ვერ დავტოვებთ აქაურობასო. არც ფული გვინდა შენი და არც არაფერი, გაზაფხულზე მზესავით ამოანათებენ და ეზო-კარს უშენობას არ აგრძნობინებენო. პატარა ნიჩბებით მიჰყვნენ ჭიშკრიდან სახლამდე მიმავალ ბილიკს და ბოლქვები მიწაში ჩაფლეს.

სანამ წავიდოდნენ, ანიკომ ჩანთით ძველი ფეხსაცმელები გამოიტანა — რასაც მოირგებთ, თქვენი იყოსო. ის იყო ქეთინიამ სანდლების მოსაზომად ფეხზე გაიხადა, რომ მხარზე დაუძლურებული პეპელა დააჯდა. ცალ ფრთას უღონოდ აქნევდა და წრიული მოძრაობით ჩითის კაბაზე მოჭიდებას ცდილობდა. ანიკომ იმ წამსვე იცნო ადმირალი, წითელზოლებიანი შავი პეპელა, მთელი ბავშვობა დასაჭერად რომ დასდევდა და აგრარული ლექსიკონი ნიმფალიდისებრთა ოჯახის საგვარეულო სასაფლაოდ რომ აქცია.

— შაუტბენაჰტ! — ზუსტად ისე შესძახა, როგორც ბაბუა იტყოდა მზვერავი პეპლების მეთაურზე, საჭერი ბადიდან წიგნში გადანაცვლებამდე კონტრ-ადმირალის წოდებას რომ მიანიჭებდა ხოლმე.

ქეთინია გაირინდა, არ გამიფრინდესო და ფრთაზე ფრთხილად მიეალერსა. თითებზე მბზინვარე ქერცლი აჰყვა და გულისპირზე დაისვა. გაოცებულმა ჯერ პეპელას დახედა მხარზე და მერე კაბაზე დატოვებულ ფერად ნაკვალევს დააცქერდა. ამასობაში ადმირალმა მოკლე გაფრენისთვის ძალა მოიკრიბა და მსხლის ხეს მიეკრა. ქეთინია წამოხტა და სუნთქვაშეკრული მიუახლოვდა. რენას და ანიკოს უკანმოუბრუნებლად ანიშნა ხელით, აქეთ მოდითო. თავი ოდნავ აწია, ნერწყვი ხმამაღლა გადაყლაპა, ღრმად ჩაისუნთქა და მთრთოლვარე ხმით დაიჩურჩულა: მოპრავაჟდა ვაჟბატონი!

— დავო, რას ამბობ?! — იმ წუთას რენასაც ქეთინიას გული უფეთქავდა.

— ჰენრიხიეა აგი, ჰენრიხიე! ამისანე პაგონები ეკეთა თლად! — მომეტებული სიხარულისგან ჩაიმუხლა ქეთინია.

— მაშ, ტყუილად არ იძახდა ის ხალხი, ქორწილია, ქორწილიო, ჰა, ქეთინია?! — გამხიარულდა ანიკო.

— არა, მაინც სა მომძებნა? სიდან სად?! ვაი, ჰენრიხია, მე არ ვიყო ქეთინიე ქიშმარაია, თუ მა მოტეხილი ფრთაი არ გაგიმთელო! — ნაზად აიყვანა პეპელა და ნაიარევ მტევანზე დაისვა.

— აბა, ტყუილად არ შემიკრავს გუშინ გვირგვინი! განიშნა რამე, დავო? — სასწაულის მოლოდინში ხმა ჩაუწყდა რენას.

— ვაი, ჩემ დანახვაზე რაფერ დაპრაწა თვალები იცი ამ დასაღუპავმა?! მერე და მერე, რო დოუყურადე, თითქოს მისებურად მიძახდა კიდეც.

— რაო, გითხრა რამე? — არ მოეშვა რენა.

— დემეთხუე, თუ ქალი ხარ... — ქეთინია ნელი ნაბიჯით გაერიდა.

ერთხანს პეპელას შეშინებული დასქეროდა და რაღაც საალერსოს ბუტბუტებდა. მერე დარწმუნდა, რომ ადმირალს სიმსუბუქე არ შესწევდა გასაფრენად და მისმა უსუსურობამ უჩვეულო სიმშვიდე მოჰგვარა.

„დახედე, რენა, რა დღეია შენს ლამაზ კალენდარზე, შენ გენაცვალე! ანიკო, რამეს არ გამეიმეტებ ჩემი ოჯახიზა?“ — აღტაცებული შეეხმიანა ქალებს, — „ოხ, ახლა ამას უბოდიშე! აბა, ჭადი დოუცხვე, აბა, სულგუნი გადოუქენი!“ შემოისვა მხარზე ადმირალი და სიმღერით გაემართა ჭიშკრისკენ.

რენამ ქეთინიას ფლოსტებს წამოავლო ხელი და პატარძალს აედევნა. ანიკო ქალებს წამოეწია და ქეთინიას მოსახუფი გაუწოდა, ამაზე ძვირფასს ჩემს კარადაში ბევრს ვერაფერს იპოვიო. მერე პეპლისკენ გააპარა მზერა და იმედგაცრუებისთვის შეებრალა ქეთინია. არც ქეთინიას გამოპარვია უსიტყვო თანაგრძნობა, ფრთხილად მობრუნდა და ანიკოს ხელი მაგრად ჩასჭიდა.

— მე ეგება გიჟი ვარ, ჩემო ანიკო, მარა სულელი კი არ ვარ. აგი რომც ვერ გადარჩეს, ჰენრიხიე ჩემ გულში მაინც ცოცხალი იქნება, — უთხრა ცრემლმორეულმა და სიმღერა განაგრძო.

— რამტი-ტირი-ტაროოო, რამტი-ტირი-ტაროოო, — აჰყვა რენაც და გაუყვნენ გზას.

ქეთინია ქვიან შარაზე ფეხშიშველი მიდიოდა და თეძოებს მიათამაშებდა, თუმცა ტერფების გამჭოლი ტკივილი მხრებამდე ვერ აღწევდა და ადმირალიც უსაფრთხოდ გრძნობდა თავს. რენამ გამოსამშვიდობებლად რამდენჯერმე მოიხედა უკან და მადლობის ნიშნად თავი დახარა. მასპინძელმა ღიმილით უპასუხა და ფსიქიატრიულისკენ მიმავალი ქალებისთვის თვალი მანამდე არ მოუშორებია, სანამ დროდადრო წამოძახილმა — „მე არ ვიყო ქეთინია ქიშმარაია!“, ბებერ ხემდე ვეღარ მოაღწია.

ანიკომ ჭიშკარი მოხურა, მხარზე ჩამოცურებული თავშალი აფრასავით გაშალა და აბრეშუმის მსუბუქ ქროლვაზე მდელოდან ერთბაშად აფრენილი პეპლების მაყრიონი მექორწილეებისკენ წაფარფატდა. ზაფხულის ხანმოკლე ზმანებიდან შეფხიზლებულმა ანიკომ ჭინჭრის ფოთლებზე პეპლის კვერცხების ცვარი და შავი მუხლუხოები შეამჩნია. ჟრუანტელმა კი მაშინ დაუარა, როდესაც სიცოცხლის ჯადოსნური წრე საკუთარ ეზოში კიდევ ერთხელ აღმოაჩინა.

— ჰეჰე, ხო დაგიწკრიალეს სახლკარი? — ანიკოს ღობესთან მექის ქირქილი მოესმა.

— ეჰ, რა დატოვებს ახლა აქაურობას, — გულდამძიმებულმა უპასუხა და ჩრდილში გაფენილ ნოხზე ჩამოჯდა.

— გაგატანთ, ბატონო, გაგატანთ! — მექიმ გაიღიმა და წარბები ორჯერ აზიდა.

ანიკო ხის ძირისკენ გადაიხარა, ნესტისგან დარბილებულ ბელტს მიწვდა, თვალდახუჭულმა ორივე ხელით დაფშვნა, მერე თითებს შორის გაპარული მიწა კაბის კალთიდან ისევ პეშვში მოაგროვა და მექის გასძახა:

„მიწას მოვერევი, სახლს ვერა.“

დიმიტრი წიკლაური

ხელგაშლილი ძუნწი რაგო

გაგრძელება

მეძველმანეს ეტყობა, თვალთ დაჰკლებოდა, უხარისხო ქსოვილს ადვილად შეასაღებდნენ ხოლმე, რადგან მარტო რომ რჩებოდა, სულ ბუზღუნებდა, ეს რამ ამაღებინაო. ძირსაც ბლომად ქამრები ეყარა გაბრტყელებული ბალთებით, თითქოს გველებს თავი გაუჩეჩქვესო. ფული თავზე არასდროს გადასდიოდა, სიბრძნეებს კი აფრქვევდა. კაცის დაშინებას თუ ცდილობ, ეშმაკს ემსახურებიო, ამბობდა, კაცი მონადირეა და ოჯახს რომ შექმნის, სახლიდან მხოლოდ იმისთვის უნდა გადიოდეს, შინ ნადავლით დაბრუნდესო. თვითონ ხომ მახინჯი იყო, მაგრამ არც მისი ცოლი დაეჯილდოებინა ბუნებას გარეგნობით, თავი კოსმეტიკით გაჰქონდა და ერთთავად საქმიანობდა. პურის ქერქებს აგროვებდა ქათმებისთვის. იმ დღეს ეტყობა წინსაფრის ჩამოცმა დავიწყნია და საზეიმო კაბაში გამოწყობილი მუჭით ხორბლის მარცვლებს აპნევდა, დღესასწაულს უწყობდა წიწილებს, წიავ-წიავით რომ დასდევდნენ. საქონელს როცა არწყულებდა, დაღვრილი შხეფები უმალვე შრებოდა მზეზე. ეზოც გამოგავა გრძელი ცოცხით, მაგრამ არსებითი ცვლილება მაინც არ ხდებოდა. ვინც მეტ ინიციატივას იჩენდა, პარმაღი გაცილებით გაპრიალებული ჰქონდა. მეძველმანე მომჭირნე კაცი იყო, ძველ თასმებსაც ინახავდა, ძნების შესაკრავად გამომადგებაო. ყუთები და ცელოფნის ტომრები სტელაჟებზე გარკვეული განლაგებით განთავსებინა. დარდიანი გამომეტყველება კი არ ეცვლებოდა. გარე სამყაროს გამიჯნოდა, ათასში ერთხელ ფოსტით თუ ისარგებლებდა, ორი შენობის მოშორებით რომ მდებარეობდა. როცა ჩავუარე, მივესალმე.

მერე ტოფო დავინახე, ჩემი მეზობელი, აივნის მოაჯირს რომ დაყრდნობოდა. კამათს თუ დაუწყებდი, მაშინვე შეატყობდი, ბურღზე რომ მუშაობდა. გულჩათხრობილი იდგა ხეებით მოჩრდილულ ეზოში. ამ კარმიდამოს დამტკიცებას იმდენი დრო და ნერვები შეალია, აქედან აღარსად წავიდოდა. ჩემს დანახვაზე ეზო სწრაფად გადმოჭრა, ზღურბლთან კი შეჩერდა, მთელ წიგნს გადახტუნებით რომ გადაიკითხავ და ბოლო გვერდს გულდასმით ჩაუჯდები.

— მეჩვენება თუ დაბეჩავდი? — შემეგება მხურვალედ. მერე ძველ, დაჟანგებულ ავზს ჩამოეყრდნო, ეტყობა ახლით შეეცვალა. ქალაქის ამბები მკაცრად გამომკითხა. სანამ პასუხებს არ გავცემდი, შინ წასვლა არ მეწერა. დაჯღანული სახით კალატოზს ჰგავდა, მშენებლობას რომ მორჩენილა, მაგრამ ნარჩენები ჯერ კიდევ არ გაეზიდა.

— აქამდე რატომ არ ჩამოხვედი? — თითქოს რაიმე დიადი გამომეტოვებინოს, ისე მკითხა თავისი ჯაჯღანა ხმით, ეტყობა დათრგუნული ვეჩვენე. სახლში რომ შემიპატიჟა, თავი არ გამომიდია. რა მნიშვნელობა ჰქონდა, დროს როგორ გავიყვანდი. იატაკზე იმდენი ნახერხი ეყარა, ავეჯის სახელოსნო გეგონებოდა. სკივრის ზედაპირი ვერცხლივით ბრჭყვიალებდა, ძვირფასი მეტალით გეგონებოდა დაფერილი. ჩემ ცოლს აბრეშუმის ნაჭრები თუნუქის ყუთებში აქვსო განთავსებული, სკივრში უფრო ძვირფას რამეებს ინახავსო, თქვა. ასეთები თუ გააჩნდათ საერთოდ. ნატანჯი მზერა ჰქონდა, ხელის გამართვა მოგინდებოდა ფქვილით და ხორბლით, მაგრამ იფიქრებდი, უფრო ტკივილგამაყუჩებელი გამოადგებაო. ამდენ ოხვრას და ვაი-ვიშს იქაურობა მოსაწყენ გარემოდ ექცია, ყვავილებიც დამჭკნარსა ჰგავდნენ. ტოფოს ბავშვობიდან ვიცნობდი, დამყოლ ხასიათს არასდროს ავლენდა. კირკიტი ჩვეოდა. ლიმონათს სანამ დაისხამდა, დიდხანს კითხულობდა ეტიკეტს, შემადგენლობას ეცნობოდა. ასეთი ახირება ჰქონდა. რაც არ უნდა მიერთმიათ, ხელში შპარგალკა უნდა სჭეროდა. დიდი ნაგებობაც მომცრო ნაწილებისგან შედგებაო, იტყოდა უცებ. ვერც კი მიხვდებოდი, რას მოაყოლა, ან რას გულისხმობდა. ყოველთვის რაღაც ისეთი უნდოდა შეექმნა, მრავალგამოყენებადი მნიშვნელობის, მაგრამ იდეას ვერ იხელთებდა. ეს ახირება კარგს არაფერს მოუტანდა, თითქოს თავი მარყუჟში გაეყო და ცხოვრებისეული დასკვნები თოკის ნასკვებივით უჭერდა ყელზე. ადრე მეც მჯეროდა, ყველაფერს თავს გავართმევ-მეთქი, მაშინ ფლანგვა ჩემი ხელობა იყო, მაგრამ ჭკუა რომ ვისწავლე, მომჭირნე გავხდი, ჩემს სასახელოდ უნდა ითქვას, მთლად ისეთი არა, როგორც რაგო.

— ხუთი წლის ღვინოა, გამისინჯე! — წითელი სითხე ჭიქებში ჩამოესხა.

— ბევრს ვერ დავლევ, დილით მანქანა მყავს წასაყვანი! — ვიმართლე თავი, მაგრამ როცა შევსვი, ეს ხუთი წელი ერთბაშად ვიგრძენი. აბა, რას იტყვიო, სანამ ღიმილით მკითხავდა, საუკეთესოა-მეთქი, დავასწარი.

— კერა როდის ავაღორძინოთ? — ისეთი საყოველთაო ღიმილი ჰქონდა, მის შესახებ რომ ცოდნოდათ, მთელ კაცობრიობას მოჰფენდნენ. ფლოტის ადმირალს ჰგავდა, შესამოსელზე ღილები და ბალთა ულაპლაპებდა, გულის ნაცვლად კი საუნჯის ზარდახშას მალავდა. გარეთ უმწეოდ ქროდა სიო, თითქოს დაბმული ფრინველები ფრთებს იქნევდნენ და აფრენას ამაოდ ლამობდნენ, ტოფო კი ჭიქებს ისევ ავსებდა, რომ მშობლიურ ტყეებზეც ეთქვა:

— მოჭრილი ხეები სამხიდიანი სატვირთოებით გამოაქვთ. გული დაგწყდება, მუხების ნაცვლად ღრმა თხრილებს რომ წააწყდები, ალქაჯთა ნაკვალევს რომ ჰგავს!

ლუდზე გადავიდეთო, შემომთავაზა. ლუდს ქილებით სვამდა ხოლმე. ძირს თუნუქის მთელი გროვა ეყარა. ფეხს ვერსად დაადგამდი, ზედ რომ არ დაგებიჯა. რომ დალევდა, კედლების ღებვას მოჰყვებოდა ხოლმე, თავი მხატვრად წარმოედგინა, უფაქიზესი ხედვით. ფუნჯს საღებავში ამოავლებდა და ნახელავს ალმაცერად შეჰყურებდა. გაღებილ ნაწილს ბრჭყვიალი გაჰქონდა, უბადრუკ ინტერიერს არ მიესადაგებოდა. თურმე ტოფო ერთიხანობა ბავშვობის სახლის აღდგენას შეეცადა, მაგრამ საქმე გაუჯანჯლდა. ფიცრები ისეთი ძველი იყო, ჭრიალიღა შეეძლოთ. კედელი რომ ჩამოფხიკა, ძველი დრო გაახსენდა, სულ სხვა ფერის როცა იყო და ცრემლები წამოუვიდა. მერე განზრახვაზე ხელი აეღო, წარსულს მაინც ვეღარ დავიბრუნებო.

ერთგან მოკიაფე შუქი შეიძრა და სანთლის ალი მარჯვნივ გადაიხარა, ეტყობა იქით კარი გამოაღეს.

— მეზობლის ქალია, ხალიჩებზე ჩალიჩობს! — მითხრა ტაფომ, — თურქეთიდან ეზიდება, ჩემ ცოლს ნიმუშს ანახებს და მერე შეუჩნდება ხოლმე, იყიდე, ასეთები აღარ იშოვებაო. ჩვენთან მოსვლა საერთოდ უნდა ავუკრძალო! — ჩაიცინა. უშნო ჩაცინება ჩვეოდა, თითქოს სიამოვნებას ჰგვრისო. სამზარეულოდან კი ჭურჭლის ჟღარუნი გაისმოდა, ალბათ ლაპარაკი რომ არ გაგვეგონა, მის ცოლს თეფშები ონკანისთვის შეეშვირა, შხეფები იატაკსაც ეწუწებოდა. ტოფოს და მის ცოლს ერთად იშვიათად ნახავდი. დღის განრიგი ადვილი გამოსაცნობი იყო. დილაობით ქმარი ჯაჯღანით გადიოდა ალბათ საშოვარზე, ცოლი კი დუმდა, ხოლო საღამოს, როცა ცაზე კაშკაშა ვარსკვლავები ენთებოდა, შინ დაბრუნებულს ახლა ცოლი ებუზღუნებოდა და ტოფო აღარ იღებდა ხმას. ლაპარაკისას ხახა უშრებოდა. ტუჩები გამომშრალი ჰქონდა, თითქოს წყურვილი ტანჯავსო. სამზარეულოში უბრად და ჩანჩალით დასდევდა დიასახლისს და მცირე ვახშამს სჯერდებოდა. მოკლედ მთელი ცერემონიალი იყო.

— ძირითადად უიღბლობის მიზეზს ვადგენ! — თქვა ტოფომ.

— მედიცინაშიც ასეა, მთავარი გამომწვევი მიზეზის დადგენაა! — რამე ხომ უნდა მეთქვა.

— თქვენთან რა არის უიღბლობის მიზეზი?

— ჩვენთან? — ჩავფიქრდი მე, — შესაძლოა ის, რომ შეფი ავად გახდა!

მერე ტოფო წვრილმან პრობლემებს შეეხო, ტანსაცმელს მეძველმანესთან ვყიდულობო. ასე უფრო იაფი უჯდებოდა. დროდადრო ქალაქელი ნათესავიც ჩუქნიდა ხოლმე საუცხოო ფეხსაცმელებს, ორი ზომით დიდი რომ ჰქონდა და როცა იცვამდა, ისე გამოიყურებოდა, როგორც ოქროს კვარცხლბეკზე შემდგარი მაწანწალა. ბურღვის საქმე რომ გამოელეოდა, წვალობდა ხოლმე, ღობე-ყორეს ედებოდა. ვენტილატორების ეპოქაში შობილი, კონდინციორებში ვეღარ ერკვეოდა. ესენი მერე შემოვიდა. მას კი ძველი ცოდნით უხდებოდა ფონს გასვლა. ამიტომაც ქალაქში წასვლა არც უცდია. ასეთი ხელოსნობით თავს იქ ვერ გაიტანდა. წინასწარ იცოდა, აქ რომ დარჩებოდა სამუდამოდ და ბედის ნებისმიერ განაჩენს მკაცრი დუმილით ხვდებოდა. თავის მართლება და ენის ჭარტალი არ ჩვეოდა. არც გული აღარ უჩუყდებოდა იოლად და აღარც ჩანაფიქრების გამჟღავნებას ცდილობდა. მთავარი ხარაჩოების განლაგება ხომ დიდი ხნის წინ გადაწყდა და ვეღარაფერს შეცვლიდა, მხოლოდ უმნიშვნელოს. მთები შესაძლოა ბორცვებად ჩამოზავდეს, მაგრამ ბორცვები მთებად ვეღარასოდეს აღზევდებიან. ეს ცხოვრების პროცესი იყო, ხორცის მოშუშვას რომ ჰგავდა, მზარეულის მოთმინების გამოცდას, ფაქიზ დაკვირვებას, ცეცხლის ჩაქრობას რომ არ ჩქარობს და სურნელით ხვდება კერძის მზადყოფნას. დაშანთული მაჯები კი ჰქონდა ტოფოს, თითქოს კატორღა და გადასახლება გამოეარა. სოფელშიც უბრად დაძრწოდა და სახეც ეჭვმიტანილს მიუგავდა. გამოკვების საკითხსაც როგორღაც აგვარებდა. საქმეზე ადრიანად გადიოდა. ფეხებს მძიმე ჩექმებში ჩაყოფდა და რიჟრაჟზე გათხელებულ ტალახში მიტყაპუნობდა, ფაცრები უნდა ამოეღო, ღელეში რომ ჰქონდა ჩაგებული. დღის დანარჩენ ნაწილს ბაზარში ატარებდა. თევზს მყიდველებს ლამის ხელში აჩეჩებდა. ეტყობა, ძვირად სთავაზობდა, ცხვირს რახან უბზუებდნენ. ვინც ზეითუნის ზეთსა ჰყიდდა, მეტი რჩებოდა. სარფიანი საქმე იყო. სურნელოვან ზეთებს დიდი გასავალი ჰქონდა, ზეითუნისა კი საუკეთესოდ ითვლებოდა. ვიღაცამ ჯაგლაგ ცხენს ურემი შეაბა ტომრების გასაზიდად, ვიღაც დახლის გაწყობას შეუდგა, ზოგან დაფნის ფოთლები ფართო ჩრდილად რომ ეფინებოდა. მოსახლეობის ნახევარი აქ ტრიალებდა. იდგა ერთი ყაყანი და აყალმაყალი. მეტნაკლები ქონება ყველას გააჩნდა, მთლად უქონელს უდაბნოში თუ გადააწყდებოდი. ტოფოს იქ დასჩემდა მათხოვრებზე დაკვირვება, ვაითუ, სულ გავკოტრდე და ხელის გაწვდენა მომიწიოსო. შინიდან შედარებით მხნედ გამოდიოდა, მაგრამ უკან ყოველთვის ზლაზვნით ბრუნდებოდა, ხოლო ძველ დროს მონატრებით იგონებდა, იმდენი ავეჯი გვქონდა, ფანჯარასთან მისვლამდე კისერს მოიტეხავდიო, თითქოს წინაპრებს უნდა ეცოცხლათო, დოვლათი რომ შენარჩუნებულიყო.

სანამ ტოფო თემშარებზე ამ მოფლეშილი საზიდრით ივლიდა, უვარგის დროს უკან ვერ ჩამოიტოვებდა. მის მზერას მედიდურობა დაჰკარგოდა, გული წინაპრების ნაქონი ძვირფასი ჭურჭელივით დამსხვრეოდა. ფარღალალა სახლი გამძლეობას ვეღარ ინარჩუნებდა. ცვილისა გეგონებოდა. მზე თუ დააჭერდა, დადნებოდა, ყინვა კი დაფხვნიდა. ძველი ინგრეოდა, ახალი არ იგებოდა, ქალაქისგან განსხვავებით, სადაც იმდენი მშენებლობა გაეჩაღებინათ, ხარაჩოებს ზოლიანი ტენტებით ფარავდნენ, ზებრების ჯოგი გეგონებოდა. აქ კი გამომფიტავი ცხოვრებისგან კაცები სარეველას დამსგავსებოდნენ, ქალები დამჭკნარ ყვავილებს. მობეზრებოდათ უხეში შესამოსელი, დარაბების მოსაწყენი ჭრიალი, თემშარის მტვერი ურმების ჩავლისას, უსახსროდ დაღამება და დილიდან დანაყრებისთვის ზრუნვა, მაგრამ იქნებ სწორ გზაზე სწორედ ის დგას, ვისაც ცხოვრება უსამართლოდ ექცევა.

ტოფოს სხვანაირი ცხოვრება ვეღარც წარმოედგინა. სიცხეში პერანგს გადაიცვამდა, სიცივეში ძენძებით შეიფუთნებოდა, ცოტაოდენს მაინც გამათბობსო, მთელი დღე სოფელში ჯაჯღანით ივლიდა, მაგრამ სახლის გზიდან არ გადაუხვევდა და თუ ქარი სარეცხის თოკებს ჩამოწყვეტდა, ძირს დაყრილ თეთრეულს ისე დასწვდებოდა, თითქოს თავის ცოლს გვირილებს უკრეფსო.

მერე ჩემთან გადავედით. საღამოვდებოდა. მანქანა შევამოწმე, აკუმულატორი ხომ არ დაჯდა-მეთქი. გაპარტახებული სახლი მიტოვებულ ვაგონს ჰგავდა, მწირი ავეჯით რომ მქონდა გაწყობილი, ჯიბგირი რომც შემოსულიყო, ხელს ვერაფერს გააყოლებდა. ტოფომ მიმოიხედა და პრაქტიკული რჩევა მომცა:

— შეეშვი ძველი სადენებს, შეკეთებად არ ღირს. თუ არ შეცვალე, ხანძრები დანთქავს!

სადენები მართლაც სადეზინფექციო იზოლენტებით გადახვეულ ჭრილობებს ჰგავდა. იგი ცოტა ხნით გავიდა და უკან მავთულის ხვეულით დაბრუნდა. კი არ ეჭირა, ჩაებღუჯა. ხელს ვერ გააშვებინებდი. მისი შემხედვარე ახალბედას ვგავდი ინსტრუქციის მოლოდინში გაფაციცებული მზერით. რის გამკეთებელი ვიყავი. საწვიმარი მილი მორღვეულიყო და წყლის მილებიც უნდა შემეცვალა. მთელ სოფელს აწუხებდა წყლის პრობლემა. დროდადრო წყევლა-კრულვაც ამ მიზეზით გაისმოდა ხოლმე. კაცები ამაოდ იბრიქებოდნენ, გაწიწმატებული ქალები რომ დაეშოშმინებინათ, მათ ანჩხლ ხასიათს მაინც ვერაფერს უხერხებდნენ, შუადღისას სიცხით გათანგულნი წყლის საჭიროებას მეტად რომ გრძნობდნენ.

— დღე დამოკლდა. ათინათი აგვიანებს ხოლმე! — თქვა ტოფომ დამშვიდობისას.

მერე ზღურბლზე რაღაცას ფეხი წამოკრა და ლამის ცხვირით ჩაესო მიწაში. ცხოვრება ისე იყო მოწყობილი, მის ყოველ საქციელს დაუდევრობა რომ დარქმეოდა. მბჟუტავი ქოხმახები და მესრები სიბნელეში იკარგებოდა, სადაც გზა ხელის ცეცებით უნდა გაგეგრძელებინა. წყვდიადში ფრთხილად უნდა გეარა. ციცაბო ქუჩები იყო. სახლებში ლამპები ენთო, უსულო საგნებისთვის სიცოცხლე რომ შთაებერათ. ვარსკვლავებიც ხომ ასე იქცევიან, როცა ციმციმებენ და ადგილიდან არ იძვრიან.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან გახოკია

მოგზაურობა წყვდიადის გულში





გიცდიათ ოდესმე სიგარის კვამლის მუჭში გამომწყვდევა?

ჰოდა, უნდა სცადოთ.

ჯოზეფ კონრადის წყვდიადის გული წაიკითხოთ.

თავიდანვე გეტყვით, ქარის დევნას ემსგავსება ტექსტის იდეისა და მნიშვნელობის მოხელთება. კითხვის პროცესში, წიგნის პერსონაჟის, მარლოს მსგავსი მოგზაურმოხეტიალე გახდებით, ტყეებსა და ბუჩქების წყვდიადში მიყრილ დარდს, შიშს, ნისლს, უდაბურებას, ტკივილს, კვნესას რომ კრებს და მაინც ვერაფერი გაუგია ბედისწერის თოკზე გაფენილი, გამშრალ-გამოფიტული ადამიანის ცხოვრების შესახებ.

დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით, ვერც მარლოზე და ვერც კურცზე, ამ ხმებადქცეულ, ბგერებადდაშლილ პერსონაჟებზე, ვერც მათი გულის წყვდიადზე თუ პირიქით, მათ ირგვლივ არსებულ წყვდიადის გულზე. ამიტომ, მოდი, სიგარის კვამლს ჩვენი ხერხებით ვდიოთ და ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებაზე ვისაუბროთ.

თუ, ელიოტის თანახმად, ტექსტის ღირებულების განსაზღვრა ლიტერატურული ტრადიციის ჭრილითა და წარსულის თვალსაზრისით შეფასება შედარებას გულისხმობს, დაე, კონრადიც ამგვარად შეფასდეს, ტრადიციითა და პიროვნული ნიჭიერებით.

მაშ ასე, 1899 წელს, საუკუნის მიჯნაზე, ბრიტანულ, ბლექვუდის გაზეთში სამ ნაწილად იბეჭდება ნოველა „წყვდიადის გული“ და ამგვარად, ანგლოამერიკულ ლიტერატურაში, მოდერნიზმი იწყება. იწყება კუნაპეტ ღამეში, უძილო, ტყვიისფერი მდინარის გავლით, გახელებული, ველური სიჩუმის ფონზე და იწყება წყვდიადის გულში მოგზაურობით.

ასე მთავრდება, კეთილი, ბედნიერი, მზიან — თავგადასავლიანი ვიქტორიანული რომანი და მძიმე, დამქანცველი მოდერნიზმი დგება, სრულიად განსხვავებული ფორმალური და ესთეტიკური ღირებულებებით: თხრობის პერსპექტივით, მითოსური ნარატივითა და სტილით.

ლიტერატურული ტრადიცია ვახსენეთ და, მოდი, ცოტა ხნით თვალი გადავავლოთ მე-19 საუკუნის ვიქტორიანულ რომანსა და ეპოქალურ მწერლებს: ჩარლზ დიკენსს, ჯორჯ ელიოტს, ემილი და შარლოტა ბრონტეებს, უილიამ თეკერეის, ტომას ჰარდის და მათი თხრობის მანერასაც დავუკვირდეთ. ყოვლისმცოდნე მთხრობელები არიან, ყოველგვარი სტრუქტურული ჩარჩოებისა და ექსპერიმენტების გარეშე, სწორხაზოვნად და პირდაპირ რომ ჰყვებიან საოცარ ამბებს ქორწინებასა და სიყვარულზე, ქალსა და მამაკაცზე, სიღარიბესა და სიმდიდრეზე, ჩაგვრასა და ბედნიერებაზე, შიმშილსა და ძღომაზე, ძალაუფლებასა და უძლურებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე. ჰყვებიან იმგვარად, რომ ღრმად სჯერათ ადამიანის კეთილი საწყისისა და ამბის ბედნიერი დასასრულის; ჰყვებიან თავგადასავალს, გარკვევით, ცხადად, გასაგებად, მკითხველის მოღლისა და მოქანცვის გარეშე.

მაგრამ, 1899 წელს გამოქვეყნებული ტექსტის ავტორს, პირველ ინგლისურენოვან პოლონელ მოდერნისტს, უკვე აღარ აინტერესებს მთხრობელის ყოვლისმცოდნეობა და თხრობის სწორხაზოვნებასაც ვიქტორიანული ეპოქის ფარდის მიღმა ტოვებს. ფართო აუდიტორიისთვის არა, ხელოვნებისთვის წერს და „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ პრინციპი უსაზღვრო ექსპერიმენტებისა და გამბედაობის შესაძლებლობას აძლევს.

ასეა, კონრადი მცირე ნოველით ემიჯნება ვიქტორიანული რომანის ტრადიციას და თხრობის განსხვავებულ პერსპექტივას ირჩევს. ყოვლისმცოდნე მთხრობელის ნაცვლად ჩინური ყუთის ტექნიკას იყენებს, ტრადიციულ რომანს სტრუქტურულად თავდაყირა აყენებს და ამბავს ერთმანეთში ჩასმულ-ჩარიგებულ-ჩახუჭუჭებული მთხრობელების პირით გადმოსცემს.

მაშ ასე, ჩარჩო მთხრობელი, კრეისერ „ნელის“ სრულიად უცნობი, უსახელო მეზღვაური, ბებერი და დანაოჭებული მდინარე ტემზის ფონზე გვიხატავს ამბის მთავარ მთხრობელს — მარლოს — ასკეტურგამომეტყველებიან და ლოყებჩავარდნილ მოგზაურს, კრეისერის ოთხი მგზავრის: ვექილის, მოანგარიშის, დირექტორისა და ჩარჩო მთხრობელის წინაშე რომ ჰყვება მთავარ ამბავს. ჰყვება რეტროსპექტულად, კონგოს აუზში მოგზაურობასა და სპილოს ძვლის მომპოვებელ აგენტზე, კურცზე, ერთდროულად რომ ატარებს ნიცშეანური ზეკაცის აღზევებისა და მისი დესტრუქციის იდეას.

იქნებ მკითხოთ, რისთვის სჭირდება კონრადს თხრობის ამგვარი მოდელი. მაგრამ, აბა, მე რა გითხრათ, აკი თავიდანვე გაგაფრთხილეთ, ისეთი ავტორია, მასთან მნიშვნელობების ძიება სიგარის კვამლის მუჭში გამომწყვდევას ჰგავს-მეთქი; ის კი დანამდვილებით ვიცი, მოდერნიზმის ეპოქაში სამყაროს აღქმა რომ იცვლება და აღქმის პერსპექტივაც. ეპოქის დასასრულს (ინ დე სიეცლე) აღარ შეშვენის მოძველებული, ტრადიციულ-კონვენციური ფორმები, თხრობის სიმწყობრე, მისი სიცხადე და სწორხაზოვნება. ბებერი, დანაოჭებული სამყარო კვამლისფერი ზეცის ქვეშ, წყვდიადში ბორგავს, გრგვინავს და აბა როგორ გინდა ამგვარ სამყაროზე ყოვლისმცოდნე მთხრობელივით ისაუბრო. ჰოდა, კონრადი, შესანიშნავად რომ ერკვევა ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთმიმართებაში, წყვდიადის გულივით ანაწილების ნაწარმოების თხრობით სტრუქტურას და ამგვარად, ანგლოამერიკულ ლიტერატურულ ტრადიციას სულ სხვა მიმართულებას კარნახობს.

მიმართულება კი საოცრად მოდერნისტულია. მაღალ მოდერნიზმში, ანგლოამერიკული რომანი მითოსს რომ ებრძვის და მის მყარ საფუძველზე შენდება, ეს ტრადიციაც კონრადის წყვდიადის გულთან იწყება. აკი ვთქვი, დრო იცვლება და დროსთან ერთად ღირებულებებიც-მეთქი. საუკუნის მიჯნაზე მდგარი რეალისტური ამბავი, სოციალური თემების რიდეში რომ ხვევს გმირის თავგადასავალს, ვეღარ უმკლავდება მოთხოვნილ საჭიროებებს. არც რეალიზმის ნარატივი და მოვლენათა მიზეზშედეგობრიობა ამართლებს. რაღაც სხვა ხდება საჭირო. ეს სხვა კი კონრადთან, მითოსური ნარატივით იწყება.

არისტოტელემ მითოსი, თავის პოეტიკაში, ხდომილებათა დაკავშირებას უწოდა. მითოსური ნარატივი კი, ანტიკურ ლიტერატურაში, ტექსტის შინაგანი ლოგიკაა, როცა, მთელი მოქმედება ერთი გარკვეული მიზნისკენაა მიმართული და მას რაიმე უცნობი ძალა, ღმერთები ან ბედისწერა წარმართავს. ასეა, ოიდიპოსის ბედისწერა ჩანასახშივეა განსაზღვრული და მისგან გაქცევის ყოველი მცდელობა საბოლოო ტრაგედიასთან მიახლოების წინაპირობაა. ვიქტორიანელებს მოვლენათა ურთიერთკავშირისთვის ბედისწერის მოშველიება არ დასჭირვებიათ. ისინი რეალისტები იყვნენ და ამგვარად, მათთან ამბები მიზეზშედეგობრივად გამომდინარეობს ერთმანეთისგან. მაგალითად, თუ ჯორჯ ელიოტის დოროთეა ბრუქსი, 19 წლის რომანტიკოსი, გასათხოვარი გოგო, მომხიბვლელ, გალანტურ, დახვეწილ მამაკაცად ჩათვლის 45 წლის ედვარდ კასაუბონს, ხმაურით რომ თხვრეპს ხოლმე წვნიანს, შედეგი აუცილებლად ქორწინება იქნება და ამაში არაფერია გასაკვირი ან საბედისწერო. მაგრამ, თუ წყვდიადის გულში, ტყვიისფერ უდაბურებასა და შუშისფერ სიცარიელეში, კივილით გაგლეჯილი ჰაერისა და საბედისწერო მინიშნებების ფონზე, მარლო კურცს შეხვდება, ეს აუცილებლად საბედისწერო შეხვედრა იქნება.

მოდი, გავიხსენოთ, როგორ აღმოჩნდა მარლო ფრანგულ ორთქლმავალზე. ერთი ჩვეულებრივი კაპიტნის ადგილს იკავებს, გაუვალ, ველურ, ხელუხლებელ წყვდიადში შავი ქათმების მიზეზით დაწყებულ ჩხუბს რომ შეეწირა. თეთრკანიანი კაპიტანი იყო, ორიოდე წელი რომ იცხოვრა წყვდიადის გულში და შემლილობამდე მისულმა ბოლოს დაუნდობლად სცემა მოხუცი ზანგი ბელადი. ბელადის შვილმაც შურისძიება გაბედა და მერე თეთრკანიანის მკვლელობის სასჯელით ზარდაცემული აბორიგენთა მთელი სოფელი აიყარა. ისიც გაიხსენეთ, კომპანიაში მისული მარლო როგორ ხვდება კარის მცველ ორ ქალს, ძაფს რომ რთავენ და ციებაშეყრილივით ქსოვენ. ავისმომასწავებელი გრძნობა ეუფლება. ზებუნებრივსა და საბედისწეროს ჰგვანანო, ამბობს და ასეცაა, მოირები არიან, ბედისწერის ქალღმერთები, უღმერთო სამყაროში ადამიანის ცხოვრების ბედს რომ ქსოვენ. ექიმთან შეხვედრის სცენაც ვახსენოთ, მარლოს პირდაპირ რომ აფრთხილებს, კონგოს აუზიდან უკან დაბრუნებული არავინ, აღარავინ მინახავს და იქ ადამიანები მენტალურად იშლებიანო. შვედი მეზღვაურიც ასე შეიშალა, ველურ წყვდიადში ცხოვრებას რომ ვერ გაუძლო და თავი ჩამოიხრჩო.

გამგზავრებამდე, ამ მინიშნებების შემსწრეს, უზომოდ, უზომოდ გინდა უარი ათქმევინო მარლოს, შეშლილ, აჩრდილებადქცეული ადამიანების, ნაცრისფერ სამყაროში მოგზაურობაზე. უკვე იცი, რომ იქ, წვდიადის გულში, ამოუწურავი დარდის სამყაროში, ადამიანები თურმე გიჟდებიან, იშლებიან, კვდებიან, უსიცოცხლო აჩრდილებს ემსგავსებიან. მარლომაც იცის, და ამიტომ საოცრად ლოგიკურია, უარი თქვას მოგზაურობაზე. მაგრამ, ჩვენ ხომ ვთქვით, რომ მოდერნიზმში აღარაფერია მიზეზშედეგობრივი. აქ ანტიკური ტრაგედიის მითოსური ნარატივი მოქმედებს, რომელიც მოვლენებს ერთმანეთთან ბედისწერის ჯაჭვით აკავშირებს. მარლოს ბედისწერა კურცის გაცნობა, მასთან შეხვედრა და მასზე ამბის მოყოლაა. და მარლოც მიდის, მიდის გამაფრთხილებელი ნიშნების მიუხედავად და მიდის არა სპილოს ძვლის მოსაპოვებლად, არამედ საკუთარ ბედისწერასთან შესახვედრად.

ასეა, მითოსი და მითოსური ნარატივი საოცრად უყვარს კონრადს. ნაწარმოების მთელი ფაბულაც მითიურ არქეტიპებზე დგას — ოდისევსისა და ენეასის მოგზაურობაზე, მდინარე სტიქსის გავლით, უსიერ ტყესა და ჩრდილების სამყაროში. მარლოც მოდერნული ოდისევსია, ერთდროულად რომ მოგზაურობს კონგოს წყვდიადის გულსა და ადამიანის გულის წყვდიადში.

ანგლოამერიკულ მოდერნიზმზე ვსაუბრობთ და მოდით, კონრადის სტილიც ვახსენოთ. მე-18 საუკუნის ერთ-ერთ ენის ფილოსოფოსს უთქვას, ენა ბერწი ქალი არაა, შობა რომ ვერ შეძლოსო. ჰოდა, ენის ნაყოფიერებას კონრადთან ყველაზე მძლავრად გრძნობ. არსად არაფერს აღწერს, არ ახასიათებს, მაგრამ ზუსტი, საოცრად ცოცხალი ხატებითა და მეტაფორებით გენიალურ ხასიათებსა და განუმეორებელ ატმოსფეროს ქმნის ლიტერატურის ისტორიაში. სწორედ ამგვარ ხერხს უწოდებდა ალბათ ელიოტი ობიექტურ კორელატივს, საგნობრივ შესაბამისობას, როცა თითოეული ემოცია შესაბამისი საგნითაა გადმოცემული, დაჭერილი და მუჭში გამომწყვდეული. ჩვენ არ ვიცით, რას განიცდის მარლო, რუკაზე კონგოს აუზის ყურებისას, მაგრამ ვიცით, რას განიცდის გველის მონუსხული „პაწია, სულელი ჩიტი“, ვიცით, რომ „მდინარე უზარმაზარ გველს ჰგავს, თავი რომ ზღვაში ჩაურგავს, სხეული მიიკლაკნება ვრცელ ქვეყანაში და კუდი კი ხმელეთის სიღრმეში იკარგება“.

ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით, სადგურის უფროსის, ელეგანტურად გამოწკეპილი თეთრკანიანის გარეგნობისა და მისი მიმიკების შესახებ, მაგრამ ვიცით, რომ „პარიკმახერის მანეკენს“ ჰგავს და ამ ხატით იმაზე მეტია ნათქვამი, ვიდრე სამგვერდიანი აღწერილობით შეიძლებოდა ეთქვათ. კონრადი „გუდაფშუტა მეფისტოფელად“ მოიხსენიებს სადგურის პირველ აგენტს, ველური სიჩუმის პირმშოებს „მომაკვდავ აჩრდილებს“ ადარებს და ხელჯოხმომარჯვებული ევროპელი პილიგრიმებისა და რუსი არლეკინის ხატით ერთდროულად იგდებს მასხრად ყველას და ყველაფერს. და მისი ენა საოცრად მდიდარი, ნოყიერი, უხვი და ნაყოფიერია. ამგვარი სიუხვითა და ნაყოფიერებით კი, იგი ძეგლს უდგამს სიმახინჯეს — წყვდიადის გულს და ანგლოამერიკული რომანის ტრადიციაში სიმახინჯის ესთეტიკა შემოაქვს. აჰა, ბატონო, ესეც მოდერნიზმის კიდევ ერთი ნიშანი.

იცით, მე მგონი საოცრად საინტერესო უნდა იყოს სიგარის კვამლის დევნა და უზომოდ გაუმართლა ქართველ მკითხველს კონრადის დონის მწერალს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა რომ მოჰკიდეს ხელი. თარგმანიდან ერთი პასაჟის მოყვანაც კი იკმარებს მისი მხატვრული ღირებულების შესაფასებლად:

„ყველაზე მეტი, რისი იმედიც შეიძლება გქონდეს, საკუთარი თავის შეცნობაა და ისიც მეტად დაგვიანებით მოდის, როგორც მოსავალი ამოუწურავი დარდისა. სიკვდილს ვებრძოდი. ეს ყველაზე უსიამოვნო შეჯიბრია, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. იმართება გაურკვეველ სინაცრისფრეში, ფეხქვეშ არაფერია, არაფერია გარშემო, უმაყურებლოდ, უხმაუროდ, უაღტაცებოდ, უსურვილოდ დიადი გამარჯვებისა, უშიშოდ დიდი დამარცხებისა, გრილი სკეპტიციზმის სნეულ გარემოში, როცა საკუთარი სიმართლისა აღარ გწამს და უფრო ნაკლებ გჯერა მონინააღმდეგის სიმართლისა“.

არა, ქართული ენა ნამდვილად არ უნდა იყოს ბერწი ქალი!

ჰოდა, აიღეთ და სიგარის კვამლი მუჭში მოაქციეთ.

ასე იტყოდა ზეროტუსტრა, თავისთვის

ვისთვის რა არის ევროპა? ყველას ხომ თავისი შეხედულება აქვს, ყველას თავისებურად ესმის და თუკი გეოპოლიტიკურ საკითხებს განიხილავენ, ევროპას ისეთად მოიხსენიებენ, რომელიც თავისი იდეების გამტარებელია, ან პირიქით. არადა, ასე მარტივიც ხომ არაა, ერთი კონტინენტი ერთ იდეამდე დაიყვანონ. ვიღაც ჭეშმარიტ მეგობრად აღიქვამს მას, ვიღაც კიდევ მტრად, ვიღაცისთვის ერთგული დამხმარეა, ვიღაცისთვის კი ცხადი საშიშროება, რომელსაც შეუძლია კულტურული თვითიდენტობა დაგვაკარგვინოს. მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ყველაფერი პირობითია, ყველა საგანი თან არის და თან არ არის, თავად ევროპაც და თავად ჩიბუხიც, როგორც ფუკო იტყოდა, თან არის ჩიბუხი და თან არ არის; ამაზე ზეროტუსტრა გვიპასუხებდა, რომ „ო, მიშელ ფუკო, მიშელ ფუცკ-ოფფ“ ეგ ჩვენც ვიცით, გაზეთებს ჩვენც ვკითხულობთო და მართალიც იქნებოდა, რადგან აქ და ახლა მსგავსი ინტელექტუალობის დრო არ გვაქვს, სიტყვებით თამაშისა, რომელსაც ალბათ ერთეულები თუ გაიგებენ.

მოკლედ, რა ხდება — ზეროტუსტრა, ჩვენი ხანშიშესული პროტაგონისტი, რომელსაც სიბერე მოადგა კარს, იწყებს მოგზაურობას ევროპაში, ეს მაშინ, როცა თბილისში საშინელი ამბები ტრიალებს, მდინარე ვერე დიდდება და ქალაქის დიდ ნაწილს შიგ მოიყოლებს, როგორც ამას თავად ავტორი წერს:

„მდინარე ვერემ თავისი თქვა. მდინარე ვერემ მღვრიე, შლამიანი ჭეშმარიტება გადმოაფრქვია — In Vere Veritas!“

ეს არის სიტყვების მშვენიერი გადათამაშება, არა ღვინო ან თრობა, არამედ მდინარე ვერეა ჭეშმარიტება, სწორედ ის ღაღადებს სიმართლეს. მსგავსი სიტყვათა თამაშები, მოგეხსენებათ, არ არის უცხო ზურაბ ქარუმიძისგან, ეს ყველაფერი კი კითხვისას ინტერესს გიღვივებს და არ გაძლევს მობეზრების საშუალებას. მართალია, წიგნი სქელტანიანი არ არის, მაგრამ პირადად მე მცირე მოთხრობისგანაც დავღლილვარ ისე, პირველივე გვერდის მერე გვერდზე გადამიდია.

როგორც დასაწყისში ვახსენე, ევროპის სახე ყველასთან განსხვავებულია ხოლმე. ამ რომანში კი, ჩემი აზრით, ის გვესახება როგორც მოხუცი და ნახევრად მიძინებული, რომელიც ქუჩაში ტრანკვილიზატორგარჭობილი ბეჰემოთივით მიაბიჯებს და არაფრად აგდებს გარშემომყოფებს, უბრალოდ მიდის და ალბათ არც არაფერს გააკეთებს, სანამ თვითონ მას არ შეეხებიან.

ზურაბ ქარუმიძის ერთ-ერთი გამორჩეული რომანია „მელია-ტულეფია“, სადაც ვხვდებით მსგავს ეპიზოდს: ამერიკიდან ჩამოსული ბიზნესმენი და მისი მეუღლე, აბსენტით მთვრალები, მთავარ პერსონაჟ შაქრო კარმელთან ერთად კაფე „ქიმერიონში“ არიან, კედლები კი გუდიაშვილისა და კაკაბაძის ნახატებით არის მორთული, წამით ნახატები ცოცხლდებიან და აბსენტით მთვრალებს ელანდებათ, თუ როგორ გადმოდიან ფერწერული სამყაროდან სხეულები, რეალურ სამყაროში, მათ გვერდით. „TER“-ში კი თავად პერსონაჟები და მათი შემქმნელი ავტორები გვესახებიან რეალურ პიროვნებებად, აქ შევხვდებით: ეზრა პაუნდს, ჰემინგუეის, ცოლ-ქმარ ფიცჯერალდებს, გერტრუდა სტაინს, ალისტერ კროულს, დალის, ბუნუელს, პიკასოს, ფორდს, ერთ ფაეტონში ჩამსხდარებს, სადაც ელიოტი გასძახის:

„ჩვენ ვართ ფუტურო კაცები
თავი გვაქვს სავსე ჩალითა,“

მას ჰემინგუეი გამოეპასუხება:

„ჰო, ნუ მკითხავ ძმაო, ვის უხმობს ზარი...“

ამ დროს ფიცჯერალდი დაასკვნის, რომ თბილისი პატარა პარიჟია და მერე კი შეთანხმდებიან, რომ ტფილისიც ერთი გაუთავებელი ქეიფია, როგორც რომ პარიჟი. ყველაზე მთავარი კი ალისტერ კროულის ბოლო ფრაზაა:

„მოგიტყანთ გურჯიევი!“

რაც მთავარია, ფაეტონს მეეტლედ შექსპირი უზის, რომელიც ბოლოს ამოიგმინავს, თავისი პერსონაჟივით:

„აჩუუ, ცხენო! მთელ ჩემს სამეფოს გამოვდივარ!“

ჩვენი მთავარი გმირი კი დამუნჯებული უყურებს ამ ყველაფერს.

მსგავსი არაორდინარული ეპიზოდები თან სდევს რომანს, პერსონაჟი სრულიად გაუაზრებლად ერთ დღეს ევროპის ერთ ქალაქში აღმოჩნდება, მეორე დღეს — მეორეში, მაგრამ მას ჩვენთან, ანუ მკითხველთან კიდევ ერთი თანამგზავრი ჰყავს: შავწვერა თეთრი ბოცვერი, დიახ, ის, კლასიკური ტექსტიდან გადმოხვეწილი, დიახ, სწორად მიხვდით, ლუის კეროლის გმირი, რომელიც, ვინ იცის, იქნებ ახალ ალისას, ან თუ გნებავთ, ელისის საძებნელადაა ამ ევროპის ქვეყნებში გამოსული, და მას ამ ახალ გადამრჩენლად ზეროტუსტრა ჰყავს არჩეული, რომელიც შიგ შავ ხვრელში უნდა ჩაიტყუოს, დაანახოს საოცრებათა ქვეყანა. კეროლის პერსონაჟისგან განსხვავებით, ბოცვერი მეტად გაბოროტებული ჩანს, მის გამოჩენას ყოველთვის მოჰყვება კატასტროფები და აფეთქებები, გაოცებული ზეროტუსტრა კი რამდენჯერმე გაკვირვებული კითხულობს, რა დავლიე გუშინ ამისთანაო, მან ხომ არ იცის, იქნებ საერთოდაც „მელია ტულეფიას“ პერსონაჟებთან ერთად სვამდა წინა დღეს „ქიმერიონში“ და კარგადაც ჩაუტოვა, ვერ გამოვიდა თრობიდან, ვინ იცის, ლიტერატურულ სამყაროებს ხომ საზღვრები არ აქვთ და ეს ჩვენი პერსონაჟებიც პოსტმოდერნი ავტორების დახმარებით ასე დაუკითხავად დაეხეტებიან აქეთ-იქით.

რომანში ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი თავად დროა, რომელიც სიბერისკენ აახლოვებს მთავარ გმირსაც და ევროპასაც. ასე დაიარება ხანშიშესული ზეროტუსტრა ბებერ ევროპაში და თითქოს არის მათ შორის რაღაც კავშირი, თითქოს ესმით კიდეც ერთმანეთის — მიმწუხრისკენ მოსიარულე ორი პერსონაჟი, ცხოვრების მიმწუხრისკენ, ზეროსაც სახლად მიაჩნია ევროპა, მისი აზრით, საქართველო ბიძაა, რომელიც დიდი ხნის წინ გადაიხვეწა თავისი მშობლიური კერიდან და ახლა მრავალჭირგადანახადი, როგორც უძღები შვილი, ისე უბრუნდება თავის ალაგს, მაგრამ მეორე საკითხია, მის მშობლიურ კერას სურს თუ არა მისი მიღება, სურს თუ არა, შეიფაროს. ტექსტში ერთგან ხომ ამას ვკითხულობთ: „სახლი... სახლია ის ალაგი, სადაც გინდა, რომ დაბრუნდე, მაგრამ ვერ ბრუნდები! და სახლია ის ალაგიც, საიდანაც გინდა, რომ გაიქცე, მაგრამ ვერ გარბიხარ...“ ესაა ფრაგმენტი ზეროს მონოლოგიდან და მისი აზრით, მონოლოგი დიალოგია ვიღაც სხვასთან, თითქოს ხვდება კიდეც, რომ პერსონაჟია, და მისი ყოველი მონოლოგი დიალოგია მკითხველთან, ჩვენ ვიცით მისი განცდები და აზრები.

რომანი თითქოს მხიარულ შთაბეჭდილებებს გვიტოვებს თავისი პოსტმოდერნული ხრიკებითა და არაორდინარული ეპიზოდებით, მაგრამ წიგნის დახურვის შემდეგ იმაზეც დავფიქრდი, რომ მას გასდევს მცირე სევდისმაგვარი ემოცია, მიმწუხრის შიში, სახელიც ასე ჰქვია: Untergang. სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, ესაა დაღმასვლა, მიმართულება — ქვევით, მაგრამ, როგორც კეროლის რომანშია, დაღმასვლა (როდესაც ელისი ვარდება ხვრელში) ყოველთვის ცუდის მომასწავებელი ხომ არაა? ამიტომაც, დასასრული თქვენთვის მომინდვია, მე ხელებს ვიბან, „სეიფგარდით“, როგორც ამას ერთი კაცი იტყოდა, ან არც იტყოდა, აბა, მე რა ვიცი.

ილია ჭანტურია

სადგური N8

გამოზამთრება

„ჯოგდა, თავიდანვე გეწერა
სიზმრებზე,
ვინ იყო გადამმოწმებელი,
შემდარებელი?“

ბრძანება ასეთია, უნდა წახვიდე და რაც არ უნდა მოხდეს, უკან არ მოიხედო. თუ გინდა, რომ გადარჩე, ერთი წამითაც არ უნდა მოიხედო უკან. რაღაც თამაშს ჰგავს, არა? დამალობანას. უნდა დაიხუჭო და არ გაიხედო, თორემ მეგობრები გაგიწყრებიან, ყვირილით გამოვარდებიან და მერე უსმინე ამათ ყიჟინს: „პაჟარი! პაჟარი!“ რთულია, ალბათ. მაგრამ უფრო რთულია, როცა შენს ქალაქს ტოვებ, ადგილს, სადაც შენს ოჯახთან ერთად ცხოვრობდი და თუ გადარჩენა გინდა, უნდა წახვიდე და წამითაც არ მოიხედო, თორემ მეგობრები არა, მამაღმერთი დაგსჯის უმალ. ის კი მაინც იხედება და იქმნება იგი ძეგლ მარილისა. ქვავდება, მარილის ძეგლად იქცევა.

ცხრა წლისა ვიყავი მაშინ. სახლში საბავშვო ბიბლია ვიპოვე, თავისი ილუსტრაციებითა და გაფორმებებით, მშობლებმა მიყიდეს და ოთახში გამოსაჩენ ადგილას შევნიშნე. ყოველ დღე თითო ამბავს ვკითხულობდი და მალე ის დროც მოვიდა, როცა ორი ანგელოზი ეახლა სოდომის კარიბჭეს, რომელთან ახლოს მჯდომმა ლოტმა ისინი შინ შეიპატიჟა. რა თქმა უნდა, ამბის დასასრულს კითხვები გამიჩნდა, რატომ მოიხედა ქალმა? ხომ იცოდა, რომ ცუდი ბედი ეწეოდა ამის გამო, გამიზნულად ქნა თუ დაუფიქრებლად? რა ინტერესი ამოძრავებდა?

ამ ამბის დაწერიდან მრავალი საუკუნის შემდეგ, პოლონელი ნობელიანტი ვისლავა შიმბორსკა დაწერს ლექსს ლოტის ცოლზე და უკან მიხედვის ერთ-ერთ მიზეზად ამ საზარელი სანახაობით სიამოვნების მიღებას დაასახელებს, იმისთვის მივიხედე, რომ მენახა რა საზარლად დაიღუპებოდნენო, ამბობს ლექსის ლირიკული გმირი. ცხრა წლის ჩემმა თავმა კი ამგვარი ბოროტი წადილი ვერ ამოიკითხა ქალის საქციელში, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ თითქოს გავუგე კიდეც.

„...ეშინია უკან მოხედვის,
რადგან ჯერ კიდევ ენატრება
ის ჯოჯოხეთიც,
სადაც შიშხინებს მისი სული,
ხოლო სხეული
ყოველ ცისმარე დაძუნძულებს
დათოვლილ ბაღში.“

ეს ციტატა კი უკვე ზვიად რატიანის ლექსების ახალი კრებულიდანაა. ასეთი ლექსების ციკლია, „სამოთხეში განდევნა“ ჰქვია, სადაც ავტორი საქართველოს დატოვების შემდეგ, უცხოეთში გატარებულ დღეებს აღწერს, სიტყვებს კი თან ზამთრის სუსხი და მელანქოლიის მსუბუქი შეგრძნება მოჰყვება.

ადამიანი ტოვებს სამყოფელს, სადაც სახლი ჰქონდა, ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, მართალია, საზარელია იქ ცხოვრება, ჯოჯოხეთსაც ჰგავს, მაგრამ მაინც თავისია. ეს ხომ ასეა: სადაც ვცხოვრობთ, იქ საკუთარ პატარა ნაწილებს ვტოვებთ ხოლმე, ან თვითონვე მოგვეკრობა ქალაქი და მერე სულ თან დავატარებთ ლოკოკინას მიკრული ნიჟარასავით.

კრებული განსხვავებულია თავისი სტრუქტურით. როგორც ავტორი გვახსენებს, ბევრ ლექსს სათაური საერთოდ არ აქვს, ან სათაური არც არის ცალკე გამოყოფილი — ის ლექსის შიგნითაა. რამდენიმე გვერდი საერთოდ ცარიელიცაა. ეს ერთგვარი შესვენებაა ლექსებს შორის, ან ის სიჩუმე, უხერხული პაუზისას რომ ისადგურებს.

ალბათ ყველას გვახსოვს ორი წლის წინანდელი ამბავი დევნილ მწერალზე. ის დილა კარგად მახსოვს: ზოგი თანადგომას გამოხატავდა, ზოგი ამუნათებდა, ზოგი არც იქით იყო და არც აქეთ... ზოგიც — „არა, ახლა ძალადობა კი ცუდია, მაგრამ...“ და ამ „მაგრამ“-ს მოყვებოდა უაზრო სიტყვების რახარუხი, ისეთი, მოსმენისას რომ შეგძრავდა და გაჩუმებას თხოვდი, მერე კი ერთ-ერთი საყვარელი პერსონაჟის სიტყვები გაგახსენდებოდა იმაზე, რომ „მაგრამ“-ის შემდეგ რაც ითქმება, ყველაფერს (თქვენთან ბოდიში, პატიოსანო და უმწიკვლო მკითხველო) ცხენის განავლის ფასი აქვს, და ასეცაა. უცნაური კიდევ ერთი რამ იყო — ზოგი მტკიცედ კი იცავდა, მაგრამ იმასაც ამატებდა, აქამდე ასეთი არ გამიგია, წინათ ასეთი ნამდვილად არ ხდებოდაო, თითქოს ამ დროის განმავლობაში ზეციურ საქართველოში ჰქონდა სახლი ნაქირავები, ახლახან მოსთხოვეს მისი დაცლა და ქვევით, მოკვდავებთან გადაბარგება. რაც უნდა უცნაური იყოს, ადამიანი, რომელიც სინანულით იხსენებს ამ ამბებს, თავად პოეტია, რომლის ახალ კრებულსაც გასდევს აღსარებისეული ფონი. ის დანანებით იგონებს იმ დღეებს და იმ ცხოვრებას, სადაც ვერ მოახერხა მოერგო ძლიერი მამაკაცის როლი. ერთგან ვკითხულობთ:

„ვერც ვიქართველე,
ვერც ვიკაცე, ვერც ვიპოეტე
და ვერც სიკვდილი მოვასწარი.“

ეს მონაკვეთი კითხვისას ამოვიჩემე, ბევრჯერ მივუბრუნდი და გადავიკითხე, მერე ჩემს ერთ მეგობარს მივწერე კრებულზე და ეს მონაკვეთი გავუგზავნე. მომწერა, ნეტავ თუ შევძლებ ოდესმე ასეთ გულახდილობასო, და მართალიც იყო. ალბათ ძალიან რთულია, ასე გულახდილად ისაუბრო შენს გრძნობებზე. კითხულობ და წამით ჩერდები, იხსენებ, რა წაიკითხე, ემოციებს კარგად იმახსოვრებ. მერე აგრძელებ და ავტორის ხმაც ჩაგესმის და ეს არის რაღაცით უხერხულიც, რადგან გგონია, ის მთელ თავის შინაგან სამყაროს გიმზეურებს ასე ურცხვად, დაუფარავად და არც იმის ერიდება, რისიც რცხვენია. ასეა, ავტორი სირცხვილს მისივე გასაჯაროებით ამარცხებს.

პოეტის ბედი თავისივე ნაწერებიდან იმართება.

„ისევ აგიხდა, რაც დაწერე.“

განაჩენი გამოგაქვს საკუთარი თავისთვის და არც აქვს აზრი წარსულში დაშვებული შეცდომების გამეორების არიდებას.

„შენ იმართები მომავლიდან.“

ლექსების უმეტესი ნაწილი სიზმრებია, მათზე ცხადი კი არაფერია წიგნში. ზამთარი გრძელდება და სიზმრებიც მატულობენ, მოსვენებას აღარ გაძლევენ. გრძელდება ზამთარი, რომელიც გვათბობს და სანამ გაზაფხული მოვა და ყველაფერი თავისითვე დალაგდება, უნდა დააღწიო თავი ამ ყველაფერს, ერთი მოძრაობით უნდა შეძლო ამ ყველაფრის არიდება, ნამსხვრევებად ნაქცევი საკუთარი თავიდან ტანჯვის გამოხშირვა და ბედნიერების ცალკე მოხვეტვა. თანაც მაშინ, როცა ის სიზმრები ჰეფიენდებით ახდენას არ აპირებენ და გულისმომკვლელი ცხადი კი უკვე შენს სიზმრებსაც იკავებს, გაზაფხულის სინათლეც მოჩანს უკვე შორიდან და გრძნობ, რომ ახლოსაა, მალე დაგასწრებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოეს ხანებში „არტანუჯი“ გამოსცემს უილიამ შექსპირის „ჰამლეტის“ ახალ — ლელა სამნიაშვილისეულ თარგმანს. გთავაზობთ ფრაგმენტს წიგნიდან.

უილიამ შექსპირი

ჰამლეტი

აქტი 1, სცენა 2

დედოფალი: ძვირფასო ჰამლეტ, მოიცილე სახიდან ეგ წყვდიადისფერი,
და წყალობით მოიხედე დანიისაკენ.
ეგ დახრილი ქუთუთოები გამუდმებით ნუ დაეძებენ
ღირსეული მამაშენის ნაკვალევს მტვერში.
შენც იცი, რომ წესი ეს არის: რაც ცოცხალია, უნდა მოკვდეს,
ბუნების გავლით გადასახლდეს უკვდავებაში.

ჰამლეტი: ჰო, დედაჩემო, ეს არის წესი.

დედოფალი: თუ ასეა,
შენთვის ასე ძნელი რატომ ჩანს?

ჰამლეტი: ჩანს, ქალბატონო? ჩანს კი არა, ასეა. ხოლო რა „ჩანს“, არ ვიცი.
ეს მხოლოდ ჩემი მელნისფერი მოსასხამი არ არის, დედა,
სამგლოვიარო სამოსელი ვერ აირეკლავს, რასაც განვიცდი,
ამოოხვრაში სუნთქვის გრიგალს თვალი ვერ ხედავს.
არც ეს წყალუხვი მდინარეები, უპეებიდან რომ გადმოდიან,
არც ტკივილისგან ამღვრეული, წაშლილი სახე,
გლოვის გზები და განწყობები, ფორმები და ხმები გოდების,
რომლებიც „ჩანან“ ზედაპირზე, არცერთი ამხელს,
მე რას ვგრძნობ, რადგან მათ სცენაზე გაითამაშებს ნებისმიერი.
ის, რაც ჩემშია, არის ყველა ზედაპირის, თამაშის მიღმა.
გარედან ეს ვერ დაემჩნევა მწუხარების სამოსს და ნიღაბს.

მეფე: „საამოა და საქებარი შენი ასეთი ბუნება, ჰამლეტ,
ისე გლოვობ და მიაგებ პატივს გარდაცვლილ მამას,
მაგრამ ესეც უნდა გახსოვდეს - მამაშენმაც დაკარგა მამა,
განსვენებულმა მამამისმაც - მამამისი, და შთამომავლებს
ვალად აქვთ, რაღაც დროის მანძილზე
იგლოვონ, როგორც მოითხოვს წესი. მაგრამ ჯიუტად გადაშვებას
ცრემლის მორევში, გამართლება არა აქვს,
ფუჭი ჟინიანობა არ შეფერის ვაჟკაცურ გლოვას.
ზეცის წინაშე სცოდავს ამ დროს ადამიანი,
გულის სიმხდალე ჩანს, გონების მოუთმენლობა,
ზედაპირული ხედვა, რომელიც ვერ წვდება სიღრმეს.
რადგან თუ ვიცით, რაღაც არის გარდაუვალი, და უბრალოა,
როგორც ბევრი სხვა რამ ამ ჩვენს არსებობაში,
რატომ უნდა ვახალოთ თავი კედელს ამაოდ
და ვიხეთქოთ გული? გეყოფა, ეს ცოდვაა ზეცის წინაშე,
მიცვალებულთა და ბუნების წინაშე ცოდვა,
აბსურდია ამ სამყაროს ლოგიკის მიღმა, დაბეჯითებით რომ იმეორებს
მამების სიკვდილს, ყოველ ჯერზე ყურში ჩაგვყვირის,
პირველი მკვდრიდან დღევანდელ მკვდრამდე,
„წესი ეს არის.“ გთხოვთ, მიწაზე მოისროლო
ფუჭი წუხილი, და იფიქრო ჩვენზე,
ისე, როგორც მამაზე, რათა ყველამ იცოდეს,
რომ ჩვენს შემდეგ მემკვიდრე შენ ხარ,
და არანაკლებ ღრმა სიყვარულით,
ვიდრე მამა გრძნობს პირმშოს წინაშე,
გიწვდი მამურ ხელს. ხოლო შენი დაჟინება,
დაუბრუნდე სასწავლებელს უიტენბერგში,
არის ყველა ამ სურვილის საპირისპირო,
და ამიტომ, გთხოვთ, დაგვთანხმდე აქ დარჩენაზე
ჩვენი თვალების საამებლად, სასიხარულოდ,
როგორც მთავარი საყრდენი ჩვენი, სისხლი და ხორცი, და ჩვენი შვილი.

დედოფალი: ნუ გააქარწყლებ დედაშენის ლოცვებს, ჰამლეტ.
გემუდარები, ჩვენთან დარჩი, უიტენბერგში ნუ დაბრუნდები.

ჰამლეტი: ქალბატონო, ვეცდები დავყვე თქვენს ნება-სურვილს.

მეფე: აი, ეს არის სიყვარულით სავსე, სწორი პასუხი შენგან!
დანიაში თავი მეფურად იგრძენი. ჩემო ქალბატონო, ახლა წავიდეთ.
ეს გულითადი, ტკბილი თანხმობა ჰამლეტისგან
გულს მიხარებს ისე ძალიან, რომ ვერცერთი სადღეგრძელო,
რომელსაც ამ ბედნიერ დღეს შესვამს დანია,
ვერ გამოთქვამს ამ აღტაცებას,
მაშ ზარბაზნების ხმით გავფანტოთ ცაზე ღრუბელი,
რომ მეფური სადღეგრძელო მიწვდეს მთელ ზესკნელს,
იქ გავაგონოთ მიწიერი ჭექა-ქუხილი. წავიდეთ, ჩემო ქალბატონო.

ჰამლეტი: ნეტავ ეს მყარზე მყარი, ხრწნადი ხორცი დნებოდეს,
იშლებოდეს ნამის წვეთებად,
ან ყოვლისშემძლეს თავის წესებში
თვითმკვლელობა არ აეკრძალა. ღმერთო,
ჩემთვის რა ამაოა, უსარგებლო და უთავბოლო
მთელი ქვეყნის გარჯა-ფუსფუსი!
ეს წყეული სარეველებით სავსე ბაღი
ყველანაირ თესლზე ყვავილობს. ათასგვარი საზიზღრობა
ფუთფუთებს მასში. ესეც კი მოხდა:
ორი თვის მკვდარი, უფრო სწორედ, ორისაც არა,
მეფე, ისეთი დიდებული, რომ ახლანდელს გადაფარავდა
როგორც სატირს ჰიპერიონი,
დედაჩემზე ისეთი გრძნობით შეყვარებული,
რომ ცის ნიავსაც არ აკარებდა
მის ძვირფას სახეს... ზეცავ და მიწავ
ამაზე როგორ შევწყვიტო ფიქრი? დედოფალიც ეხვეოდა ისეთი ძალით,
თითქოს სურვილს ერთმანეთში დღითიდღე
ზრდიდნენ. და მაინც, მხოლოდ ერთადერთ თვეში!
როგორ შევძლო და დავივიწყო! უნამუსობავ, ქალი არის შენი სახელი -
მხოლოდ ერთ თვეში! ის ფეხსაცმელიც არ გაცვეთია,
რომლითაც ჩემი საბრალო მამის ნეშტს მიყვებოდა,
როგორც ნიობე, ცრემლში ჩამხრჩვალი, დედაჩემი...
ღმერთო, პირუტყვიც, განსჯის უნარს მოკლებული
იგლოვებდა უფრო ხანგრძლივად! ეს კი ბიძაჩემს გაყვა ცოლად,
მამაჩემის ძმას, მამაჩემის რომ არ სცხია იმაზე მეტი,
ვიდრე მე გმირი ჰერკულესის. სულ ერთ თვეში
ამოუშრა წყეული ცრემლის ნაკადების
სიმლაშე თვალის უპეებიდან.
და გათხოვდა. რა მდაბალი სულსწრაფობით
მიიჩქაროდა გულისამრევი ლოგინისაკენ.
თავზარდამცემი ამბავია და ეს კარგად ვერ დასრულდება.
მაგრამ, გულო, უნდა დადუმდე. ენაზე უნდა მეჭიროს კბილი.

თარგმნა **ლელა სამნიაშვილმა**



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004